

უდანაშაულო დამნაშავე A4



პრესომბუდსმენი A5



რვა წლის შემდეგ A7


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი, 5 ივნისი, 2006 წელი. №122 (1274) | ფასი 50 თეთრი



24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge


## ამბები

### საპროტესტო აქცია

გარემოს დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, „საქართველოს რესპუბლიკური პარტიის“ ახალგაზრდული მოძრაობა თბილისის მერიასთან გამაფრთხილებელ საპროტესტო აქციას გამართავს.

A2

## პოლიტიკა

### რუსეთის დუმის დელეგაცია საქართველოში

საქართველოში რუსეთის ფედერაციის დუმის დელეგაცია ჩამოდის. დელეგაცია, სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს მიხეილ მაჭავარიანს შეხვდება.

A3

## სამართალი

### თავდასხმა საზღვართან

სროლის ხმა ისმოდა ზუგდიდი-გალის ადმინისტრაციულ საზღვართან. საქმე ისაა, რომ თავდასხმა მოხდა იმ მუშებზე, რომლებიც მდინარე ენგურის ნაპირზე ნაპირსამაგრ სამუშაოებს აწარმოებდნენ.

A4


საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.


## ამინდი

| | 5/06 | | 6/06 | |
|---|---|---|---|---|
| თბილისი | 36 | ☀ | 35 | ☀ |
| ტყიბული | 36 | ☀ | 32 | ☀ |
| სოხუმი | 35 | ☀ | 27 | ☁ |
| დმანისი | 30 | ☀ | 30 | ☀ |
| გორი | 32 | ☀ | 32 | ☀ |
| ონი | 28 | ☀ | 26 | ☀ |
| ზუგდიდი | 39 | ☀ | 32 | ⛅ |
| ახმეტა | 35 | ☀ | 35 | ☀ |
| გაგრა | 32 | ☀ | 26 | ☁ |
| სამტრედია | 39 | ⛅ | 33 | ⛅ |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7980 |
| ევრო | 2.3027 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.3511 |
| რუბლი | 0.0669 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| პრესომბუდსმენი | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| ტენდერი | A 8 |


# ინფორმაცია & დეზინფორმაცია

## პირდაპირი საუბარი ნატო-ზე


დევიდ ჯ. სმიტი
*სპეციალურად "24 საათისათვის"*


რამდენიმე კვირის წინ გაზეთმა „24 საათმა“ გამოაქვეყნა „ნოვიე იზვესტია“-ში დაბეჭდილი ინტერვიუს ტექსტი რუსეთის შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსთან, გენერალ იური ნიკოლაევიჩ ბალუევსკისთან. ჩვეულებრივ, არავინ არ მიაქცევდა ასეთ დიდ ყურადღებას რომელიმე რუს სამხედროს. მაგრამ, ამ შემთხვევაში საქმე ბალუევსკის ეხება - ქვეყნის უმაღლესი რანგის სამხედრო პირს. ინტერვიუდან და, ასევე, გენერლის სხვა განცხადებებიდან კარგად ჩანს მისი არაზუსტი და გაუწონასწორებელი პოზიცია, რაც, სამწუხაროდ, მოსკოვის საგარეო ურთიერთობების ამჟამინდელი ხედვის სიმპტომატიური გამოხატულებაა.

ბალუევსკის განცხადების მიხედვით, ნატო-მ დააწესა კრიტერიუმები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდნენ საქართველო და უკრაინა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებისათვის.

გაგრძელება A2 გვერდზე

# დიდი მატჩი

C



# ღვინის ბაზარი

B


გოჩა ქიმუცაძე


*ბოლო დროს ლამის მთელი მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარე, ქართული ღვინის პიარ-აქციების ფონზე საინტერესოა ღვინის მსოფლიო ბაზარზე არსებული სიტუაციის და ტენდენციების განხილვა, ბაზრის, რომელიც საკმაოდ გადატვირთულია და სადაც დამკვიდრებას სულ უფრო და უფრო მეტი ქვეყანა ცდილობს.*

ღვინის მწარმოებელი ათი უმსხვილესი ქვეყანა საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, აშშ, არგენტინა, ავსტრალია, გერმანია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, პორტუგალია და ჩილე გახლავთ. წამყვანი ექსპორტიორები - იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი, ავსტრალია და ჩილე; იმპორტიორები კი - დიდი ბრიტანეთი, აშშ, გერმანია, იაპონია და ნიდერლანდები არიან.



# სააკაშვილისა და პუტინის შეხვედრის წინ

## შეიძლება თუ არა შეუთავსებლის შეთავსება და განტოლების კიდევ ერთი საჭირო ცვლადი


დავით დარჩიაშვილი


ამ დღეებში ცნობილი გახდა საქართველოს პრეზიდენტის მნიშვნელოვანი საგარეოპოლიტიკური ინიციატივის, რუს კოლეგასთან შეხვედრის სურვილისა და შესაბამისი შეთანხმების მიღწევის შესახებ. პუტინი და სააკაშვილი უახლოეს მომავალში შეხვდებიან პირისპირ და, როგორც დიპლომატიის ყავლგაუსვლელი წესია, პირადად შეეცდებიან ქვეყნებს შორის დაგროვილი წინააღმდეგობების დაძლევას. პრეზიდენტის (ჩვენის დ.დ.) გუნდი მიიჩნევს, რომ შეხვედრა მცირეხნიან განმუხტვას მაინც მოიტანს და ამგვარი „ტაიმაუტის“ გამოყენება კონკრეტული საკითხების (მაგალითად ღვინისა და წყლის, თუ „სამშვიდობოთა“ როტაციის პრინციპების) დარეგულირებისათვის შეიძლება.

მაგრამ ღვინო, წყალი და სამშვიდობო ძალების ქცევის წესები აისბერგის მხოლოდ სათავეა. ისინი შედეგებია რუსული და ქართული პოლიტიკური ორიენტირების ფუნდამენტური განსხვავებულობისა. შაბათს, უშიშროების საბჭოს სხდომის წინ თუ მის შემდეგ (კურიერის სიუჟეტიდან ეს მთლად ნათელი არ იყო) მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ საქართველო არ დათმობს სასიცოცხლო ინტერესებსა და პოზიციას ერთი ნაბიჯითაც კი, რადგან საქმე ქვეყნის მომავალს ეხება.

გაგრძელება A3 გვერდზე

# მსოფლიო ირანის გადაწყვეტილების მოლოდინში

## ირანის სულიერი ლიდერის განცხადებით, ბირთვული იარაღის გამოყენება ისლამური რელიგიის პრინციპებს ეწინააღმდეგება


თეა მაისურაძე


ირანის სულიერი ლიდერი აიათოლა ალი ხამენეი გაფრთხილებას იძლევა იმის შესახებ, რომ თუ აშშ არასწორ ნაბიჯს გადადგავს, ასეთ შემთხვევაში ოფიციალური თეირანი ნავთობის მიწოდებას სპარსეთის ყურის გავლით სრულიად შეაჩერებს. ლიდერმა ამგვარი განცხადება ირანის სახელმწიფო ტელევიზიით გააკეთა, როდესაც ის თავისი წინამორბედის, აიათოლა ხომეინის გარდაცვალების დღის 17 წლისთავთან დაკავშირებით გამართულ ცერემონიალზე სიტყვით გამოდიოდა. საყურადღებოა, რომ ხომეინის გარდაცვალების დღე ირანში დასვენების დღედ არის გამოცხადებული.

ხამენეის განცხადებით დასავლეთის მიდგომა, რომ ირანი ბირთვული იარაღის შექმნას ისახავს მიზნად, არ შეესაბამება რეალობას. ირანის სულიერმა ლიდერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ თეირანი არავითარ შემთხვევაში არ იტყვის უარს ურანის გამდიდრებაზე, რადგან ეს მისი სუვერენული უფლებაა, ხოლო რაც შეეხება ბირთვულ იარაღს, მის შექმნასა და გამოყენებას, ირანი ამგვარ ნაბიჯს არ გადადგამს, რადგან ეს ისლამს ეწინააღმდეგება: **„ჩვენ არ გვჭირდება ბირთვული იარაღი, ჩვენ ასევე არ გვაქვს ამგვარი იარაღის გამოყენების საფუძველი და მიზეზი, ჩვენ ბირთვული იარაღის გამოყენებას ისლამური რელიგიის საწინააღმდეგო ქმედებად მივიჩნევთ**“.

ოფიციალური თეირანი მზად არის განიხილოს „ექვსეულის“ (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, რუსეთი, ჩინეთი და გერმანია) წინადადება, რომელიც ამ უკანასკნელთა განცხადებით, ირანის ბირთვული პრობლემის გადაჭრის ახალი ეტაპია და რომლის ზედამხედველობას და კოორდინაციას ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და საგარეოპოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენელი ხავიერ სოლანა განახორციელებს ახლო მომავალში.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ბრალდებული და დაზარალებული თურქეთის მოქალაქეები

*დღეს სამართალდამცველები ხშირად იწონებენ თავს იმით, რომ ბოლო წლების განმავლობაში, ფაქტობრივად, აღარ ხდება ისეთი მძიმე დანაშაული, როგორიცაა ადამიანების გატაცება და მათი მძევლად აყვანა. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საგამოძიებო ორგანოებში ასეთი საქმეები არ მოიპოვება. როგორც ჩანს, ამგვარი დანაშაულები (შედარებით ნაკლებად რეზონანსული) კვლავაც ხდება, თუმცა მათი გახმაურება, რატომღაც, მიზანშეწონილად არ ითვლება.*

უცხოელი მოქალაქის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების გამო საქართველო და ქართველი სამართალდამცველები არაერთხელ გამხდარან საერთაშორისო საზოგადოების კრიტიკის ობიექტი. დღეს ამ მხრივ სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა, თუმცა ქართულ საპყრობილეებში ამჟამადაც არიან პატიმრები, რომლებიც სასამართლო განაჩენს სწორედ უცხოელების მიმართ ჩადენილი დანაშაულისთვის ელიან. მათ რიცხვში არიან: მესუდ თავასლი, თეიმურაზ ბაგალიშვილი და გიორგი ბურჯანაძე. აღნიშნულ ჯგუფს თურქეთის მოქალაქის მძევლად ხელში ჩაგდების, ძარცვის და გამოძალვის მუხლებით აქვთ წარდგენილი ბრალი, რისი დამტკიცების შემთხვევაშიც, მათ ექვსიდან თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, დანაშაულის ორგანიზატორი თურქეთის მოქალაქე მესუდ თავასლია, რომელიც, რამდენიმე წელია, საქართველოში ცხოვრობს. როგორც სამართალდამცველებმა დაადგინეს, თავასლიმ, ფულის შოვნის მიზნით, ასევე თურქეთის მოქალაქე ჰაბიბ ილჰამ ოღლი ქემიკლერისგან ფულის გამოძალვა განიზრახა, აღნიშნული მიზნის მისაღწევად კი დახმარება ქართველ მეგობრებს - თეიმურაზ ბაგალიშვილს და გიორგი ბურჯანაძეს სთხოვა.

გაგრძელება A4 გვერდზე

# ინფორმაცია და დეზინფორმაცია

## პირდაპირი საუბარი ნატო-ზე

პირველი გვერდიდან

თუმცა „ამჟამად არავინ აქცევს ყურადღებას ამ კრიტერიუმებს" - აღნიშნა მან დანანებით. მაგრამ სინამდვილეში ეს უფრო იმიტომ ხდება, რომ ამგვარი კრიტერიუმები საერთოდ არ არსებობს.

ბალუევსკის განცხადების საპირისპიროდ, ნატო-ს მთავარ მოთხოვნას არ წარმოადგენს ის, რომ სახელმწიფო, რომელსაც აქვს ამ ორგანიზაციაში გაწევრიანების პერსპექტივა, უნდა ჩატაროს ეროვნული რეფერენდუმი ინტეგრაციასთან დაკავშირებით. ალიანსში გაწევრიანების მეძიებმა მხოლოდ ჩრდილოატლანტიკურ ხელშეკრულებაზე თანხმობა გულისხმობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნატო-ს ყოველმა წევრმა სახელმწიფომ უნდა მიიღოს ამ ხელშეკრულების დამატება თავისი კონსტიტუციური მოთხოვნების შესაბამისად. გარდა ამისა, ქვეყანამ, რომელსაც ნატო-მ შესთავაზა გაწევრიანება, უნდა მოახდინოს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების რატიფიცირება თავისი კონსტიტუციური მოთხოვნების შესაბამისად. ქვეყანამ ამ შემთხვევაში უნდა ჩაატაროს რეფერენდუმი, თუ ეს იქ არსებული კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნაა, ან - იმ შემთხვევაში, თუ მისი პოლიტიკური ხელმძღვანელობა რატიფიცირების ამგვარ გზას მიმართავს.

რეალურად, იმ 10 ქვეყანას შორის, რომლებიც ცივი ომის დასრულების შემდგომ შეუერთდნენ ნატო-ს, მხოლოდ სლოვენიამ ჩაატარა რეფერენდუმი. 2003 წელს ამ ქვეყნის მოსახლეობის 66-მა პროცენტმა ხმა მისცა ნატო-ში გაწევრიანებას. ნატო-ს იმჟამინდელმა გენერალურმა მდივანმა, ლორდ რობერტსონმა განაცხადა: „ჩატარდება თუ არა რეფერენდუმი, ეს სლოვენიის ხელისუფლების და სლოვენიელი ხალხის გადასაწყვეტია".

შესაძლოა, ბალუევსკიმ ასეთი დეზინფორმაციული განცხადება უკრაინის მისამართით გააკეთა, რადგან უდავოა, რომ თუ საქართველოში რეფერენდუმი ჩატარდება, მაშინ ამომრჩევლები დაადასტურებენ საქართველოს ნატო-ში გაწერვიანების სურვილს.

ბალუევსკის მთავარი კრიტერიუმი საქართველოსთან მიმართებაში ასეთია: „კანდიდატ ქვეყნებში კონფლიქტების არსებობა". რა თქმა უნდა, კრემლისათვის ძალიან სასიხარულო ფაქტი იქნება, თუ ნატო ამგვარ კრიტერიუმს მიიღებს საქართველოსთან მიმართებაში, რადგან რუსეთი საკმაოდ კარგად აკონტროლებს სამაჩაბლოსა და აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს.

სინამდვილეში, ნატო-ს ასეთი კრიტერიუმი არ დაუწესებია. ამ საკითხთან ყველაზე ახლოს დგას 1995 წელს გამოქვეყნებული დოკუმენტი „ნატო-ს გაფართოების შესახებ", სადაც აღნიშნულია: „სახელმწიფოებმა, რომელთაც აქვთ ეთნიკური ან საგარეო-ტერიტორიული დავები, ირედენტისტული პრობლემების ჩათვლით, ან შიდა სამართლებრივი დავები, უნდა გადაწყვიტონ მშვიდობიანი გზით ეუთო-ს პრინციპების შესაბამისად. ამგვარი დავების გადაწყვეტა იქნება ალიანსში ქვეყნის გაწევრიანების განმსაზღვრელი ფაქტორი". 1995 წლის აღნიშნული დოკუმენტი არ წარმოადგენს ქვეყნისათვის მძიმე და სწრაფად შესასრულებელ კრიტერიუმს, ისეთს, როგორსაც ბალუევსკი ისურვებდა, თუმცა მისი არაორაზროვნად იგივეს გულისხმობს. რა თქმა უნდა, ნატო და ყველა მისი წევრი, ამა თუ იმ ქვეყნის ალიანსში გაწევრიანებისას, ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად მის შიდა არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობას მიიჩნევენ. რა თქმა უნდა, კონფლიქტების გადაწყვეტის საკითხი ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია. ნატო-ს გადაწყვეტილება, შესაბამისად, საქართველოს გაწევრიანებას, ამ ფაქტორების გათვალისწინებით იქნება მიღებული. ნატო აუცილებლად ჩათვლის, რომ საქართველო მართლაც ცდილობდა ეუთო-ს პრინციპების გათვალისწინებით ტერიტორიული დავების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტას, საქართველოს გაწევრიანებისას კონფლიქტების საბოლოო მოგვარების მოთხოვნა ეკვივალენტური იქნება მოსკოვისთვის ვეტოს უფლების მიცემისა, რაც ალიანსის ინტერესებს არ შეესაბამება.

საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება მისი 26 წევრი სახელმწიფოს ინტერესებში შედის. ასე რომ, ეს არანაირად არ ეხება იმ სახელმწიფოს, რომელსაც სამხედრო ბაზა აქვს განთავსებული იქ. საყურადღებოა საქართველოს განცხადება, რომ მას არ სურს არც ერთი ქვეყნის სამხედრო ბაზის განთავსება თავის ტერიტორიაზე. ეს საკითხი, სხვათა შორის, ეპასუხება ბალუევსკის ინტერვიუდან დარჩენილ ყალბ შთაბეჭდილებას. „ნოვიე იზვესტიე"-ს კორესპონდენტი წინ წამოსწევს



ელჩი დევიდ ჯ. სმითი არის პოტომაკის ინსტიტუტის პოლიტიკურ სწავლებათა უფროსი ექსპერტი და ვაშინგტონში საქართველოს ფორუმის თავმჯდომარე.

„მნიშვნელოვანი სამხედრო ძალების არგანთავსების" საკითხს, რაზეც პასუხსაც ბალუევსკი თავს არიდებს და მხოლოდ აცხადებს, რომ „ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რას ნიშნავს ტერმინი „მნიშვნელოვანი სამხედრო ძალები"...

ბალუევსკი უარყოფითად არის განწყობილი ერთი მხრივ აშშ-ს, მეორე მხრივ კი ბულგარეთსა და რუმინეთს შორის დადებული შეთანხმებისადმი, რომელიც გულისხმობს ამ ქვეყნების ბაზების როტაციულ გამოყენებას. უფრო მეტიც, მისთვის გაუგებარია, თუ რატომ მოითხოვს ნატო რუსეთისაგან გაიყვანოს ბაზები დნესტრისპირეთიდან. „ესოშიეთედ პრეს"-თან 2005 წლის 1 დეკემბერის ინტერვიუში ბალუევსკი იმასაც კი ირწმუნება, რომ ნატო-მ გადადო „ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების" შესახებ განახლებული შეთანხმების რატიფიცირება, რადგან ამერიკისათვის მიეცა რეგიონის სამხედრო ექსპანიის საშუალება. „ჩვენ ამას აღვიქვამთ, როგორც ორმაგი სტანდარტების მანიფესტაციას," - განაცხადა შტაბის უფროსმა.

მიუხედავად მოსკოვის გამოგონილი შიშისა, ნატო-ს ბაზების გავრცელების პირობითი საზღვარი მანამ, ვიდრე საქართველო ნატო-ს წევრობას მიაღწევს, ათასჯერ შეიცვლება. ასე რომ, ეს საკითხი წინასწარი კონფრონტაციის ღირსი ნამდვილად არ არის.

პირველ რიგში, გავიხსენოთ ბულგარეთი, რუმინეთი, მოლდოვა და „ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ შეთანხმება" (ეჩშძ). აშშ-ს სამხედრო ძალები როტაციის პრინციპით ბულგარეთისა და რუმინეთის შვიდ ბაზას გამოიყენებენ. რუსეთს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც კონცენტრირებული ჰყავს საკუთარი შეიარაღებული ძალები დნესტრისპირეთში, მოლდოვაში. აშშ კი ბულგარულ და რუმინულ სამხედრო ბაზებს ამ ქვეყნების მთავრობებთან ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე გამოიყენებს. მოლდოვამ რუსეთს ჯარების გაყვანა მოსთხოვა. გარდა ამისა, მოსკოვს ასეთ ვალდებულებას 1999 წლის სტამბოლის შეთანხმება აკისრებს - სწორედ ეს გახლავთ ნატო-ს ქვეყნების მიერ „ეჩშძ" შეთანხმების რატიფიკაციაზე უარის თქმის საბაბი. დაბოლოს, ბულგარეთი და რუმინეთი აშშ-ს ძალებს უმასპინძლებს შეთანხმებებით მკაფიოდ განსაზღვრული სტატუსის ფარგლებში. რუსეთის ძალები მხარს უჭერენ ტირასპოლის თვითაღიარებულ მთავრობას და ბალუევსკი უტიფრადაც აცხადებს, რომ არ დატოვებს მათ (სეპარატისტებს) მარტოს.

შემდეგ - მოდით მკაფიოდ ვილაპარაკოთ ნატო-ს პოლიტიკაზე. 1997 წლის 14 მარტს, მაშინვე, რაც ალიანსის ცივი ომის შემდგომი გაფართოების შესახებ მოლაპარაკებათა პირველი რაუნდი დაიწყო, ნატო-მ გააკეთა შემდეგი ცალსახა განცხადება: **„უსაფრთხოების არსებულ და უახლოესი მომავლის ატმოსფეროში, ალიანსი განახორციელებს კოლექტიური თავდაცვისა და სხვა მისიებს აუცილებელი ურთიერთთავსებადობის, ინტეგრაციისა და შესაძლებლობების გაზრდის საშუალებით და არა სამხედრო ძალების დამატებითი მუდმივი განთავსების საშუალებით."**

ეს გახლავთ ნატო-ს დღევანდელი პოლიტიკა. იგი არაერთხელ დაუდასტურებიათ, თუნდაც 1997 წლის 16 მაისის „ნატო-რუსეთის დამფუძნებელ აქტში", რომელსაც „არანაირად არ უნდა შეესუსტებინა ალიანსის პოლიტიკური თუ სამხედრო ეფექტურობა, მათ შორის მისი (ალიანსის, - რედ.) შესაძლებლობა, გაევრცელებინა თავისი უსაფრთხოების მიზნები ამჟამინდელ და მომავალ წევრ-ქვეყნებზე".

ნატო-ს პოლიტიკიდან აღსანიშნავია ოთხი მომენტი. პირველი: ნატო-ს განცხადება ცალმხრივია, ანუ არ არის შეთანხმება რუსეთთან. მეორე: იგი პირობითია, ანუ გამომდინარეობს კონკრეტული სიტუაციიდან. მესამე, - განცხადებები „მუდმივ ბაზირებაზე" ძალიან ზუსტია და არ ჰგავს „როტაციულ ბაზირებას" - ისეთს, როგორიც ბულგარეთსა და რუმინეთშია დაგეგმილი. მეოთხე (და ყველაზე მნიშვნელოვანი საქართველოსთვის) - ნატო არასოდეს აფუძნებს სტერეოტიპებს ამჟამინდელი თუ მომავალი წევრებისთვის ალიანსის უსაფრთხოების ვალდებულებებიდან გამომდინარე.

მართლაც, ძალიან რთულია იმის თქმა, თუ სინამდვილეში რა საფრთხე შეუძლია შეუქმნას ნატო-ში საქართველოს ყოფნამ რუსეთს. სხვათა შორის, ბალუევსკი ამასთან დაკავშირებით არაფერს კონკრეტულს არ ამბობს. უკრაინისა და საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება თავისუფლად შეუძლიათ, - ამბობს რუსი გენერალი, მაგრამ იქვე დასძენს, „რუსეთს აშფოთებს ვითარება, რომელიც მის საზღვართან ამის შემდეგ (უკრაინისა და საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების) შეიქმნება". თუმცა, იმის ნაცვლად, რომ განმარტოს ამ შეშფოთების მიზეზი, იგი უსაგნო საუბარს იწყებს ესტონეთის მაგალითზე, როგორც გაფრთხილებაზე საქართველოსთვის.

მაინც რა მოხდა ესტონეთის საზღვარზე? 2005 წლის 18 მაისს, ესტონეთმა და რუსეთმა ხელი მოაწერეს ორ ხელშეკრულებას, რომელთაგან ერთი ახდენდა საზღვაო საზღვრის დემარკაციას ნარვას ყურეში, ხოლო მეორე - სახმელეთო საზღვრის დემარკაციას ეხებოდა. ესტონეთმა ოფიციალურად თქვა უარი იაანილინისა (ივანგოროდი) და პეტსერის (პეჩორა) მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც მოსკოვმა უკანონოდ მიიტაცა საბჭოთა ოკუპაციის პერიოდში.

ხელშეკრულებათა დამტკიცებისას, ესტონეთის პარლამენტმა გააცნობიერა, რომ ახდენდა 1920 წლის დღემდე მოქმედი ტარტუს ხელშეკრულების მოდიფიკაციას და მიანიშნა დოკუმენტზე, სადაც ნახსენებია საბჭოთა კავშირის მხრიდან ესტონეთის ოკუპაცია და აგრესია. თავად ხელშეკრულებებში არაფერი შეუცვლიათ. მიუხედავად ამისა, მოსკოვი გაცოფდა. „საბჭოთა ხალხის გამარჯვებას უნდა უმადლოდეს ესტონეთი, რომ დღეს ასეთი „თამაშის" საშუალება აქვს," - გაიძახოდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი.

რუსეთმა უკან გამოიწვია საკუთარი ხელმოწერა, რაც თავის მხრივ სამართლებრივად უაზრობაა და უარი თქვა რატიფიკაციაზე, რაც ნიშნავს, რომ ხელშეკრულებები ძალაში ვერ შევა. რეალურად, ესტონელი მოხელეების თქმით, ორივე მხარე საზღვარზე კონტროლს ახორციელებს ისე, როგორც ეს ხელშეკრულებებით იქნებოდა განსაზღვრული. თუმცა, სხვა რეალობაა ის, რომ სინამდვილეში მოსკოვს ურჩევნია აგრესიული პოზიცია დაიკავოს, დაიტოვოს პრობლემური საკითხები, როგორც ზემოქმედების ბერკეტები მომავლისათვის. მაშინ რა არის საქართველოსთვის გამაფრთხილებელი?

„შეუერთდი ნატო-ს, მაგრამ არ გაზარდო დაძაბულობა ჩვენს საზღვართან," - ამბობს ბალუევსკი. ცოტა უფრო ნათლად რომ გამოეთქვა თავისი მოსაზრება, მაშინ საქართველოსა და ნატო-ს შეეძლებოდათ შეეფასებინათ, მართლა ლეგიტიმურია თუ არა მოსკოვის პრეტენზიები და თუ ასეა, ეპასუხათ მათზე. მაგრამ ბურუსი კრემლის ინტერესებს უკეთესად პასუხობს, რადგანაც საშუალებას აძლევს მუდამ თადარიგში ჰქონდეს გადაუწყვეტელი საკითხი. ასეთი სიტუაცია ხალხს აღიზიანებს, თუმცა ვერაფერს აწყობენ. დარწმუნებული იყავით, რაც უფრო მოახლოვდება ნატო-ში გაწევრიანება, უფრო მეტი იქნება ხმამაღალი საუბარი საზღვრის აქეთ-იქით მოძრავ ტერორისტებზე, ისევე, როგორც რუსეთის მოქალაქეების დაცვის აუცილებლობაზე აფხაზეთსა და სამაჩაბლოში.

ბუნდოვანი პრეტენზიების ბუნება მეტად მზაკვრულია, რადგანაც იგი ხალხს დაძაბულობაში ამყოფებს, თუმცა სრულიად გაურკვეველია როგორ უნდა იმოქმედო. უდავოდ, ბალუევსკი ნაწილია კრემლის მცდელობისა, დეზინფორმაცია გაავრცელოს და ეჭვები დათესოს ნატო-ს შემდგომ გაფართოებასთან დაკავშირებით... ან თუ ეს არ გამოვიდა, მაქსიმალურ დათმობებს მიაღწიოს „ვაჭრობის" პროცესში. მართლაც დაცინვაა, რომ მან ეს ინტერვიუ ბრიუსელში ყოფნისას, „ნატო-რუსეთის საბჭოს" სხდომის მიმდინარეობისას მისცა!

### მოკლედ

#### საპროტესტო აქცია

გარემოს დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, „საქართველოს რესპუბლიკური პარტიის" ახალგაზრდული მოძრაობა თბილისის მერიასთან გამაფრთხილებელ საპროტესტო აქციას გამართავს. როგორც „საქართველოს რესპუბლიკური პარტიის" პრესსამსახურში განაცხადეს, „ახალგაზრდა რესპუბლიკელების" აქცია გაიმართება. აქციის მიზანია, გარემოს დაბინძურების გამო, თბილისისა და მთელი ქვეყნის მასშტაბით შექმნილი სავალალო მდგომარეობის ხაზგასმა. „ახალგაზრდა რესპუბლიკელების" გამაფრთხილებელი აქცია ქალაქის მუნიციპალიტეტს მოუწოდებს კეთილსინდისიერად შეასრულოს საკუთარი მოვალეობები და მიზნობრივად გახარჯოს მუნიციპალურ ბიუჯეტში დასუფთავებისათვის გამოყოფილი თანხები. როგორც „რესპუბლიკურ პარტიაში" განმარტავენ, დღეს თბილისისათვის განსაკუთრებით აქტუალური საკითხებია სტიქიური ნაგავსაყრელები და, მშენებლობების დროს, გარემოს დაბინძურების პრობლემები. „ახალგაზრდა რესპუბლიკელების" დღევანდელი აქცია გამაფრთხილებელი იქნება ქვეყნის სხვა რეგიონების მუნიციპალური სამსახურებისთვისაც: აქციის მონაწილეები „კასპიცემენტის" ქარხნის მუშაობის შედეგად, გარემოსა და ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის ეკოლოგიური საფრთხის შექმნის საკითხებზეც გაამახვილებენ ყურადღებას. აქციის ორგანიზატორები გარემოს დაცვის საერთაშორისო დღეს თბილისისა და სხვა რეგიონების მუნიციპალურ ორგანოებს მიმართავენ, ეფექტურად გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ფინანსური, ადმინისტრაციული ბერკეტები და დროულად იზრუნონ შექმნილი ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებაზე. **ინტერპრესნიუსი**

#### ღია კარის დღეს აბიტურიენტთათვის

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი 10 ივნისს, 12:00 საათზე, ტექნიკური უნივერსიტეტის მე-6 კორპუსის სააქტო დარბაზში აბიტურიენტთათვის ღია კარის დღეს გამართავს. როგორც ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა მაია გაბუნიამ განაცხადა, შეფასებისა და გამოცდების ცენტრი ღია კარის დღეებს რეგულარულად აწყობს, რათა აბიტურიენტებს საშუალება ჰქონდეთ, საერთო ეროვნული გამოცდების დაწყებამდე, მათთვის საინტერესო ყველა კითხვაზე პასუხი მიიღონ. **ინტერპრესნიუსი**

#### მიწისქვეშა გადასასვლელებს დაცვის სამსახური დაიცავს

როგორც თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა კობა სუბელიანმა განაცხადა, მიწისქვეშა გადასასვლელს დაცვის სამსახური მოემსახურება. ერთი დღე-ღამის განმავლობაში სამი პოლიციელი იმორიგევებს. მომდევნო ეტაპზე იგეგმება მეცნიერებათა აკადემიის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მიწისქვეშა გადასასვლელის კეთილმოწყობა და დაცვით უზრუნველყოფა. აღნიშნულმა სამსახურმა დაიწყო დედაქალაქის მიწისქვეშა გადასასვლელების კეთილმოწყობა. ამ ეტაპზე დასრულებულია ფილარმონიის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მიწისქვეშა გადასასვლელი. რამდენიმე თვეში დედაქალაქის ყველა მიწისქვეშა გადასასვლელი მოწესრიგდება და ყველგან იფუნქციონირებს დაცვის სამსახური, ასე რომ თბილისელებსა და ქალაქის სტუმრებს მიწისქვეშა გადასასვლელებში ჩასვლა ღამის საათებშიც კი აღარ შეეშინდებათ. **ჯი-ეიჩ-ენი**

#### ძეგლების რეცხვა დაიწყო

თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურმა მეორე დღეა, რაც დედაქალაქში არსებული ძეგლების რეცხვა დაიწყო. უკვე გარეცხილია რუსთაველის ძეგლი, გუშინ გაირეცხა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ძეგლებიც. დღეს აღმაშენებლის, ვაჟა-ფშაველას, ბაგრატიონისა და გორგასლის ძეგლებს გაასუფთავებენ. ძეგლების გარეცხვა დედაქალქში 3-4 დღეში დასრულდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

# მსოფლიო ირანის გადაწყვეტილების მოლოდინში

პირველი გვერდიდან

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული დოკუმენტის დეტალები არ არის საჯაროდ ცნობილი, თუმცა ის მიზნად ისახავს ბირთვული პროგრამის შეწყვეტაზე ახალი მიმართულებით მოლაპარაკებების დაწყებას ირანთან. ურანის გამდიდრების შეწყვეტაზე თეირანის პასუხი კი წინასწარვე ცნობილია.

ირანის სულიერმა ლიდერმა სრულიად დასაშვებად და რეალურად მიიჩნია გამანადგურებელი თავდასხმა აშშ-ზე, რომელიც, მისი თქმით, მსოფლიოში ყველაზე „საძულველი" სახელმწიფოა: **„როგორ შეუძლია ისეთ სახელმწიფოს, როგორიც არის აშშ, ილაპარაკოს ადამიანის უფლებების დაცვაზე და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაზე, როცა მას აქვს ისეთი ციხეები, როგორებიც არის აბუ გრეიბი და გუანტანამო**" - განაცხადა მან. აიტოლაჰ ალი ჰამედის აზრით, აშშ-ს მიზანია გავლენა მოახდინოს მთელს მსოფლიოზე თავისი „გააფთრებული პროპაგანდით", თუმცა ისიც საეჭვოა, თუ რამდენად არსებობს კონსენსუსი საერთაშორისო საზოგადოებაში ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით, ვინაიდან ისლამური ქვეყნები, როგორებიც არიან „მიუმხრობელი" ქვეყნები და სხვა დამოუკიდებელი სახელმწიფოები, ირანის გვერდით დგანან.

ისლამური რესპუბლიკის სულიერი ლიდერის განცხადებით, არასწორმა ქმედებებმა აშშ-ს მხრიდან, შესაძლოა ენერგორესურსების შეზღუდვა გამოიწვიოს ირანის მხრიდან: **„თუ აშშ ირანთან მიმართებაში არასწორ ნაბიჯებს გადადგავს, მაშინ აღნიშნულ რეგიონში ენერგეტიკის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ბარიერები შეიქმნება**", თუმცა მას არ დაუკონკრეტებია, თუ რა სახის შეზღუდვებს გულისხმობდა.

შეგახსენებთ, რომ ირანი მსოფლიოში ნავთობის მარაგით მეორე ადგილზეა საუდის არაბეთის შემდეგ და ასევე მეორე ადგილს იკავებს რუსეთის შემდეგ ბუნებრივი აირის რეზერვუარით.

ირანის პრეზიდენტის მაჰმუდ აჰმადინეჯადის განცხადებით, მას სატელეფონო საუბარი ჰქონდა გაეროს გენერალურ მდივანთან კოფი ანათან, რომელმაც აჰმადინეჯადის მოუწოდა გადაწყვეტილება მას მერე მიეღო, რაც „ექვსეულის" შეთავაზებას გაეცნობოდა. ირანის პრეზიდენტს დოკუმენტი ხავიერ სოლანამ უნდა გააცნოს.

ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის, მაჰმუდ აჰმადინეჯადის განცხადებით, ოფიციალური თეირანი დოკუმენტის გაცნობამდე არ გააკეთებს განცხადებებს თავისი გადაწყვეტილების თაობაზე. მაჰმუდ აჰმადინეჯადი აცხადებს, რომ ის მხედველობაში მიიღებს „ექვსეულის" წინადადების დეტალებს, რომელიც მხარეებს შორის დაძაბულობის განეიტრალებას ისახავს მიზნად და გადაწყვეტს, თუ რამდენად მოდის შესაბამისობაში ეს შემოთავაზება ირანის ეროვნულ ინტერესებთან: **„ბირთვული ტექნოლოგიის გამოყენება ელექტროენერგიის წარმოებისათვის არის ჩვენი კანონიერი უფლების ნაწილი და შესაბამისად ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ მოლაპარაკებებს არავისთან არ ვაპირებთ**". ირანის პრეზიდენტის განცხადებით, ამ საკითხზე მოლაპარაკება იგივეა, რაც მსჯელობა ირანის თავისუფლებაზე, შესაბამისად ოფიციალური თეირანი ამგვარ გამოწვევებს არ მიიღებს. აჰმადინეჯადი თავის პოზიციაზე კვლავ მყარად დგას და მიიჩნევს, რომ ბირთვული საწვავის წარმოება ირანის „კანონიერი და ლეგიტიმური უფლებაა".

მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტის დეტალები არ არის საჯარო, წყაროებიდან ცნობილია, რომ დასავლეთი ირანს ბირთვულ რეაქტორს და გამდიდრებული ურანის მარაგს მისცემს.

აშშ-ს თავდაცვის მინისტრის დონალდ რამსფელდის განცხადებით, ირანი ვერ ჩამოაყალიბებს სრულად თავის პოზიციას და შესაბამისად ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას მანამ, ვიდრე არ გაეცნობა ამ დოკუმენტის დეტალებს. მისივე თქმით, აშშ-მ თანხმობა განაცხადა ირანის მისამართით ამგვარი წინადადების შემუშავებაზე, რადგან მრავალმხრივი მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა.

ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის მანუჩერ მოტაკის განცხადებით, ხავიერ სოლანა თეირანს უახლოეს მომავალში ეწვევა და ირანის ხელისუფლებას „ექვსეულის" მიერ შემუშავებულ დოკუმენტს გააცნობს. ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი პესიმისტურად არის განწყობილი დასავლეთის წინადადებისადმი და აცხადებს, რომ **„შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალის მოძებნის სურვილი, შესაძლოა, ისევ აშშ-სა და ევროკავშირის სასარგებლოდ მიმართული ნაბიჯი იყოს... მოლაპარაკებები უნდა გაიმართოს ყოველგვარი წინაპირობების გარეშე. არც ერთი პირობა არ არის მისაღები მოლაპარაკებებისათვის, მით უმეტეს ის პირობა, რომელიც ამ დოკუმენტს უდევს საფუძვლად"**.

მიუხედავად წინასწარი პესიმისტური განწყობისა, ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი აღნიშნავს, რომ ირანი ელოდება, თუ როდის მიიღებს ოფიციალურად აღნიშნულ დოკუმენტს და ამის შემდეგ განსაზღვრავს ამ საკითხისადმი თავის დამოკიდებულებას.

აშშ სკეპტიკურად უყურებს ირანის განცხადებებს გამდიდრებული ურანის მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენების თაობაზე. პარასკევს, 2 ივნისს, აშშ-მ ოფიციალურ თეირანს მოუწოდა, რომ მას ცოტა დრო ჰქონდა დოკუმენტში განსაზღვრულ დეტალებთან დაკავშირებით თავისი გადაწყვეტილების მისაღებად. აშშ-ს სახელმწიფო წარმომადგენელთა განცხადებით, თუ ირანის კომპრომისზე არ წამოვა, ოფიციალური თეირანი უშიშროების საბჭოსგან მკაცრ სანქციებს მიიღებს, თუმცა მაჰმუდ აჰმადინეჯადი ჯიუტად აცხადებს, რომ ის დასავლეთის ზეწოლის ქვეშ თავისი გადაწყვეტილების შეცვლას არ აპირებს.




ავიაკომპანია
"არკია ისრაელის ავიახაზები"
აგრძელებს რეგულარულ
რეისს 23 ივნისიდან, ყოველ პარასკევს
თბილისი - თელ-ავივი

თელ-ავივი - თბილისი - IZ 417 04.55-08.40
თბილისი - თელ-ავივი - IZ 418 10.25-12.25
განრიგი ძალაშია 23 ივნისიდან 20 ოქტომბრამდე.
გაფრენისა და მოფრენის დროები ადგილობრივია.

ბილეთის ფასია:
275 აშშ დოლარი (ერთი გზა)
349 აშშდოლარი (ორი გზა)
თანამედროვე საჰაერო ხომალდი ბოინგ 757-200/300 (191/253 სავარძელი), უმაღლესი კლასის სერვისი, კვების რეჟიმი - მგზავრის სურვილისამებრ.

გადახდა კურსის შესაბამისად ეროვნული ვალუტით. ავიაბილეთის ტარიფი არ შეიცავს აეროპორტის მოსაკრებლებს.
ჩვენთან შეგიძლიათ შეიძინოთ ბილეთები ა/კ "საქართველოს ავიახაზების" თელ-ავივის რეისზე.
აგრეთვე ბილეთები ნებისმიერი მიმართულებით.
ქ. თბილისი. კარგარეთელის ქ. N 7, ტელ: 91-04-99, 91-06-16. ფაქსი: 91-04-99
e-mail: mail@arkia.ge

მეტი კომფორტი, მეტი სისწრაფე, ნაკლები ფასი


24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი

# სააკაშვილისა და პუტინის შეხვედრის წინ

პირველი გვერდიდან



სასიცოცხლო ინტერესების არდათმობა ეროვნული დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობების პრინციპია და, ბუნებრივია, რაც არ უნდა ძნელი იყოს, ხელისუფლებამ ეს უნდა მოახერხოს. პოზიციები კი, იმავე პრინციპით, ცვალებადი და ინტერესზე მორგებულია ხოლმე. კურიერის სიუჟეტი, ისევე როგორც ქართული მედიის სხვა ნიმუშები არ იძლევა საშუალებას რომ გავიგოთ, ქართული პოზიციების რა წახნაგებზე იქნება საუბარი. საქართველოს ეროვნული ინტერესები ზოგადად ცნობილია. ისინი 2005 წლის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში წერია და, ორი სიტყვით, შემდეგნაირად ჟღერს: ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტის გარანტირება ნატოსთან ინტეგრაციის გზით. მაგრამ პოზიცია თუ პოზიციები მომავალი მოლაპარაკებისას ჩვენთვის უცნობია. ვერც იმას გამოვრიცხავ, რომ ამ პოზიციასა თუ პოზიციებში იყოს წინააღმდეგობრივი ელემენტებიც, რადგან ხელისუფლება მრავალი ადამიანისაგან შედგება და მათ შორის სრული ჰარმონია და თანხმობა წარმოუდგენელია: ორივე ზემოთ ნახსენები ეროვნული ინტერესისა თუ მიზნის მიღწევის გზები ხომ მრავალნაირი შეიძლება იყოს.

კონსენსუსი მომავალი მოლაპარაკებების დღის წესრიგზე, თემებზე, ინტერესებისა და პოზიციების ბალანსზე ხელისუფლების შესამუშავებელია და იმედია, რომ ამგვარი რამ ხდება ან მოხდა - ყველაფერი წინასწარ ხომ არ გამჟღავნდებოდა. მაგრამ ა) საზოგადოება ვარაუდების ტყვეობაშია და მეტის გაგება სურს; ბ) ამგვარი კონსენსუსის პოვნისათვის ალტერნატიულ მოსაზრებებსაც აქვს მნიშვნელობა. ამიტომ, ვეცდები ჩემი აზრებიც გამოვხატო. მით უმეტეს, რომ მოლაპარაკებები უდავოდ შეეხება აფხაზეთსაც და მე კი, ცოტა ხნის წინ, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების ვიცე პრემიერ, ლეონიდ ლაკერბაიასთან ერთად ამერიკელ დიპლომატებთან და ანალიტიკოსებთან რამოდენიმედღიანი შეხვედრების საშუალება მქონდა.

ჩვენი საწყისი და საბოლოო ინტერესი ტერიტორიული მთლიანობა, შეერთებულ შტატებთან სტრატეგიული პარტნიორობა და ნატოში გაწევრიანებაა. პირველი ალბათ არავისთვისაა საკამათო, მეორე კი არც თუ უხიფათო სივრცესა და დროში მყოფი ჩვენი ქვეყნისათვის მაქსიმალურად შესაძლებელი უსაფრთხოების და განვითარების დემოკრატიული გზიდან არგადახვევის გარანტიაა. რუსეთის პოლიტიკურ ელიტას კავკასიაში განსაკუთრებული გავლენის აღდგენა/შენარჩუნება სურს. სავარაუდოდ, ინტერესთა ასეთი დიხოტომიის პირობებში, რუსეთი, შესაძლოა, ჩვენს პირველ ინტერესს უფრო გაგებით მოეკიდოს, თუ მეორეზე უფრო თავშეკავებულნი ვიქნებით: სამწუხაროდ, რუსეთის პოლიტიკოსთა დიდი ნაწილი ნატოს და შეერთებულ შტატებს ისევ მტრული დაპირისპირების პრიზმიდან აღიქვამს. მეტიც, რუსულ პოლიტიკაში ენერგორესურსებით მანიპულირება, დასავლეთისაკენ მიმართულ ენერგოგადაზიდვებში მონოპოლიზმის მცდელობა წამყვან ხაზად ყალიბდება, საქართველოს ნატოში შესვლა კი აღმოსავლეთ-დასავლეთის ალტერნატიული ენერგოდერეფნის საბოლოო ფორმირებას მოასწავებს.

საქართველოს ხელისუფლება არც ერთ ამ ინტერესთაგანზე უარის თქმას არ აპირებს. შესაბამისად, რუსეთთან მოლაპარაკებები რთული იყო და ისევ რთული იქნება. მაგრამ არის ერთი სირთულეც: რომც მოხდეს სასწაული და ენერგოდერეფნების ან თუნდაც ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში ქართულ-რუსული, შესაბამისად კი რუსულ-დასავლური ხედვები დაახლოვდეს, ცალსახა არაა, თუ რამდენად მარტივად შეუძლია რუსეთს ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების განმუხტვა ქართული ინტერესის სასარგებლოდ. აფხაზურ და ოსურ საკითხებში კრემლის ნება უკიდეგანო არაა: აქ დევს თავად აფხაზური და ოსური მხარეების, ჩრდილოკავკასიური კონგლომერატის ადგილობრივი წარმომადგენლების, აფხაზურ-თურქული დიასპორას ინტერესიც.

არსებობს კონფლიქტების მოგვარების საერთაშორისო სტანდარტებიც, რომელთა ამოქმედება, რუსეთმა რომც ისურვოს, სულაც არ ნიშნავს, რომ საქართველოს ერთიანობა მყისიერად მიიღწევა. საომარი მოქმედება, მით უმეტეს დროში გაწელილი, საქართველოს საერთაშორისო იმიჯს და დემოკრატიული სტაბილურობის მშენებლობას სერიოზულ დარტყმას მიაყენებს. საბოლოო ჯამში კი, რომც ვისურვოთ რუსული ინტერესების უკეთ გაგება/გათვალისწინება და მივაღწიოთ რუსების პარტნიორობას კონფლიქტების დარეგულირების საკითხში, სავარაუდო მაინც შემდეგი სცენარია: აქცენტის გადატანა ძალაზე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მდგომარეობას საკმაოდ ფეთქებადსაშიშს (თუ უკვე აფეთქებულს არა) ხდის; ნატოსთან და შტატებთან, რომელთაც საქართველოს სახით სტაბილური პარტნიორი სურთ, ურთიერთობები ამით სერიოზულად რთულდება და რუსეთი, რომელიც ქართველთა შემდგომი „ღალატისაგან“ თავის დაზღვევის ლოგიკით მაინც, ბოლომდე პროქართული ვერაფრით იქნება, მიაღწევს ჩვენი ორივე ეროვნული ინტერესის ბლოკირებას.

გამოსავალი შემდეგი მიმართულებითაა საძიებელი. 1) საქართველო რუსეთს შეიძლება თანხმდებოდეს მისი ბიზნესინტერესების მაქსიმალურ გათვალისწინებას. ასევე შესაძლებელია სხვადასხვა ფორმის ანტიტერორისტული თანამშრომლობა. მაგრამ საქართველო აგრძელებს ნატოს წევრობის სამოქმედო გეგმის მიღებისათვის განუხრელ ძალისხმევას; 2) საქართველოს ხელისუფლება აცხადებს, რომ არ ამბობს რა უარს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპზე, იგი მზადაა აფხაზურ მხარესთან მრავალპროფილიან პარიტეტულ თანამშრომლობაზე. თბილისი მზადაა გააგრძელოს სოხუმთან ინტენსიური დიალოგი კონფლიქტის გადაწყვეტის ხედვების შეჯერებაზე.

ასეთ შემთხვევაში რუსეთი, რომელიც, რაც არ უნდა იყოს, დიდი რვიანის წევრია, ნაკლებშემძლე გახდება ქართულ-აფხაზური ურთიერთობებით მანიპულირებისა. აფხაზეთის კონფლიქტში მშვიდობიანი კურსის არა მხოლოდ დეკლარირება, არამედ კონკრეტული კოოპერაციული ნაბიჯების გადადგმა საქართველოს მხრიდან ბევრად უკეთ შეაძლებინებს დასავლეთს რუსეთისაგან საპასუხო კონსტრუქტივიზმის მოთხოვნას. შესაბამისად, დასავლეთი, რომელსაც რუსეთთან მრავალმხრივი ინტერესები და საკითხები აკავშირებს, უკეთ შეასრულებს რუსეთისავე საპირწონეს როლს ქართულ-აფხაზური ურთიერთობების დარეგულირებაში.

მაგრამ ეს რომ მოხერხდეს, უნდა გავიაზროთ ჩვენი, ქართული საგარეო და საშინაო პოლიტიკის ერთი ფუნდამენტური მახასიათებელი: აფხაზეთის საკითხი საკმაოდ განსხვავდება ცხინვალის თუ, მით უმეტეს, ნებისმიერი სხვა სპეციფიკური რეგიონის საკითხისაგან. აფხაზეთის საკითხში სტერეოტიპების გადალახვა სულაც არაა საწინდარი საქართველოს დეზინტეგრაციისა დომინოს პრინციპის მიხედვით. აფხაზეთის პოლიტიკურ თვითგამორკვევას აქვს ბევრად მეტი პოლიტიკური, მორალური და იურიდიული არგუმენტი, ვიდრე ცხინვალსა თუ საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს.

აფხაზეთის სამეფოც და სამთავროც ფეოდალური პერიოდის ისტორიის ფაქტია და როგორადაც განუყოფელი არ უნდა ყოფილიყო ეს პოლიტიკური ერთეული ბაგრატიონთა საერთოქართული, უფრო სწორად, საერთოქართულენოვანი პოლიტიკური სამყაროდან, მისი არსებობის ფაქტი ისტორიის დაუსრულებელი ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა.

აფხაზური მოსახლეობა უფრო მრავალრიცხოვანი იქნებოდა, და აფხაზეთის თავისებურება უფრო თვალნათელი, რომ არა რუსეთის ექსპანსიის შედეგად თურქეთში გადახვეწილი ათასობით მუჰაჯირი. ეს ფაქტი სულ რაღაც 150 წლის წინათ მოხდა და მისი გამოძახილი თანამედროვეობაზე საკმაოდ ცხოველია.

მენშევიკური დამოუკიდებლობის პერიოდში დაუსრულებლად გრძელდებოდა ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებები. ის რაც 1921 წლის კონსტიტუციით დადგინდა, არასოდეს დანერგილა ამ კონსტიტუციის ვერამოქმედების გამო. ამის შემდგომ, თბილისის (თუნდაც წითელის, მაგრამ ისტორიიდან ბოლომდე არაფერი იშლება) თანხმობით, აფხაზეთს 10 წლის განმავლობაში ჰქონდა საქართველოსთან ასოცირებული რესპუბლიკის სტატუსი.

მოგვიანებით კი დაიწყო აფხაზეთის მიწების მასობრივი ათვისება ქართული მოსახლეობის მხრიდან, რასაც ცენტრალიზებული ხასიათი ჰქონდა. პროცესს თან ახლდა აფხაზური ენის შევიწროება სკოლებში. რაც არ უნდა უნიადაგო იყოს ამ ყველაფერში დღევანდელი ქართული საზოგადოებისა და პოლიტიკის დადანაშაულება, თანამედროვე აფხაზთა ცნობიერებაში ღრმად არის აღბეჭდილი ფაქტი, რომ მათი უბედურებებით როგორც მუხაჯირობისას, ისე საბჭოთა ეპოქაში, ქართველმაც ისარგებლა. სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, მოკლედ ვიტყვი, რომ ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის შემთხვევაში, მნიშვნელოვანწილად, საპირისპირო პროცესებს ჰქონდა ადგილი.

შესაბამისად, თანამედროვე აფხაზის ნაციონალური თვითშეგნება, ისტორიული ბედუკუღმართობის გამო, სწორედ ქართველთან პაექრობაში გამოიწრთო. ბოლოს იყო ომი, რომელშიც ჩვენ დავმარცხდით. ის, რომ მარცხის მიზეზებში დიდი იყო რუსულ-ჩრდილოკავკასიური ფაქტორის როლი, არ ამცირებს როგორც ქართული არაორგანიზებულობის, ისე თავად მარცხის, როგორც ისტორიულ-პოლიტიკური ფაქტის მნიშვნელობას.

2004 წელს კი აფხაზეთში, ისევე როგორც ჩვენთან, მოვიდა ხელისუფლება, რომელსაც აქვს სამოქალაქო საზოგადოებასთან თანაზიარობის რესურსი. ხაჯინბა-ბაგაფშს შორის ამ უკანასკნელის თუნდაც არასრულ გამარჯვებას, ნამდვილად აქვს ეთნიკურად შეზღუდული, მაგრამ მაინც დემოკრატიული რევოლუციის ნიშნები.

ვინც აფხაზებს იცნობს, დამემოწმება, რომ პრორუსულობა არაა მათი აკვიატებული იდეა. ჩვენ რომ პრორუსული კურსი აგვერჩია, აფხაზური ინტელიგენციის და პოლიტიკური წრეების დიდი ნაწილი, ვფიქრობ, პროამერიკელობას თუ პროთურქობას დაიჩემებდა და ეგებ არც თუ მთლად უშედეგოდ. საქმე ჩვენს შორის საუკუნეზე მეტ ხანს მიმდინარე გაუგებრობა და ქიშპია, რითაც რუსეთი სარგებლობდა და სარგებლობს, მაგრამ ეს ჩვენ არ გვათავისუფლებს ჩვენი წილი პასუხისმგებლობისაგან ამ პატარა, მაგრამ მეტად ამაყი ხალხის წინაშე.

მიუძღვის თუ არა აფხაზეთის ელიტას პასუხისმგებლობა როგორც თბილისის, ისე ათეულ ათასობით დევნილის წინაშე? რა თქმა უნდა. უდანაშაულო ადამიანები გამოდევნილნი იქნენ და რაც რა უნდა ამტკიცოს მავანმა, რომ ეს აფხაზური ხელმძღვანელობის ბრძანებით არ მომხდარა, რომ ომს თავისი ულმობელი ლოგიკა აქვს, ფაქტია, რომ მეცხრამეტე საუკუნეში რუსული ხიშტით, ქართველთა უკითხავად გაძევებული აფხაზების დაცარიელებულ მიწებზე ქართველთა დასახლება ქართველთა მხრიდან ბევრად მშვიდობიანი პროცესი იყო. გვაქვს თუ არა არგუმენტები, რათა გვწყინდეს თანაზიარი ისტორიის შემოქმედი აფხაზებისაგან, რომ ჩვენს ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას მათი გულშემატკივრობა არ ამშვენებდა - სუბიექტურ/ემოციურ დონეზე - აუცილებლად. მაგრამ როგორც ჩვენ, ისე აფხაზებმა (უპირველეს ყოვლისა კი ჩვენ, რადგან დღევანდელი სტატუს ქვოს შეცვლა სწორედ ჩვენ გვინდა), უნდა გავიცნობიეროთ ურთიერთწყენანი და ურთიერთდაპირისპირების პოლიტიკის არჩევით მომდგარი საზიარო ზიანიც.

აღარ გავაგრძელებ ისტორიულ და მორალურ წიაღსვლებს და ვიტყვი, რომ ჩემი აზრით, პუტინთან საუბრისას საქართველოს პრეზიდენტის პოზიციებისა და ჩვენი ეროვნული ინტერესის განმამტკიცებელი იქნება, თუ ამ საკვანძო საკითხზე შემდეგ მიდგომაზე შევთანხმდებით:

- ყველა კონფლიქტი სპეციფიკურია. საერთაშორისო სამართალში პრეცედენტის ძალა უკიდეგანო არაა და არა თუ აფხაზეთსა და კოსოვოს შორის, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის ტოლობის ხაზის გავლება სწორხაზოვანებაა. ამით ქართული პოზიცია მაქსიმალურად დაემთხვევა აშშ-სა და ევროპის კავშირის ზოგად მიდგომას ისე, რომ რუსეთს საპასუხო ბევრი არაფერი დარჩეს. რუსეთის განიარაღების საწინდარი კი შემდეგ პუნქტშია;

- ქართულ-აფხაზური პრობლემის სპეციფიკა იძლევა იმის საშუალებას, რომ ქართული მხარე დათანხმდეს აფხაზებთან ერთად განიხილოს ნებისმიერი საკითხი, დაიწყოს თანამშრომლობა პარიტეტულ დონეზე, ერთი პირობით - სტატუსის საკითხის საბოლოო გადაწყვეტა გადაიდოს, დევნილების დაბრუნების ეტაპობრივი გეგმა კი შემუშავდეს და მისი განხორციელების დაწყებაც დროში გაიწეროს.

აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ ცოტა ხნის წინ თბილისში ჩამოტანილი წინადადებების პაკეტი მთლიანობაში მიუღებელია. იგი საქართველოს აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას სთხოვს, რასაც უახლოეს თვალსაწიერში არანაირი ქართული პოლიტიკური ელიტა არ დათანხმდება. მაგრამ ამ წინადადებებში არ უნდა გამოგვრჩენოდა, რომ ა) პირველად ისმის აფხაზთაგან ასეთი თხოვნა; ბ) აფხაზები ამ საკითხის გადაწყვეტას არ მიიჩნევენ სხვა საკითხებში თანამშრომლობის უპირობო საწინდრად; გ) ბუნდოვანად, მაგრამ მაინც ჩანს დევნილთა საკითხის გლობალურად გადაწყვეტაზე მზაობა.

ბაგაფშის მთავრობა ორ ცეცხლს შუაა. მას აშინებს რუსეთიდან მომდინარე ასიმილატორული და ავტორიტარული იმპულსები, მაგრამ კიდევ უფრო აშფოთებს ქართული ნაციონალიზმის შესაძლო ახალი ამოფრქვევა, გნებავთ, რევანშის მცდელობა. ჩვენ ამ გაჭირვებით უნდა „ვისარგებლოთ,“ მაგრამ არა იმ გაგებით, რომ მისი და მისი მთავრობის მდგომარეობა გავართულოთ, არამედ იმით, რომ საქართველოში რუსული დომინირების მისაღები და სასარგებლო ალტერნატივა დავანახოთ. ამის პოტენციალი არის, მაგრამ მეტად ხანგრძლივი იყო უნდობლობა და ურთიერთწყენა, მეტად დიდი იყო დაღვრილი სისხლი. და მაინც, ბაგაფშის განცხადებებში, რომელთა დაკონკრეტებას აქ არ შევუდგები, იგრძნობა ქართველთა მშვიდობიანი ნაბიჯების და საპასუხო ნაბიჯებზე წასვლის სურვილი. ეს კი ჩვენი დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის ურთულესი პრობლემის გადაწყვეტის ადგილობრივი, ჩვენეული ნიადაგია. ასეთი ნიადაგის გარეშე, მხოლოდ უცხოური ძალების ურთიერთგაწონასწორების მცდელობებზე აგებული პოლიტიკა შეიძლება უსასრულოდ გაიჭიმოს და არც რუსეთთან საქმეთა მოგვარების, არც ნატოში ინტეგრირების საშუალება არ მოგვცეს. ამდენად, წერილის დასაწყისში ნახსენები სასურველი განტოლების კიდევ ერთი ცვლადი ბაგაფშია.

P.S. 2004 წელს აშშ-ს იმჟამინდელი სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი თბილისში სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდა. კითხვაზე, შესაძლებელია თუ არა, რომ კონფლიქტების დარეგულირების გარეშე, მაგრამ მათ დინამიკაში მკაფიო პოზიტიური ელემენტების ჩვენებით საქართველო ნატოს წევრი გახდეს? Sure! (რა თქმა უნდა) იყო მოკლე პასუხი. მე მგონია, ჩვენი ორივე ეროვნული ინტერესის განსახორციელებლად და რუსული გავლენების შესამცირებლად მორიგი შეხვედრა სააკაშვილსა და ბაგაფშს შორის უნდა გაიმართოს.

*4 ივნისი, 2006 წელი*




## რუსეთის დუმის დელეგაცია საქართველოში

საქართველოში რუსეთის ფედერაციის დუმის დელეგაცია ჩამოდის. დელეგაცია, სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს მიხეილ მაჭავარიანს შეხვდება.

გაიმართება აგრეთვე შეხვედრები პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი თარგამაძესთან, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კონსტანტინე გაბაშვილთან, საქართველოს სახელმწიფო მინისტრთან კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში, გიორგი ხაინდრავასთან, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მერაბ ანთაძესთან.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ნინო ბურჯანაძეს რუსეთის ფედერაციის დუმის დელეგაცია 6 ივნისს შეხვდება და ამავე დღეს საერთაშორისო სააგენტო „რია-ნოვოსტის“ ოფისში პრესკონფერენციას გამართავს.

რუსეთის ფედერაციის დუმის დელეგაცია, სამდღიანი **ინტერპრესნიუსი** სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, რუსეთის საელჩოშიც გამართავს შეხვედრას.

*ინტერპრესნიუსი*

## ჩეხეთის საპარლამენტო არჩევნების შედეგები

ჩეხეთის საპარლამენტო არჩევნები დასრულდა. ეგზიტპოლების შედეგებით, ლიდერობდა „სამოქალაქო დემოკრატიული პარტია“, თუმცა წინასწარი ოფიციალური შედეგების გამოქვეყნება ცხადყოფს, რომ „სამოქალაქო დემოკრატები“, რომლის დამფუძნებელი და ლიდერი მოქმედი პრეზიდენტი ვაცლავ კლაუსია, და მისი მოკავშირეები დეპუტატთა მანდატების მხოლოდ ნახევარს მიიღებენ. მათ 35,38 პროცენტი მიიღეს.

ჩეხეთის „სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ“, რომელიც უკვე 8 წელია ხელისუფლებაშია, ამომრჩეველთა 32,32 პროცენტი დააგროვა, კომუნისტებმა კი - 12,81 პროცენტი. საბოლოო ჯამში, „მემარჯვენეებმა“ და „მემარცხენეებმა“ ჩეხეთის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში 100-100 მანდატი მიიღეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ვერც ერთი პარტია მთავრობის დამოუკიდებლად ფორმირებას ვერ შეძლებს.

*ინტერპრესნიუსი*

## მონტენეგრო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარეს

ჩერნოგორია სკუპშჩინის საზეიმო სხდომაზე დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარეს. სხდომის პროტოკოლის თანახმად, გაისმა ჩერნოგორიის ძველი ჰიმნი. რეფერენდუმის კომიტეტის თავმჯდომარე ფრანტიშეკ ლიპკამ კი, კიდევ ერთხელ გააჟღერა რეფერენდუმის საბოლოო შედეგები. რეფერენდუმზე, რომელიც ქვეყნის დამოუკიდებლობის საკითხს ეხებოდა, 55,5 პროცენტმა ხმა ჩერნოგორიის დამოუკიდებლობას მისცა. გადაწყვეტილება ჩერნოგორიის დამოუკიდებლობისა და მისი სუვერენიტეტის დეკლარაციის მიღების შესახებ ერთხმადაა მიღებული.

*ინტერპრესნიუსი*

არსი
არქიტექტურა და სამშენებლო მენეჯმენტი
1989 წლიდან

## არსის" რჩევები მომხმარებელს - როგორ შევარჩიოთ სასურველი ბინა

### იყავით აქტიური და არ დაიზაროთ სამშენებლო პოლიგონზე მისვლა

**უკვე გადაწყვიტეთ სად სჯობს ბინის შეძენა ძველ თუ მშენებარე სახლში? მოგწონთ და გაკმაყოფილებთ მის გარშემო არსებული გარემო, ინფრასტრუქტურა, ტრანსპორტაბელურობა? თუ ყველაფერი რიგზეა, მაშინ სასურველი ბინის შერჩევა თქვენთვის პრობლემას აღარ წამოადგენს. თუმცა ჩვენი რჩევაა გადაწყვეტილების მიღებას მაინც ნუ იჩქარებთ, გაანალიზეთ თქვენი არჩევანი და ყურადღება სხვა ფაქტორებზეც გაამახვილეთ, რათა თქვენი გადაწყვეტილება მყარი და წარმატებული იყოს.**

**დღევანდელი თემაა: როგორ მოვახდინოთ ხარისხის კონტროლი, რას უნდა მივაქციოთ ყურადღება ბინის მშენებლობის პროცესში, ჩაბარებისას მისთვის დამახასიათებელი რა თავისებურებებია გასათვალისწინებელი, რათა გამოუცდელობითა და აჩქარებით გამოწვეული შეცდომები თავიდან აიცილოთ და თქვენივე არჩევანით უკმაყოფილო არ დარჩეთ.**

მნიშვნელოვანია, რომ ხარისხი სამშენებლო ბიზნესში შენობა-ნაგებობების ფუნქციონალურობას, საიმედოობას და ესთეტიკურობას გულისხმობს, რაზეც ზოგიერთი სამშენებლო კომპანია არ ზრუნავს და შედეგად მომხმარებელი ზარალდება.

შერჩეული ბინის ხარისხის კონტროლი შეიძლება 3 სტადიად დაიყოს, ესენია:

**1. წინასწარი კონტროლი.** შენობის ხარისხის შესახებ წარმოდგენა შესაძლებელია მშენებლობის დაწყებამდე ანუ მშენებლობის ადრეულ სტადიაზეც გაგიჩნდეთ. ამისათვის საკმარისია გაანალიზოთ და გაერკვეთ მშენებლობის გრაფიკში, რომელსაც სამშენებლო კომპანია ხელშეკრულებით გთავაზობთ. მაგრამ თუ კომპანიას წინასწარ არ აქვს განსაზღვრული დაწყების და დასრულების ვადები შემდეგი სატადიებისათვის: 1. ტერიტორიის შემოღობვა; 2. მიწის სამუშაოები; 3. საძირკველის ამოღება; 4. ცალკეული სართულის კარკასის ამოყვანა; 5. ცალკეული სართულის შევსება; 6. სახლის ჩაბარება; 7. გარემოს კეთილმოწყობა; 8. სახლის ექსპლოატაციაში შესვლა. მაშინ დიდია ალბათობა იმისა, რომ ეს კომპანია არაორგანიზებულია და სასურველია მისი სანდოობა ეჭვქვეშ დააყენოთ. მშენებლობა, რამდენადაც არ უნდა გვინდოდეს, მაინც გაიწელება - ეს არის ყველაზე არასასურველი მომენტი, რაც შეიძლება არასრულყოფილ ხელშეკრულებას მოჰყვეს,

ამის გარდა იკითხეთ ხარისხის კონტროლის რა მეთოდებს იყენებს კომპანია მშენებლობისას? ატარებს თუ არა ბეტონის და არმატურის ლაბორატორიულ შემოწმებებს.

და მაინც, კომპანიის მიერ შემოთავაზებულ ვადებში რომ არ მოტყუვდეთ, იცოდეთ, რომ საქართველოში თითო სართულის კარკასის ამოყვანას, თვენავენახევარი მაინც სჭირდება, ესეც კარგი ტემპის პირობებში (საზღვარგარეთ 4 სართული ჩვეულებრივ ტემპად ითვლება). საძირკველის სამუშაოებს თვე-თვენახევარი (ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება ოდნავ მეტი დასჭირდეს ეს დამიკოდებულია ადგილის გეოლოგიაზე).

შესაბამისად თუ მენაშენეს 10 სართულიანი სახლის მშენებლობა არ დაუწყია და გპირდებათ, რომ 12 თვეში დაასრულებს, არ დაუჯეროთ!

**2. კონტროლი მშენებლობის პროცესში** - მშენებლობის პროცესში კონტროლი კი გაცილებით რთული საკითხია, რადგან აქ სპეციალური გამოცდილებაა საჭირო. თუმცა თქვენ შეგიძლიათ აკონტროლოთ ვადები, რამდენად მიჰყვება მშენებელი დათქმულ გრაფიკს, ხომ არა აქვს ჩამორჩენები და თუ არსებობს მსგავსი შემთხვევები, გამოიძიეთ მშენებლობის დაგვიანების გამომწვევი მიზეზები, . ამის გარდა, თუ მშენებლობა ზამთარში მიმდინარეობს შეგიძლიათ გააკონტროლოთ მშენებელის ქმედებები, კერძოდ, ხომ არ ასხამს ბეტონს -4 გრადუსიან ყინვაში, რადგან ასეთი რამ დაუშვებელია, და შენობის ხარისხზეც უსათუოდ აისახება.

თუ თქვენს ბინაში ტიხრებს აშენებენ, გაიგეთ მისი დაწყების დრო და თვალი ადევნეთ, დროდადრო შეუარეთ და მოინახულეთ. სასურველია ტიხრები შელესვამდეც გააკონტროლოთ, კერძოდ, ტიხრები იმ ადგილას დასვეს, სადაც თქვენ გინდოდათ თუ არა. ამის გარდა გააკონტროლეთ ფართი, რადგან შესაძლოა ნახაზთან შედარებით ცდომილებები იყოს. და კიდევ გააკონტროლეთ ტიხრების ბმები ძირითად კონსტრუქციასთან. თუ შიდა ტიხრები სახლის კონსტრუქციებთან არმატურით არაა დაკავშირებული, მაშინ სახლის ჩაბარებიდან გარკვეული პერიოდის განმავლობაში ტიხრებისა და სახლის კონსტრუქციების გადაბმის ადგილას ბზარები გაჩნდება, რაც სახლის "დაჯდომის" შედეგია. "სახლის ჯდობა" ბუნებრივი პროცესია და მშენებლობის დასრულებიდან 2-3 წლამდე გრძელდება, თუ ამ დროს კედლებს შორის მტკიცე კავშირი არაა პატარა ბზარები ჩნდება, რომელიც მართალია, საშიშროებას არ წარმოადგენს, მაგრამ არაესთეტიურია.

გარდა ამისა, თუ თქვენს ბინაში იატაკის მოჭიმვას აკეთებენ, დარწმუნდით, რომ მოჭიმვა ტიხრების გაკეთების შემდეგ კეთდება (სხვანაირად მოჭიმვა გაფუჭდება). ამასთან თუ კომპანია ბინის გათბობის სისტემას არ ამონტაჟებს, ეცადეთ მასზე დროულად იზრუნოთ და გათბობის გაყვანილობა იატაკის მოჭიმვამდე გააკეთოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში მოჭიმული იატაკის ამონგრევა მოგიწევთ, რაც დამატებით ხარჯებს გამოიწვევს და მოჭიმვის მთლიანობის მოშლაც გარდაუვალი იქნება.

**3. კონტროლი ბინის ჩაბარებისას** - მაქსიმალური ყურადღება გამოიჩინეთ ბინის ჩაბარებისას. არ დაიზაროთ და ხშირად მოინახულეთ თქვენი ბინა. ხარვეზი ყველა მშენებელს ეპარება, პროფესინალსაც კი... და რაც უფრო მალე აღმოაჩენთ ხარვეზს, მით უფრო მარტივი და იოლია მისი გამოსწორება.

სასურველია, მშენებლობის პროცესში შეადაროთ აშენებული ბინის პარამეტრები ნახაზს, რათა მოსალოდნელი პრობლემები თავიდან აიცილოთ.

დარწმუნდით, რომ კედლები კარგადაა შელესილი. კარგად შელესილი კედელი ხელის მიკაკუნებისას ფუყე ხმას არ უნდა გამოსცემდეს, ზედაპირი კი გლუვი და თანაბარი იყოს.

დარწმუნდით, რომ იატაკის მოჭიმვა კარგი ხარისხისაა?! მაშინ იმოქმედეთ, გამოიჩინეთ ცნობისმოყვარეობა და შეამოწმეთ. ერთი მხრივ, კარგი ხარისხის მოჭიმვა ფხვიერი არ უნდა იყოს და ქვიშად არ უნდა იქცეოდეს, მეორე მხრივ ზედმეტი სიმკვრივეც მიუღებელია, რადგან მასში ლურსმანი პარკეტის დაგებისას იოლად ჩავიდეს.

გაარკვიეთ როდის მოხდება დენის, გაზის და ლიფტების ჩართვა, დარწმუნდით, რომ გარემოს კეთილმოწყობა ისე მოხდება, როგორც პროექტით იყო გათვალისწინებული.

თუ ახალ ბინაში გადაბარგებას, ჯერჯერობით, არ გეგმავთ. პერიოდულად მოინახულეთ, დაათვალიერეთ კედლები, სველი წერტილები, გაწმინდეთ აივანი, რადგან შესაძლოა აივანზე წყლის გადამყვანები მტვერმა ან ჭუჭყმა გაჭედოს, წყალი დაგუბდეს და ოთახამდეც შემოაღწიოს, შედეგად გაჯი გაგიფუჭოთ, ან ზამთარში გაიყინოს და მეტლახი დაგიმტვრიოთ და ასე შემდეგ.

ერთი სიტყვით, იმისათვის რომ ბინა ყველა ფაქტორის გათვალისწინებით იყოს სასურველი და ამავე დროს ხარისხიანად ნაგები, ჩვენი რჩევაა: იყავით აქტიური, ცნობისმოყვარე და არ დაიზაროთ სამშენებლო პოლიგონზე მისვლა.

და ბოლოს, მხოლოდ სახლის გარშემო შექმნილი კომფორტული გარემო, ინფრასტრუქტურა და ტრანსპორტაბელურობა არ განსაზღვრას შერჩეული ბინის ღირებულებას. ის ყველა ფაქტორის გათვალისწინებით უნდა იყოს სასურველი, ეფექტური, უნიკალური და რაც უმთავრესია ხარისხიანი. სასრუველი ბინის შერჩევა არც ისე იოლია, უფრო მეტიც, დიდი პასუხიმგებლობა და სერიოზულობა გმართებთ.

ალბათ ეს ინფორმაცია დაგეხმარებათ როგორ აწარმოოთ ხარისხის კონტროლი ბინის მშნებლობისას, ამასთან გაითვალისწინოთ ახალააშენებული ბინისთვის დამახასიათებელი ის სპეციფიკური ფაქტორები, რაც უსიამოვნო შემთხვევებს თავიდან აგაცილებთ. ამ თემაზე დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, შეგიძლიათ მოგვმართოთ ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

მომავალი ორშაბათის თემაა: ბინის შეძენასთან დაკავშირებული ფინანსური საკითხები, რა უნდა გავითვალისწინოთ გადახდის პირობების განსაზღვრისას, რა სპეციფიკური მიდგომები არსებობს და ასე შემდეგ. გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი შეკითხვები ამ საკითხთან დაკავშირებით.

*გემშვიდობებით მომავალ ორშაბათამდე,*
*"არსის" აღმასრულებელი დირექტორი თორნიკე აბულაძე*

**დაგვიკავშირდით: არქიტექტურისა და სამშენებლო მენეჯმენტის კომპანია '"არსი"**
**ტელ: 25-19-04**
**info@arci.ge, www.arci.ge**

**კომპანია "არსი" ატარებს უფასო კონსულტაციებს უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. დაინტერესებულ პირების შეგიძლიათ მობრძანდეთ ყოველ შაბათ-კვირას, 11.00-დან 16.00 საათამდე, კომპანია "არსის" ოფისში თ.აბულაძის 21 (ვაკის ეკლესიის უკან).**

პრეცედენტი

# უდანაშაულო დამნაშავე

*უზენაესმა სასამართლომ სასამართლო დარბაზიდან კიდევ ერთი პატიმარი გაათავისუფლა და თანაც გაამართლა. მიხეილ ქობალიას საქმეს თავისუფლად შეიძლება ეწოდოს სამართალწარმოების კურიოზი, რადგან, საქმე ისაა, რომ სამართალდამცველთა დაუდევრობისა და არაპროფესიონალიზმის გამო, აბსოლუტურად უდანაშაულო მიხეილ ქობალია ცხრა თვის მანძილზე საპყრობილეში იყო გამოკეტილი - იგი მისი ძმის შალვა ლაშხის მაგივრად დააპატიმრეს და მიუხედავად იმისა, რომ მთელი ცხრა თვის მანძილზე თავის უდანაშაულობის დამტკიცებას ცდილობდა, სამართალდამცველ სტრუქტურებს დახმარებისთვის არაერთხელ მიმართა, მისი საქმით არავინ დაინტერესებულა.*



*სასამართლოებში პრეცედენტული განაჩენები მატულობს.*

მიხეილ ქობალია 2005 წლის 4 სექტემბერს თბილისის აეროპორტში დააკავეს. საქმე ისაა, რომ 2002 წლის 8 სექტემბერს მიხეილ ქობალიას ნახევარძმამ შალვა ლაშხმა, ძმის დაუკითხავად, მისი საბჭოური პასპორტით ისარგებლა და ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მეგობარს "მარიხუანა" მიუტანა. შალვა ლაშხი დააკავეს და ძმის მიხეილ ქობალიას სახელით გაასამართლეს, რადგანაც დაკავებისას მისი პასპორტი აღმოუჩინეს.

მიხეილ ქობალიად მონათლულ შალვა ლაშხს სასამართლომ პირობითი სამწლიანი სასჯელი დააკისრა. მსჯავრდებული რეგულარულად ცხადდებოდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის დეპარტამენტის ბიუროში, სადაც იგი მიხეილ ქობალიას სახელით იყო რეგისტრიტებული. არასაპატიმრო სასჯელის მოხდის დროს ლაშხმა დანაშაული ჩაიდინა, რის გამოც, ის მეორედ დააკავეს, ამჯერად - როგორც შალვა ლაშხი. ამიტომ, ის ვეღარ გამოცხადდა პრობაციის ბიუროში, რის გამოც, დამრღვევ მიხეილ ქობალიაზე დაპატიმრების სანქცია გაიცა.

მთელი ამ ხნის მანძილზე მიხეილ ქობალია რუსეთში იმყოფებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც შეიტყო რომ იძებნებოდა, სიტუაციაში გასარკვევად რუსეთიდან საქართველოში ჩამოვიდა, სადაც, როგორც ძებნილი, 2005 წლის 4 სექტემბერს თბილისის აეროპორტში დააკავეს კიდეც. დამნაშავედ გამოცხადებული უდანაშაულო მიხეილ ქობალია 9 თვის განმავლობაში მისი ძმის ნაცვლად იყო დაპატიმრებული და, როგორც ჩანს, ქობალიას ბედით არც არავინ დაინტერესდებოდა, რომ არა - სახალხო დამცველის აპარატი. 28 აპრილს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა პატიმარ მიხეილ ქობალიას ადვოკატმა, რომელიც აცხადებდა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი ქობალია უკანონო პატიმარი იყო.

საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ზურაბ ადეიშვილმა მიხეილ ქობალიას მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის გადასინჯვის შემდეგ, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, წარმოება აღძრა და უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას წარდგინებით მიმართა. მაგრამ, როგორც ქობალიას ადვოკატი აცხადებს, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე უზენაეს სასამართლოს 2006 წლის 6 მარტს გადაეცა, იგი კარგა ხნის მანძილზე არ ჰქონდა ჩაბარებული მოსამართლეს, რაც მიხეილ ქობალიას უკანონო პატიმრობას ახანგრძლივებდა. ადვოკატის თქმით, მას ზეპირად განუცხადეს, რომ, სასამართლოს გადატვირთულობის გამო, საქმე სექტემბრამდე ვერ ჩაინიშნებოდა.

11 მაისს სახალხო დამცველმა წერილით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს აპარატის უფროსს გიორგი ბერძულს. 29 მაისს, უზენაესი სასამართლოდან მიღებული პასუხის თანახმად, 17 მაისს აღნიშნული საქმე სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლეს ლევან მურუსიძეს დაეწერა. თუმცა, საქმეთა სიმრავლის გამო, მიხეილ ქობალიას ბრალდების საქმე ჩანიშნული არ იყო, მაგრამ განხილვის თარიღი უახლოეს პერიოდში მხარეებს ეცნობებოდა.

საბოლოოდ, მიხეილ ქობალიას საქმის არსებითი განხილვა 2 ივნისს შედგა და სასამართლომ მიხეილ ქობალია უდანაშაულოდ ცნო - სასამართლო დარბაზიდან დაუყოვნებლივ გაათავისუფლა.

**"მივესალმები უკანონოდ დაკავებული მიხეილ ქობალიას გათავისუფლების ფაქტს, თუმცა შეშფოთებას გამოვთქვამ იმის გამო, რომ უდანაშაულო ადამიანმა 9 თვე უკანონო პატიმრობაში გაატარა და მიუხედავად იმისა, რომ ამის შესახებ ცნობილი იყო შესაბამისი სტრუქტურებისთვის, უკანონობის დროულად აღსაკვეთად არაფერი იღონეს"**, - აცხადებს სახალხო დამცველი, რომელიც მოითხოვს კანონის შესაბამისად დაისაჯოს ყველა ის პასუხისმგებელი პირი, რომელთაც ბრალი მიუძღვით უდანაშაულო ადამიანის უკანონო პატიმრობაში.

**24 საათი**

# ბრალდებული და დაზარალებული თურქეთის მოქალაქეები

პირველი გვერდიდან

შემუშავებული გეგმის მიხედვით, მეგობრებმა წინასწარ შეისწავლეს ქემიკლერის მარშრუტი. 2005 წლის 15 თებერვალს მესუთ თავასლი და გიორგი ბურჯანაძე მივიდნენ თურქულ რესტორან "არმაზში", სადაც ქემიკლერი იმყოფებოდა. იქვე დაიბარეს ბაგალიშვილი, რომელიც დათქმულ ადგილზე საკუთარი ავტომობილით გამოცხადდა. თავასლიმ თავისი თანამემამულე რესტორნიდან მოტყუებით გაიყვანა ქუჩაში. მეგობრებმა იგი იძულებით ჩასვეს მანქანაში და ქეთევან წამებულის ქუჩაზე, თავასლის საცხოვრებელ სახლში მიიყვანეს.

გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში ქემიკლერი მარწმუნებდა, რომ გამტაცებლები მას მთელი ღამის განმავლობაში აწამებდნენ და ფულის მიტანას სთხოვდნენ, მეორე დღეს კი ხელწერილი დააწერინეს, რომლის თანახმადაც, გამტაცებლებისთვის 6500 დოლარი უნდა მიეტანა. "დოკუმენტის" მიღების შემდეგ იგი გაათავისუფლეს.

ქემიკლერმა გამტაცებლებს პირველად - 1500 დოლარი, შემდეგ 1000 დოლარი გადაუხადა, მოგვიანებით კი, თავასლის 500 დოლარის ღირებულების სხვადასხვა ნივთი მიუტანა. იმის გამო, რომ გათავისუფლებულმა თურქმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა ბოლომდე არ გადაიხადა, გამტაცებლებმა იგი ერთ თვეში კვლავ გაიტაცეს და ისევ თავასლის ბინაში მიიყვანეს. საბრალდებო დასკვნის თანახმად, გამტაცებლებმა ქემიკლერი აიძულეს, დაესახელებინა ისეთი პიროვნება, რომელიც მათ მოთხოვნილი თანხის გადახდის გარანტიას მისცემდა.

ქემიკლერი იძულებული გახდა, დაკავშირებოდა თავის მეგობარ ალაზ ალიაზოვს და დასახელებულ მისამართზე ანუ თავასლის სახლში მისვლა ეთხოვა. გამტაცებლებმა ალაზოვს, ქემიკლერის სანაცვლოდ, 3250 დოლარის გადახდა მოსთხოვეს, თუმცა მას აღნიშნული თანხა არ აღმოაჩნდა. მესუდ თავასლი, თეიმურაზ ბაგალიშვილი და გიორგი ბურჯანაძე კვლავ ხელწერილის დადებით დაკმაყოფილდნენ, ოღონდ ამჯერად თურქს თანხის გადასახდელად მხოლოდ ათდღიანი ვადა მისცეს. გათავისუფლების შემდეგ ქემიკლერს გამტაცებლები სახლში გაჰყვნენ, საიდანაც ფასეული ნივთების წამოღება სურდათ. სახლში მათ იპოვეს და მიითვისეს "ნოკიას" ფირმის მობილური ტელეფონი და 1000 დოლარი, ამის შემდეგ კი გაიქცნენ. მომხდარის შესახებ ქემიკლერმა პოლიციაში განცხადება შეიტანა, რამდენიმეთვიანი ძებნის შემდეგ სამართალდამცველებმა სამივე დამნაშავე დააკავეს. მესუდ თავასლი, თეიმურაზ ბაგალიშვილი და გიორგი ბურჯანაძე, თითქმის ერთი წელია, საპყრობილეში არიან და მართლმსაჯულების საბოლოო ვერდიქტს ელიან.

*24 საათი*

# გუანტანამოდან 120 პატიმარს გაათავისუფლებენ

როგორც პენტაგონის წარმომადგენელი ჯეფრი გორდონი აცხადებს, ამერიკის შეერთებული შტატები მზად არის, გუანტანამოს ციხიდან 120 ტყვე გაათავისუფლოს. თუმცა, მისივე თქმით, 120 პატიმრის გათავისუფლება უახლოეს მომავალში არ მოხდება. აშშ გარანტიას ითხოვს, რომ გათავისუფლებულები არ დაუბრუნდებიან ბრძოლის ველს. როგორც გორდონი ამტკიცებს, ამჟამად გუანტანამოს ბაზაზე 460 ტყვეა და მათი რიცხვი თანდათანობით მცირდება. მაისში საუდის არაბეთში გადაიგზავნა ამ ქვეყნის 15 მოქალაქე, რომლებიც აღნიშნულ ბაზაზე იმყოფებოდნენ. გუანტანამოს ბაზიდან სულ 95 ტყვე გადაიყვანეს და 192 გაათავისუფლეს. ტყვეები გადაიყვანეს ალბანეთში, ინგლისში, ავღანეთში, ავსტრალიაში, ბახრეინში, ბელგიაში, დანიაში, საფრანგეთში, კუვეიტში, მაროკოში, პაკისტანში, რუსეთში, საუდის არაბეთში, ესპანეთში, შვედეთში და უგანდაში. მიუხედავად იმისა, რომ პატიმრების რიცხვი დღითი დღე მცირდება, გუნტანამოში 89 პატიმარი კვლავ განაგრძობს შიმშილობას.

*ჯი-ეიჩ-ენი*

მოკლედ

### თავდასხმა საზღვართან

სროლის ხმა ისმოდა ზუგდიდი-გალის ადმინისტრაციულ საზღვართან. საქმე ისაა, რომ თავდასხმა მოხდა იმ მუშებზე, რომლებიც მდინარე ენგურის ნაპირზე ნაპირსამაგრ სამუშაოებს აწარმოებდნენ.

ზუგდიდის რაიონის სოფელ შამგონას ესაზღვრება გალის რაიონის სოფელი თაგილონი, სადაც იმ წუთებში იმყოფებოდნენ აფხაზი მებაჟეები. მუშების მისამართით სწორედ მათ გახსნეს ავტომატური იარაღიდან ცეცხლი. სროლები, დაახლოებით, 20 წუთის განმავლობაში გრძელდებოდა. სროლის შედეგად არავინ დაშავებულა.

როგორც გაირკვა, აფხაზი მებაჟეები გალის რაიონის სოფელ თაგილონში შესული არიან იმისათვის, რომ ზუგდიდის რაიონში გადამსვლელი თითოეული მოსახლისაგან, ბაჟის სახით, ხუთი ლარი ან მისი შესაბამისი რუსული რუბლი აკრიფონ.

*ინტერპრესნიუსი*

### ანტიტერორისტული ცენტრი ოჩამჩირეში

ოჩამჩირის რაიონში სოხუმის სეპარატისტული ხელისუფლების შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრი შეიქმნა, რომლის სასწავლო ბანაკი აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშმა და სოხუმის შინაგან საქმეთა მინისტრმა ოთარ ხეციამ მოინახულეს.

ბაგაფში სასწავლო-საწვრთნელ პროცესსა და ახლად დაფუძნებული ცენტრის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას ადგილზე გაეცნო.

ცენტრის თანამშრომლებმა სტაჟირება მაიკოპში გაიარეს. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისას მათ ყველა ძალოვან სტრუქტურასთან თანამშრომლობა ევალებათ.

სოხუმის ხელისუფლების შინაგან საქმეთა მინისტრის ოთარ ხეციას განცხადებით, ანტიტერორისტული ცენტრის წევრები ყოველთვის მზადყოფნაში იქნებიან, ებრძოლონ ტერორისტულ დაჯგუფებებს გალის რაიონის ქვედა და ზედა ზონაში და კოდორის ხეობაში.

*ინტერპრესნიუსი*

### ხაბულიანის მკვლელობის ვერსია

გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის, ცნობილი ქართველი ძიუდოისტის, დილარ ხაბულიანის ძმისშვილის, სერგო ხაბულიანის მკვლელობის საქმე გახსნილია. იძებნება მკვლელობაში ეჭვმიტანილი მიხეილ სვანიძე.

არაოფიციალური ინფორმაციით, ხაბულიანსა და სვანიძეს შორის შელაპარაკება რამდენიმე თვის წინ მოხდა, რაც, სავარაუდოდ, მკვლელობის საფუძვლი გახდა.

სერგო ხაბულიანი რამდენიმე დღის წინ ბარნოვის ქუჩაზე ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლეს. მას ხუთი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი. შემთხვევის ადგილიდან ამოღებული გილზები ექსპერტიზაზეა გაგზავნილი. სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა.

*ინტერპრესნიუსი*

### მკვლელობა ანგარიშსწორების მოტივით

ზუგდიდის რაიონის სოფელ ორულში მცხოვრები მოხუცი ცოლ-ქმრის ნაპო და თალიკო წურწუმიების მკვლელობაში ეჭვმიტანილ მიხეილ ცანავას ზუგდიდის რაიონის სასამართლომ წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა. გამოძიების ვერსიით, ეჭვმიტანილს გარდაცვლილებთან კონფლიქტი ჰქონდა, რის გამოც, მას სოფლის დატოვება მოუხდა. გამოძიებისვე ვერსიით, საქმეშიც სწორედ შურისძიების მოტივი იკვეთება. თუმცა, განსასჯელი წურწუმიებთან სერიოზულ დაპირისპირებას უარყოფს. ცოლ-ქმარი წურწუმიები ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით არიან მოკლულები. დაღუპულთა ცხედრები სახლში გვიან ღამით დაბრუნებულმა მათმა შვილმა აღმოაჩინა.

*მედიანიუსი*

**უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი**

______________________________

**ა ნ კ ე ტ ა**

**სახელი, გვარი**.....................................
**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**.....................................
**საკონტაქტო ტელეფონი**.....................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დაწერს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]

1. [illegible]
2. [illegible]
3. [illegible]
4. [illegible]
5. [illegible]
6. [illegible]
7. [illegible]
8. [illegible]
9. [illegible]
10. [illegible] "24 საათის" [illegible]
11. წერეთლის 77 [illegible] "გაპის" [illegible]

"24 საათის" მკითხველს, [illegible] თბილისი, წერეთლის გამზ.77 იურიდიული ოფისი "გაპი".

ნოდარ ლადარია

## მომავალ ორშაბათამდე!



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge



ხშირად მომდის მკითხველთა გამოხმაურებები — სხვადასხვა სახით. ზოგჯერ აღშფოთებით ან საყვედურით სავსეა ეს პასუხები. შეძლებისდაგვარად ყველას ან, ყოველ შემთხვევაში, მათ უმრავლესობას ვპასუხობ. პირადად. ვერ ვიხსენებ, როდის ჩავებმულვარ საჯარო პოლემიკაში. ალბათ არც ახლა ჩავებმები, უბრალოდ, არის რამდენიმე მოსაზრება, რის გამოც ვარჩიე ქვემოთ წინამდებარე ტექსტი საჯაროდ გამომექვეყნებინა.

საქმე ეხება ჩემს წინა, 29 ივნისის პუბლიკაციას, სადაც ლაპარაკი იყო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთ სამაგისტრო პროგრამაზე...

დაკვირვებული მკითხველი შეამჩნევდა, რომ ჩემს სტატიებში უკვე კარგა ხანია გაზეთ "24 საათის" კრიტიკას და მიმოხილვას კი არ ვეწევი, არამედ ჩვენი საზოგადოებრივი სინამდვილის იმ საკითხებს ვეხები, რაც მნიშვნელოვნად მიმაჩნია, თუ, რა თქმა უნდა, იმდენად მხნედ ვგრძნობ თავს მოცემულ საკითხში, რომ ჩემი ხმა სხვასაც გავაგონო. ზუსტად არ ვიცი, რამ გამოიწვია ასეთი ცვლილება, მაგრამ ობიექტურად შემდეგი შემიძლია ვთქვა: სულ უფრო იშვიათად ვნახულობ გაზეთში მასალებს, რომელთა მიმართ ისეთივე მწვავე ან ქედმაღლურ პოზიციას დავიკავებდი, როგორც ეს ხშირად ხდებოდა სამიოდე წლის წინათ. გაზეთის სახის ჩამოყალიბებასთან და განვითარებასთან ერთად, ბუნებრივია, ასეთ ცვლილებაზე ისიც მოქმედებს, რომ ოთხი წლის განმავლობაში ძნელია მკითხველის ყურადღება ჟურნალისტთა ერთი მცირე კოლექტივის ფარგლებში დაშვებული უზუსტობების კრიტიკით კვებო...

ამიტომაც სრულიად ბუნებრივია, რომ პრესომბუდსმენის მოვალეობას, რომელიც, თავისთავად, არავის გაუუქმებია, თანდათანობით შეეხიდა კოლუმნისტის საქმიანობაც. აქამდე ეს არავის გაჰკვირვებია, გარდა პროფ. **ლელა ალექსიძისა**, რომელიც წერს: "**პროფესიონალურად არასწორია, "პრესომბუდსმენი" განიხილავდეს სამაგისტრო პროგრამებს: ეს მისი საქმე არ არის თუ შემთხვევით პრესომბუდსმენი, ამავე დროს, ექსპერტიცაა, მან, როგორც ექსპერტმა, ეს სხვაგან, სხვა რუბრიკაში და სხვა ფორმით უნდა გააკეთოს**".

სხვა თუ არაფერი, სიტყვა "პრესომბუდსმენი" (თუ საქმე არა გვაქვს ოფიციალურ თანამდებობასთან) საკმაოდ ორაზროვანია, ჰოდა, გაზეთის რედაქციაც იტოვებს უფლებას სურვილისამებრ გამოიყენოს ის, რასაც მკითხველი უკვე ოთხი წლის განმავლობაში სცნობს და რისკენაც, ცნობილი მიზეზების გამო, ისწრაფვის. პირადად მე კი უფლებას ვიტოვებ, ვივარაუდო, რომ სწორედ მკითხველთა საზოგადოებაში ეს ცნობადობა გახდა პროფ. ალექსიძის მოყვანილი შენიშვნის ძირითადი სტიმული და არა პუბლიკაციის პროფესიული ადეკვატობა. თუმცა ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს: მკითხველს არაფერი დაუშავებია და ვალდებული არაა, დრო კარგოს წვრილმანი საკითხების გარკვევაში. მე მხოლოდ იმ მიზნით ვწერ, რომ მომხდარის საზოგადოებრივი მნიშვნელობა გაირკვეს — პროფ. ალექსიძის პასუხის ციტირებას მხოლოდ დამხმარე მნიშვნელობა ექნება. სხვათა შორის, არ ვიცი, სადმე დაიბეჭდა თუ არა. ასეა თუ ისე, ობიექტი ყოველთვის იმსახურებს შესწავლას.

ავხსნათ 29 მაისის სტატიის ძირითადი მოტივაცია.

1. რაიმე მოვლენის მნიშვნელობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში იმით განისაზღვრება, რაოდენ მწვავე და რა დონის დისკუსია იმართება მის გარშემო კრიზისულ პერიოდებში. ჩვენ ყველანი იმის მოწმენი ვართ, რომ, მიუხედავად აშკარად კრიზისული პერიოდისა, თსუ-ს გარშემო არავითარი დისკუსია არ წარმოებს. ჯერ კიდევ მაშინ, როცა საქართველოს მედია ლამის წაილეკა განათლების რეფორმის ირგვლივ ატეხილი კამათით, დისკუსიის დონე ნამდვილად ვერ აღწევდა იმ სიმაღლეს, როგორიც განათლების დამფასებელ საზოგადოებას შეჰფეროდა. მაშინ სხვებზე ოდნავ გონებაგახსნილი პროფესორები იმას ჩიოდნენ, რომ ერთმანეთს ორი "ექსტრემისტული" მხარე დაეტაკა, გონიერთა ხმა კი არ ისმოდა.

რატომღაც მიჩნეულია, რომ გონიერების ადგილი ყოველთვის ცენტრშია. ამას აქვს თავისი მიზეზები და თუ გაგვიმართლებს, იქნებ ამაზეც მოვასწროთ რამდენიმე სიტყვის თქმა...

დღეს თსუ-ს გარშემო საზოგადოებრივმა დისკუსიამ სულაც კარიკატურული ხასიათი მიიღო: მას უკვე აღარ ეთქმის საზოგადოებრივი, რადგან ერთი მცირე დაჯგუფების მუდმივი ისტერიული მღელვარებით შემოიფარგლება, რის გაჭირვებით "განიუსებას" არცთუ ძალიან ხშირი რეგულარობით ცდილობენ ყიჟინაზე მოფრენილი ჟურნალისტები.

ერთი მხრივ, შეიძლება ვთქვათ, რომ ამგვარი მდგომარეობა ადეკვატურად ასახავს თსუ-ს დღევანდელ საზოგადოებრივ მნიშვნელობას. მაგრამ ვითარების ამგვარად გამარტივება შედეგად დაავადების მწვავე ფაზა (ისედაც უფრო დუნედ მიმდინარე ეთქმის) მხოლოდ ახალი სახის ქრონიკულ კერად გარდაიქმნება, როგორც ეს ბოლო ათწლეულების განმავლობაში იყო.

2. გამჭვირვალობა აუცილებლად უნდა მოქმედებდეს: ჩვენ წამდაუწუმ ვხედავთ, როგორ ჩივიან ადამიანები, რომ კარგავენ სამსახურს, რომ მათ ატოვებინებენ თანამდებობებს და ა. შ. მაგრამ არავის, დააკვირდით, არავის არ უთქვამს და, მით უმეტეს, არ უჩვენებია, რატომ კარგავენ ეს ადამიანები თანამდებობებს. რაც შეეხება კრიტიკას, ის მთლიანად მოქცეულია კერძო სფეროში — კრიტიკა "სასტავების" საქმედ იქცა.

ახლა მივუახლოვდით ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ მეტად მნიშვნელოვან ფაქტორს, მაგრამ ჯერ რამდენიმე წვრილმანი საქმე უნდა მოვითავოთ.

ჯერ ერთი, მიუხედავად პროფ. ალექსიძის მტკიცებისა, არაფერი უკანონო არ იქნა ჩადენილი. ეს ლაპარაკი თავიდანვე უნდა შეწყდეს. რაც შეეხება "ამორალობას" ("**ამორალობაა, პრესაში ექსპერტი-რეცენზენტი გამოთქვამდეს თავის დამოკიდებულებას ჯერ გამოუქვეყნებელი პროექტისა და პროგრამის მიმართ, რომელიც მომავალში კონკურსის წესით უნდა დამტკიცდეს ან არ უნდა დამტკიცდეს**"), მე შემდეგს მოგახსენებთ: საქართველოში ძალიან ხშირად ისმის სიტყვა "აბსოლუტური" (თავისი უფრო ხალხური ვარიანტით "აბსოლიტური"), მაგრამ რეალურ ცხოვრებაში არაფერი აბსოლუტური არ არსებობს, ამიტომაც ყოველგვარი, დიახ, ყოველგვარი, თუნდაც სულ უმნიშვნელო საქციელი ყოველთვის არჩევანია. საზოგადოება ზნეობრივად ვითარდება იმის წყალობით, როცა რომელიმე ადამიანი ერთ მშვენიერ დღეს თავს იდებს უნაყოფო ფორმალობების გადათელვას და განაცხადებს: j'accuse! — მე ბრალს ვდებ!

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იმ პროგრამის ავტორებსა და დამცველებს, რომლის ერთ-ერთი კურსის მიზნებში შავით თეთრზე წერია "**სწორი ცოდნა მისცეს სამყაროზე და სამყაროს შემოქმედზე**", არ სჭირდებათ ამგვარი ელემენტარული გაკვეთილები, თუმცა ვარაუდი აქ ალბათ არ გამართლდება.

აქ ისევ მივუახლოვდით იმ მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელზედაც ზემოთ უკვე მოგახსენებდით. როგორ და როდის გამოიხატება ხოლმე ჩვენში პროტესტი.

რამდენიმე წლის წინ, როცა თსუ-ში ჯერ კიდევ **როინ მეტრეველი** მეფობდა, "24 საათის" ფურცლებზე გამოვაქვეყნე რეცენზია ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოზე. მახსოვს, პირველ კორპუსში ჩუმად მოძრაობდა ამ ტექსტის ქსეროასლები — ადამიანები გულს იფხანდნენ და სეირს ელოდებოდნენ. რექტორს სეირი არ მოუწყვია და ეს მის პოლიტიკურ გამჭრიახობაზე მიუთითებს. მაშინ ჩემი მოტივაცია ასევე მარტივი იყო: უბრალოდ, წავიკითხე ისტორიის სახელმძღვანელო და, როგორც იტყვიან, გავგიჟდი.

მე არ ვკითხულობ, რატომ არ ისმოდა პროფ. ალექსიძის მჭექარე ხმა მაშინ, როცა თსუ-ში კორუფციისა და უზნეობის არომატი გაცილებით უფრო მძაფრად იგრძნობოდა, ვიდრე საპირფარეშოების სუნი დერეფნებში. მე არ ვკითხულობ, იმიტომ რომ ვიცი: პროფ. ალექსიძის საზოგადოებრივი პროტესტი მაშინ მთლიანად ეტეოდა ერთ ოდნავი ამრეზით წარმოთქმულ სიტყვაში — "როინა". ეს ერთგვარი ნიშანი იყო: ასე ბევრი მოიხსენიებდა მაშინდელ რექტორს კერძო საუბრებში. ერთნი — იმიტომ, რომ თავის ღირსებაზე დაბლა მიიჩნევდნენ მის დაქვემდებარებაში ყოფნას (მათ შორის იყო პროფ. ალექსიძეც), მეორენი — იმიტომ, რომ საერთო ვითარებიდან ძალიან მცირედ სარგებლობდნენ. ამ ორ ჯგუფს შორის საზღვარი ძნელად გასარჩევია, ახლა კი, მადლობა ღმერთს, ეს კლასიფიკაცია სულაც მოძველებულია. სულაც?

ვგონებ, ეს ბოლო წინადადება მეტად ნაჩქარევად წარმოვთქვი. მაგრამ ჯერ ისევ რამდენიმე წვრილმანი საქმე უნდა მოვითავო.

პროფ. ალექსიძე განხილვის სიღრმეს და პროფესიულობას მიწუნებს. მაგრამ თავის საპასუხო კრიტიკაში მხოლოდ იმ ნაწილებს ირჩევს, სადაც მე დროისა და ადგილის სიმცირის, ასევე მკითხველის ინტერესების გათვალისწინების გამო უფრო მოკლედ მიმოვიხილე თეოლოგიისა და რელიგიათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა. გარწმუნებთ, რომ სათაურების გარდა სილაბუსებიც დაკვირვებით წავიკითხე. მაგრამ ეს არაა მთავარი: პროფ. ალექსიძე არ (ან ვერ) მეკამათება სწორედ იმ კურსების თაობაზე, რომლებიც მე მეტ-ნაკლებად დაწვრილებით განვიხილე ჩემს წინა სტატიაში: **თამაზ ფანჯიკიძე**, "ქართველთა სულიერი ცხოვრება" და **ირაკლი ბრაჭული**, "ფუნდამენტური თეოლოგია". საქმე არა მარტო ისაა, რომ ძნელია ამ კურსების გარშემო დისკუსია, არამედ ისიც, რომ პროფ. ალექსიძე იმასვე ფიქრობს, რასაც მე.

თავს შევიკავებ პირდაპირი არგუმენტების წარმოდგენისაგან, თუმც კი მრავლად მაქვს. ლოგიკურ გზას ავირჩევ, როგორც გემოვნების თვალსაზრისით ნაკლებად რისკიანს: სხვანაირად რომ ყოფილიყო, პროფ. ალექსიძე ჩემს პუბლიკაციასაც აიტანდა ისევე, როგორც მშვენივრად იტანდა ჯერ ერთ რექტორს ("როინას"), მერე მეორეს (ხომ გახსოვთ უკვდავი ფრაზა ერთ-ერთ ტელეინტერვიუდან: "წელს **ტუზი დაგვეცა** და გრანტიანი ბავშვების უმრავლესობა ჩვენთან მოხვდა"), როგორც მშვიდად იტანდა **გურამ შარაძის** ხულიგნობას და **ნესტან კირთაძის** დემაგოგიას. აქ კი რა მოხდა?

ძალიან მარტივი რამ: გამჟღავნდა იმ ინტელექტუალური გარემოს ბუნება, რომელშიც უშუალოდ უწევს ყოფნა პროფ. ალექსიძეს. მისგან დისტანცირება ადვილი იყო: მაგალითად, საკუთარ ლექსიკონში ორი ახალი ტერმინის შეტანით — "თამაზა" და "ირაკლა". ახლო მეგობრები და კერძო "სასტავი" მიხვდებოდა, რომ საქმე სულ სხვა ცომისგან მოზელილ პიროვნებასთან აქვს. მაგრამ ახლა რაღა ვქნათ? როგორ ავიცილოთ თავიდან ეს უხერხულობა?

ოჰ, არა, ეს მხოლოდ კერძო პრობლემა არაა — ასე რომ ყოფილიყო, არ დაგღლიდით ამდენი ლაპარაკით. საქმე სულ სხვა ფენომენთან გვაქვს, რომელსაც **ინტელექტულთა სელექციური იმპოტენცია** შეიძლება ვუწოდოთ. ახლავე აგიხსნით: ჩვენი ინტელექტუალები მხოლოდ მაშინ ამჟღავნებენ საოცარ ენერგიას, როცა ვინმე მათ უშუალო, ჩვეულად და თბილად მოწყობილ გარემოს შეეხება. მანამდე კი მშვიდად არიან: იარაღად კი ერთგვარი ნიშნები აქვთ, ზემოხსენებულ "როინას" მსგავსი: "ნეტა რა ტელევიზორში გამოსაყვანია ნათელაშვილი?", "აუ, სარიშვილს ნეტა რა ხალხში გამოსაჩენი პირი აქვს", "ახლა ამ ბინძურებს უნდა ვკითხოთ, კინოში წავიდეთ თუ არა?!" და ა. შ. მაგრამ საზოგადოებას მათი ხმა არ ესმის — ერთი **ლევან ბერძენიშვილმა** შეიძლება ამოიღოს ხმა, ისიც მხოლოდ მაშინ, თუ ზუსტად იცის, რომ ვიღაცას ეჭვი ეპარება, სწორად აწარმოებს თუ არა მეორე ულლების ზმნების აორისტს.

სწორედ ამ სელექციური იმპოტენციის მაგალითია პროფ. ალექსიძის მიერ ჩემდამი წაყენებულ ბრალდებათა ბოლო პუნქტი: "**იმიტომ რომ ცუდია გულგრილად დამცირება და მიწასთან გასწორება, განსაკუთრებით იმის, ვისაც ძალიან უჭირს. ახლა ძალიან უჭირს უნივერსიტეტს და მის თანამშრომლებს და ეს ყოველთვის და ყველა შემთხვევაში მათი ბრალი და მათი ნაკლი არ არის. პროფესიონალური შეფასება სარკაზმზე და დამცირებაზე ვერ აიგება და ვერც ვერაფერი კარგი აშენდება მეზობლის დამცირებითა და დაქცევით. შედეგად ჩვენ ყველანი ვიძირებით: ვკარგავთ პროფესიონალიზმს, ვკარგავთ ან ვტოვებთ ადგილებს, რომელიც ჩვენს განათლებას უფრო შეეფერებოდა, ვფანტავთ მეგობრებს და აღარც გვაქვს სურვილი, კოლეგები გვყავდეს გვერდით. ასე ვრჩებით არაპროფესიონალური, არაელეგანტური პათოსის ამარა, უნდობელნი და დაუნდობლები სხვების მიმართ, ცნობისმოყვარეობადაკარგულნი, გაერთფეროვნებულნი და უინტერესონი სხვებისთვის. ასე ვკარგავთ თავისუფლებას**".

კაცმა რომ თქვას, უფრო აღსარებას ჰგავს, ვიდრე ბრალდებას. მაგრამ არ შეიძლება არ ითქვას, რომ უნივერსიტეტს ახლა კი არ უჭირს, არამედ ძალიან დიდი ხანია, რაც უჭირს, ყოველ შემთხვევაში, იმაზე გაცილებით უფრო ადრე უჭირდა, ვიდრე ის ვიღაც "მეზობლები" გამოჩნდებოდნენ, რომლებზედაც ბუნდოვნად მიგვანიშნებს პროფ. ალექსიძე. კორპორაციული ინტერესების ამ კამათზე დისკუსიის მსვლელობას მე ვერ გადავიტან, უბრალოდ იმიტომ, რომ სიბრიყვეს, ისევე როგორც ტერორიზმს სამშობლო არა აქვს — იქ გავჭყლიტავ, სადაც დავინახავ, გინდ ახლოს, გინდ შორს, რადგან სადაც პირობებს აუცილებლობა კარნახობს, ელეგანტურობას დუმილი უჯობს. ვერც ფორმას მივიღებ, რადგან ყოველთვის უცხო იყო ჩემთვის როგორც უნიჭო ირენიზმი — "მშვიდობის მაძიებლობა", ასევე გვერდით მდგომის დაკარგვის პლებეური შიში. მაინც მადლიერებით უნდა მოვეკიდოთ პროფ. ალექსიძის შექმნილ ტექსტს, რადგან გასაგები გახდა, რომ გონიერება კი არ იჩემებს ცენტრში ადგილს, არამედ ცენტრში მოკალათების მსურველნი იჩემებენ გონიერებას.

**სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2006 წლის 10 მაისის N101-ში სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარების შესყიდვის მიზნით გამოქვეყნებული სატენდერო განცხადების**

## შ ე ს წ ო რ ე ბ ა

1. განცხადების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. საქართველოს **სოფლის მეურნეობის სამინისტრო**, მდებარე ქ. თბილისი, 0179, კოსტავას ქ. N41, აცხადებს ღია ტენდერს სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარების შესყიდვაზე **12 ლოტად** და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

***I ლოტი*** ტრაქტორი - 80-90 ცძ. სიმძლავრის 4 WD - 55 ერთეული;

***II ლოტი*** ტრაქტორი - 45-55 ცძ. სიმძლავრის 4 WD - 145 ერთეული;

***III ლოტი*** გუთანი - 80-90 ცძ. სიმძლავრის ტრაქტორისათვის - 55 ერთეული;

***IV ლოტი*** დისკებიანი ფარცხი - 80-90 ცძ. სიმძლავრის ტრაქტორისათვის - 55 ერთეული;

***V ლოტი*** ხორბლის სათესი სასუქის შემტანით - 80-90 ცძ. სიმძლავრის ტრაქტორისათვის - 10 ერთეული;

***VI ლოტი*** სიმინდის სათესი სასუქის შემტანით - 80-90 ცძ. სიმძლავრის ტრაქტორისათვის - 3 ერთეული;

***VII ლოტი*** ლაფეტი - 80-90 ცძ. სიმძლავრის ტრაქტორისათვის 4ტ. ან მეტი- 15 ერთეული;

***VIII ლოტი*** სიმინდის ამღები მისაბმელი 2 რიგიანი კომბაინი - 80-90 ცძ. სიმძლავრის ტრაქტორისათვის - 3 ერთეული;

***IX ლოტი*** გუთანი - 45-55 ცძ. სიმძლავრის ტრაქტორისათვის 2 ფრთიანი- 145 ერთეული;

***X ლოტი*** როტაციული ფრეზი - 45-55 ცძ- სიმძლავრის ტრაქტორისათვის - 80 ერთეული;

***XI ლოტი*** ლაფეტი - 45-55 ცძ- სიმძლავრის ტრაქტორისათვის 2 ტ. ან მეტი- 30 ერთეული;

***XII*** ლოტი - შემასხურებელი მცენარეთა დაცვისათვის - 45-55 ცძ. სიმძლავრის ტრაქტორისათვის - 50 ერთეული".

2. განცხადების მე-2 პუნქტში საქონლის მოწოდების ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს 2006 წლის 30 აგვისტო.

3. განცხადების მე-3 პუნქტში საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 2006 წლის 14 ივნისიდან 16 ივნისის 14 საათი.

4. განცხადების მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"8. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის, თუ პრეტენდენტი მე-3 პუნქტით დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებში მითითებულ ყველა შესაბამის დოკუმენტსა და ინფორმაციას, რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს აღნიშნული პუნქტებით და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებს".

განცახდების მე-9 პუნქტში სატენდერო დოკუმენტაციის მიღების ვადად განისაზღვროს 2006 წლის 15 მაისიდან 12 ივნისის 17 სთმდე პერიოდი.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სატენდერო კომისია**



# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს სხვადასხვა ტიპის ავტომობილების მიმდინარე შეკეთების (საჭირო სათადარიგო ნაწილებით) შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესაკეთებელი ავტომობილების დასახელებები და რაოდენობა:**

| ლოტი | დასახელება | ავტომობილის მოდელი | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| N1 | საბჭოთა წარმოების მსუბუქი და მაღალი გამავლობის ავტომობილი | გაზ2410 | 1 |
| | | ვაზ 31029 | 1 |
| | | ვაზ 21061 | 1 |
| | | ვაზ 2109 | 1 |
| | | მოსკვიჩი 21412 | 2 |
| | | ვაზ 2121 | 9 |
| | | ვაზ 2105 | 1 |
| | | უაზ 31512 | 1 |
| | | ვაზ 21093 | 2 |
| | | გაზ 31 (3110) | 5 |
| | | უაზ 3741 | 2 |
| | | ერაზ 3218 | 1 |
| | | გაზ 3307 | 2 |
| N2 | უცხოური წარმოების მსუბუქი და მაღალი გამავლობის ავტომობილი | ბმვ 525 | 1 |
| | | ოპელ ვექტრა | 18 |
| | | მერსედესი 124 | 1 |
| | | რენო 19რტ | 1 |
| | | ფორდ ტრანზიტი | 4 |
| | | მერსედესი | 1 |
| | | მერსედეს ბენცი | 1 |
| | | პინზგაუერი | 10 |
| | | პეჟო | 2 |
| | | რენო | 5 |
| | | ბმვ 728 | 1 |
| | | ფიატ ტემპრა | 1 |
| | | მერსედეს ბენცი 420SE | 1 |
| | | ოპელ ომეგა B | 1 |
| | | მერსედეს ბენცი 609 D | 1 |
| | | მიცუბიშ მონტერო | 2 |
| | | მერსედეს ბენცი 320 | 1 |
| | | მერსედეს ბენცი 408 (D) | 1 |
| | | მერსედეს ბენცი 408 | 1 |
| | | ვოლკსვაგენი | 1 |
| | | მერსედეს ბენცი MA | 1 |
| | | ვოკლსვაგენ პასატი | 1 |
| | | რენჯ როვერი | 1 |
| | | მერსედეს ბენცი 260 E | 1 |
| N3 | საბჭოთა წარმოების სატვირთო მანქანები და ავტობუსები | გაზ 5312 | 1 |
| | | მმზ 45023 | 2 |
| | | ზილ 430412 | 1 |
| | | ზილ 130 | 1 |
| | | გაზ 5204 | 1 |
| | | ზილ 431610 | 1 |
| | | ლაზ 695 | 1 |
| | | გაზ 5204 აზ | 1 |
| | | გაზ 52 აზ | 1 |
| | | გაზ 53 | 3 |
| | | პაზ 32053 | 1 |

დაინტერესებულ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეეძლებად 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ სპეციალურ ანგარიშზე. **საქართველოს ეროვნული ბანკი, ანგარიშსწორების ანგარიში 200122900, კოდი 220101107, სახაზინო კოდი 302003000,** 2006 წლის 6 ივნისიდან 2006 წლის 27 ივნისამდე სასჯელაღსრულების დეპარტამენტში ქ. თბილისი გორგასლის ქ. 83ა. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი.

მომსახურების გაწევის ადგილია ქ. თბილისი.
მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვრება ეტაპობრივად შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შესაბამისად 2006 წლის 31 დეკემბრამდე.
პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონცემები და სატენდერო წინადადება შედგენილი ქართულ ენაზე 2 (ორი) ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი, ერთი ასლი) დალუქული კონვერტით უნდა წარმოადგინონ სასჯელაღსრულების დეპარტამენტში მდებარე ქ. თბილისი გორგასლის ქ.N83ა 2006 წლის 27 ივნისის 13 საათამდე.
საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2006 წლის 27 ივნისს 13 საათზე.
საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

ა) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ ადევს ყადაღა.
ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინიტროდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკური ან სამსახურებრივი დანაშაულისათვის.
გ) ცნობა საგადასახადო დეპარტამენტიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ.
დ) ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.
ვ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.
ზ) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ.

**ფიზიკური პირებისაათვის:**

ა) უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.
b) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
გ) ცნობა საგადასახადო დეპარტამენტიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ.
დ) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ
ე) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

**როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირებისათვის:**

**დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ ზემოაღნიშნული ავტომობილების მწარმოებელი ფირმის მიერ გაცემული მომსახურების სერთიფიკატი.**

უცხო ქვეყნის ფიზიკური ან იურიდიული პირებისათვის ზემოაღნიშნული ცნობები წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი უფლებამოსილი დაწესებულებებიდან.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისთვის, თუ იგი 27 ივნისის 13 სთ-მდე არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ცნობას და ინფორმაციას და/ან სატენდერო წინადადებას ან წარმოდგენილი ცნობებიდან და ინფორმაციიდან რომელიმე ყალბი აღმოჩნდება ან იქნება შეუსაბამობა წინამდებარე განცხადების მოთხოვნებთან და/ან სატენდერო წინადადება არ იქნება შესაბამისობაში სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან ან არ იქნება შესაბამისობაში "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონთან და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულებასთან.

ტენდერში შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ სატენდერო კომისიის აპარატს: მისამართზე ქ. თბილისი გორგასლის ქ.83ა. ტელ: 99-60-68; 8-99 11-71-23 ვახტანგ მჭედლიშვილი.

ცვლილება სატენდერო განცხადებაში

ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: თუ იგი 23 ივნისის 13 სთ-მდე არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ცნობას და ინფორმაციას. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისთვის, თუ იგი 23 ივნისის 13 სთ-მდე არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ცნობას და ინფორმაციას და/ან სატენდერო წინადადებას ან წარმოდგენილი ცნობებიდან და ინფორმაციიდან რომელიმე ყალბი აღმოჩნდება ან იქნება შეუსაბამობა წინამდებარე განცხადების მოთხოვნებთან და/ან სატენდერო წინადადება არ იქნება შესაბამისობაში სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან ან არ იქნება შესაბამისობაში "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონთან და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულებასთან.

# საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი

**საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი**

საქართველოს მთავრობამ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან მიიღო სესხი პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტის დასაფინანსებლად და აპირებს ამ სესხის ნაწილით დააფინანსოს ***შიდა ქართლის რეგიონის გორის რაიონის 5 სოფლის*** (იხ. ცხრილი) ***პირველადი ჯანდაცვის დაწესებულების (პჯდ) სარეაბილიტაციო/სამშენებლო სამუშაოები***

| რაიონი | ობიექტი | ფართი (მ2) |
|---|---|---|
| გორი | სოფ. კარალეთის პჯდ რეაბილიტაცია | 198.4 |
| გორი | სოფ. ქვეშის პჯდ მშენებლობა | 70.0 |
| გორი | სოფ. ახალდაბის პჯდ მშენებლობა | 138.0 |
| გორი | სოფ. მერეთის პჯდ მშენებლობა | 138.0 |
| გორი | სოფ. ძევერას პჯდ მშენებლობა | 70.0 |

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი, ამ განცხადებით იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ ყველა დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციას ცხრილში მოცემული პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების სარეაბილიტაციო/სამშენებლო სამუშაოების კონკურსში (ტენდერში) მონაწილეობისათვის.

სამშენებლო ორგანიზაციებს უნდა გააჩნდეთ შემდეგი სახის ლიცენზია:
- საცხოვრებელი, სამოქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა;
- საინჟინრო სისტემებისა და კომუნიკაციების მშენებლობა.
და უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა აწარმოონ სამშენებლო სამუშაოები ერთდროულად ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ობიექტზე.

საკონკურსო დოკუმენტების პაკეტი კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ *2006* წლის ***5 ივნისიდან***, ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) *10*-დან *18* საათამდე შემდეგ მისამართზე:
***საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი***
***ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული.***
***საკონტაქტო პირი: ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი***
***ტელ/ფაქსი: (995 32) 38-82-10, 38-82-20, 33-19-39***

კონკურსის მონაწილემ უნდა გადაიხადოს *100 (ასი)* ლარი საკონკურსო დოკუმენტების პაკეტის მისაღებად. აღნიშნული თანხა კონკურსანტმა უნდა გადაიხადოს ბანკში, რომლის რეკვიზიტებია:
ბანკი: სს "ბანკი რესპუბლიკა" - ცენტრალური ფილიალი, ჭავჭავაძის გამზ. N11
ბანკის კოდი: 220101757
ანგარიშის ნომერი: 23408000189
ანგარიშის მფლობელი: საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი
აღნიშნული თანხა კონკურსანტს არ დაუბრუნდება.

დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ზემოაღნიშნული მისამართზე.
საკონკურსო წინადადებები ძალაში უნდა იყოს 60 დღის განმავლობაში კონკურსის გახსნის დღიდან და მათ თან უნდა ახლდეს წინადადების საბანკო გარანტია 9 000 (ცხრა ათასი) ლარის ოდენობით, სატენდერო პაკეტში თანდართული ფორმის შესაბამისად ***(წინადადების საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა შეადგენს საკონკურსო წინადადების ვადას - 60 დღეს დამატებული 28 დღე, ე.ი. სულ 88 დღეს).***
საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.
საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს არა უგვიანეს ***2006*** წლის ***3 ივლისის***, ***15*** საათამდე შემდეგ მისამართზე:

***საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი***
***ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული.***
***საკონტაქტო პირი: ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი***
***ტელ/ფაქსი: (995 32) 38-82-10, 38-82-20, 33-19-39***

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს ***15:00*** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი.

# საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი

საქართველოს მთავრობამ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან მიიღო სესხი პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტის დასაფინანსებლად და აპირებს ამ სესხის ნაწილით დააფინანსოს ***იმერეთის რეგიონის ბაღდათის და ხარაგაულის რაიონების 8 სოფლის*** (იხ. ცხრილი) ***პირველადი ჯანდაცვის დაწესებულების (პჯდ) სარეაბილიტაციო/სამშენებლო სამუშაოები***

| რაიონი | ობიექტი | ფართი ($მ^2$) |
|---|---|---|
| ბაღდათი | სოფ. დიმის პჯდ მშენებლობა | 108.0 |
| ბაღდათი | სოფ. ფერსათის პჯდ რეაბილიტაცია | 150.0 |
| ბაღდათი | სოფ. წითელხევის პჯდ რეაბილიტაცია-მშენებლობა | 128.0 |
| ბაღდათი | სოფ. როხის პჯდ მშენებლობა | 70.0 |
| ბაღდათი | სოფ. როკითის პჯდ მშენებლობა | 70.0 |
| ხარაგაული | სოფ. ღორეშას პჯდ მშენებლობა | 70.0 |
| ხარაგაული | სოფ. ბორითის პჯდ მშენებლობა | 70.0 |
| ხარაგაული | სოფ. ხუნევის პჯდ მშენებლობა | 108.0 |

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი, ამ განცხადებით იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ ყველა დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციას ცხრილში მოცემული პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების სამშენებლო სამუშაოების კონკურსში (ტენდერში) მონაწილეობისათვის.

სამშენებლო ორგანიზაციებს უნდა გააჩნდეთ შემდეგი სახის ლიცენზია:
- საცხოვრებელი, სამოქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა;
- საინჟინრო სისტემებისა და კომუნიკაციების მშენებლობა.
და უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა აწარმოონ სამშენებლო სამუშაოები ერთდროულად ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ობიექტზე.

საკონკურსო დოკუმენტების პაკეტი კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ *2006* წლის ***5 ივნისიდან***, ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) *10*-დან *18* საათამდე შემდეგ მისამართზე:
***საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი***
***ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული.***
***საკონტაქტო პირი: ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი***
***ტელ/ფაქსი: (995 32) 38-82-10, 38-82-20, 33-19-39***

კონკურსის მონაწილემ უნდა გადაიხადოს *100 (ასი)* ლარი საკონკურსო დოკუმენტების პაკეტის მისაღებად. აღნიშნული თანხა კონკურსანტმა უნდა გადაიხადოს ბანკში, რომლის რეკვიზიტებია:

ბანკი: სს "ბანკი რესპუბლიკა" - ცენტრალური ფილიალი, ჭავჭავაძის გამზ. N11
ბანკის კოდი: 220101757
ანგარიშის ნომერი: 23408000189
ანგარიშის მფლობელი: საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი
აღნიშნული თანხა კონკურსანტს არ დაუბრუნდება.

დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ზემოაღნიშნულ მისამართზე.

საკონკურსო წინადადებები ძალაში უნდა იყოს 60 დღის განმავლობაში კონკურსის გახსნის დღიდან და მათ თან უნდა ახლდეს წინადადების საბანკო გარანტია 14 000 (თოთხმეტი ათასი) ლარის ოდენობით, სატენდერო პაკეტში თანდართული ფორმის შესაბამისად ***(წინადადების საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა შეადგენს საკონკურსო წინადადების ვადას - 60 დღეს დამატებული 28 დღე, ე.ი. სულ 88 დღეს).***

საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს არა უგვიანეს ***2006*** წლის ***3 ივლისის***, ***12*** საათამდე შემდეგ მისამართზე:

***საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი***
***ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული.***
***საკონტაქტო პირი: ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი***
***ტელ/ფაქსი: (995 32) 38-82-10, 38-82-20, 33-19-39***

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს ***12:00*** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.
დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი.

# რვა წლის შემდეგ

## „აიდა" და „ტრუბადური" ზაალიშვილთან ერთად

სოფო კილასონია

ზაზა ზაალიშვილის საქართველოში გასტროლი და იმ საღამოს წარმოდგენილ „აიდაში" მის მიერ შესრულებული რადამესის პარტია რომ არა, 31 მაისი ოპერისა და ბალეტის თეატრისთვის ერთი ჩვეულებრივი სამუშაო დღე იქნებოდა. სპექტაკლს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი დირიჟორობდა. ბოლოს ზაალიშვილმა თბილისში რვა წლის წინ იმღერა. დღეს ის კანადაში ცხოვრობს და, თუ უცხოელ კრიტიკოსთა შეფასებებს გადავხედავთ, წარმატებითაც მოღვაწეობს. მოკლედ, ნამდვილად იყო იმის მიზეზი, რომ იმ დღის წარმოდგენას დაინტერესებული მაყურებელი ჰყოლოდა და სპექტაკლსაც განსაკუთრებულად ჩაევლო... ვერდის „აიდას" (რეჟისორი დავით საყვარელიძე, დამდგმელი დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი) ოთხი მოქმედებიდან მე მხოლოდ ორი ვიხილე და მოვისმინე. ამის მიზეზი სამუშაო დღის დატვირთული რეჟიმი არ ყოფილა...

პირველი შთაბეჭდილება, რომელიც დამრჩა, ის იყო, რომ სპექტაკლი დროზე ადრე დაძველდა. გუნდის შესრულების სტაბილურად კარგი დონე რომ არა, თავისუფლად შეიძლებოდა გვეთქვა, რომ მეორე მოქმედება, რომელიც დადგმის თვალსაზრისითაც წარმოდგენის სუსტი წერტილია, სანახევროდ ჩაიშალა, რაშიც, პირველ რიგში, დამნაშავეა ორკესტრის პერიოდული „აშლილობა" და თავად ტენორის „მოკრძალებული" გარჯა. თუმცა, სადირიჟორო პულტთან რომელიმე რიგითი ან დამწყები დირიჟორი არ მდგარა. ამიტომ სპექტაკლი, ბოლოს და ბოლოს, შეიკრა. მჯერა, „აიდა" ისეთი ხიბლით დასრულდა, როგორც მის არაერთ საპრემიერო წარმოდგენაზე. ისიც მინდა მჯეროდეს, რომ 31 მაისის საღამო გამონაკლისი იყო ყველა თვალსაზრისით.

აიდას პარტიას ახალგაზრდა თამარ ლობჟანიძე ასრულებდა. მისი ნიჭიერებისა და ლამაზი ხმის ტემბრის მიუხედავად, ხშირად მისი ფრაზა ბოლომდე არ ისმოდა, ან ოდნავ გაუბედავად, უზუსტოდ სრულდებოდა.

ეს შთაბეჭდილებები და მოსაზრებები სპექტაკლის გარკვეული ნაწილის მოსმენის შემდეგ დამიგროვდა, ამიტომ წარმოდგენის სრულად განხილვის პრეტენზია არ მაქვს. მაგრამ საოპერო სპექტაკლები, ისე როგორც



ყველა სხვა, ნაწილებისგან შედგება და დეტალებისგან იქმნება მთლიანობაც და საერთო წარმატებაც.

ტენორის ბიოგრაფიული მონაცემები: 1991 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. იმავე წელს ბაქოს ოპერის თეატრში შეასრულა კავარადოსის პარტია "ტოსკა", მონაწილეობა მიიღო რომის მსოფლიო პრემიერაში „კოლუმბიდან ბროდვეიმდე", 1992 წელს წარდგა გიტარის საერთაშორისო ფესტივალზე ბათუმში (ჯაზ-ჯგუფის წამყვანი), მანამდე, 1986 წელს, მონაწილეობა მიიღო მოსკოვის ჯაზის საერთაშორისო ფესტივალში. 1992 წელს ვერდის საოპერო ფესტივალზე შეასრულა კასიოს პარტია ვერდის „ოტელოში" და გალა-კონცერტებზე, ამავე წელს შეასრულა ჰერცოგის როლი ვერდის „რიგოლეტოში" ოტავის ნაციონალური ხელოვნების ცენტრში, 1993 წელს წარდგა კვებეკის ოპერის თეატრში, 1993 წელს მოიპოვა პრიზი მონრეალის ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსზე, 1995 წელს მონაწილეობა მიიღო ოტავის ნაციონალური ხელოვნების ცენტრში გამართულ ვოკალური მუსიკის კონცერტებში, 1994-1995 წლებში კი - ტორონტოში გამართულ საოპერო მუსიკის გალა-კონცერტებში, 1995 წელს ტორონტოს „საუკუნის საოპერო ასოციაციაში" შეასრულა რუდოლფის პარტია პუჩინის ოპერაში „ბოჰემა", ამავე წელს ლონდონის Centennial Hall-ში შეასრულა კანიოს პარტია „ჯამბაზებში" (საკონცერტო შესრულება), 1993-1995 წლებში მონაწილეობდა მონრეალში გამართულ საოპერო და სიმფონიური მუსიკის კონცერტებში, 1996 წელს წარდგა გალა-კონცერტში მონრეალის ფილარმონიის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად. 2001 წელს კვებეკის გრანდ ოპერაში შეასრულა ნადირის პარტია „მარგალიტის მაძიებლებში", 2002 წელს ფილადელფიაში გრანდ ოპერის სცენაზე შეასრულა კანიოს პარტია „ჟამბაზებში", იმავე წელს ნიუ ჯერსის ოპერის თეატრში იმღერა რადამესის პარტია „აიდაში", ნიუ იორკის ოპერის თეატრში შეასრულა პინკერტონის პარტია „ჩიო ჩიო სანში", თურქეთის სახელმწიფო ოპერაში იმღერა კალაფის პარტია „ტურანდოტში". 2004 წელს წარდგა იოანე პავლე მეორისადმი მიძღვნილ გალა-კონცერტზე. 2005 წელს მონაწილეობა მიიღო მიუნხენის ზაფხულის საოპერო ფესტივალში - შეასრულა კავარადოსის და ჰერცოგის პარტიები. ამავე წელს კაროლინას ოპერის თეატრში იმღერა მაკდუფის პარტია ოპერაში „მაკბეტი". 2006 წელს გამართა სოლო კონცერტი მონრეალის Pollack Hall-ში და შეასრულა მანრიკოს პარტია „Opera Ontario"-ში.

ზაზა ზაალიშვილს არაერთი სახე შეუქმნია თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრშიც, თუმცა, როგორც ჩანს, 31 მაისამდე, მთელი რვა წელი, ჩვენი თეატრის სცენაზე გამოსვლის შესაძლებლობა არ ჰქონია. არ ვიცი, რამდენად არსებობს პირდაპირი გზა ჯაზიდან საოპერო ხელოვნებაში, თუმცა ბატონმა ზაზამ ის გაიარა და საამაყო რეცენზიებიც დაიმსახურა:

„მის ხმას აქვს უდიდესი ჟღერადობა, მის სიმღერაში იგრძნობა გულისხმიერება. მან დაიპყრო მსმენელი მუსიკალური ჰარმონიის სამყაროთი", - არტურ კეპტეინისი, The Gazette, მონრეალი, 1993 წ. ივნისი.

„ქართველი ტენორი ზაზა ზაალიშვილი, რომელმაც წარმოადგინა კანიოს როლი, ძლიერ ჩამოჰგავს უდიდეს ესპანელს (კარერასს), განსაკუთრებით კი ინტერპრეტაციის ინტელიგენტური მანერით" - ედ კრავჩუკი, The London Free Press, ლონდონი, 1994 წ. ნოემბერი.

„ძლიერ დახვეწილი მომღერალი... ლამაზად მომდინარე ხმა ბრწყინვალე ფრაზებით. მშვენიერი ხელოვანის სტილი... ყოველივე ძალდაუტანებელი მდინარებით შერწყმული ჩანდა", - ლ. სიტრონი, CBC, 1996 წ. თებერვალი.

„ზაზა ზაალიშვილი გვიჩვენებს ხმის არაჩვეულებრივ ძალას და სილამაზეს" - „Opera News" (USA).

„ზაზა ზაალიშვილმა იმღერა უდიდესი თავდაჯერებით. მისი ხმა აღწევს დომინგოს სიმაღლეებს თავისუფალი მაღალი რეგისტრით, სასიამოვნო ნიუანსებით." - „Turkish Daily News".

ზაზა ზაალიშვილი მონაწილეობას მიიღებს ვერდის „ტრუბადურის" პრემიერაში, რომელიც ივნისში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართება. სპექტაკლს დგამენ დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი, რეჟისორი ვერნონ მაუნდი (ინგლისი), მხატვარი ქრის დევილდე (ინგლისი). თეატრის ხელმძღვანელობა ამ ახალ წარმოდგენას „დალჰალას" ფესტივალის საგასტროლო რეპერტუარშიც წარადგენს.

# საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

**I ობიექტი — მცხეთის რაიონში, სოფ. ქსოვრისის ტერიტორიაზე მდ. ქსნის მარცხენა ნაპირზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო |
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 15 056 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>3 011 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 150 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**II ობიექტი — ბოლნისის რაიონში, სოფ. ასმალარიდან ჩრდილოეთით 1 კმ-ში ბაზალტის ქვის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 6 572 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>1 314 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოს აპოვებელი ბაზალტის ქვის ჯამური მოცულობა | 30 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |

**III ობიექტი — მცხეთის რაიონში, სოფ. ძეგვის ტერიტორიაზე მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე „უკანაჭალის" V უბანზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 3 011 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>602 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 30 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**IV ობიექტი — მცხეთის რაიონში, მდ. ქსნის მარჯვენა ნაპირზე ქსოვრისის საბადოს I და II უბანზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 40 226 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>8 045 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 300 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |

**V ობიექტი — გარდაბნის რაიონში, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 9 133 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>1 827 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 60 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 3 წელი |

**VI ობიექტი — გარდაბნის რაიონში, სოფ. მარტყოფის მიმდებარე ტერიტორიაზე „ხირხატის" სააგურე თიხების მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 2 191ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>438 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი სააგურე თიხების ჯამური მოცულობა | 20 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |

**VII ობიექტი — ხობის რაიონში, სოფ. გულრიფულში მდ. ხობისწყლის მარცხენა ნაპირზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 1 341ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>268 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 10 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |

**VIII ობიექტი —საჩხერის რაიონის სოფ. იტავაზის და. იცქისის ტერიტორიებზე კვარცმინდვრისშპატიანი ქვიშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 15 056 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>3 011 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშის ჯამური მოცულობა | 150 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**IX ობიექტი — საგარეჯოს რაიონის სოფ. პატარძეულის მიმდებარედ მთა ბეჟიტაანთ გორას ჩრ.-აღმოსავლეთით 0,5 კმ მანძილზე „ჭეხილას" სააგურე თიხის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 878 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>176 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი სააგურე თიხის ჯამური მოცულობა | 5 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**X ობიექტი — თელავის რაიონის სოფ. ვარდისუბნის ტერიტორიაზე მდ. თურდოს ჭალის ტერასაზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 3 011 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>602 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 30 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**XI ობიექტი — თელავის რაიონის სოფ. ვარდისუბნის მიმდებარე ტერიტორიაზე მდ. თურდოს მარჯვენა ნაპირზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 6 034 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>1 207 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 45 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |

**XII ობიექტი — საჩხერის რაიონში, მდ.-ის ყვირილასა და ჩიხურას შესართავთან მდ. ყვირილას მარჯვენა ნაპირზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 8 045 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>1 609 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 60 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |

**XIII ობიექტი — კრწანისის ტყეპარკის ტერიტორიაზე მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 2 276 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>455 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 14 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2 წელი |

**XIV ობიექტი — მცხეთის რაიონში, მდ. ქსნის მარცხენა ჭალის ტერასაზე, ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 15 056 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>3 011 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 150 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**XV ობიექტი — მარნეულის რაიონში, მდ. ხრამის ჭალის ტერასაზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 16 761 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>3 352 ლარი |
| | |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 125 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |

**XVI ობიექტი — ჭიათურის რაიონში, სოფ. ზოდის ტერიტორიაზე დარკვეთის კვარციანი ქვიშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 3 349 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>670 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი კვარციანი ქვიშის ჯამური მოცულობა | 22 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 3 წელი |

| | |
|---|---|
| **სალიცენზიო მოსაკრებელი შეადგენს 900 ლარს** | ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას.<br>სალიცენზიო მოსაკრებლის ანგარიშის ნომერი: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (მთაწმინდა-კრწანისი),ანგარიშის ნომერი 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 300033022 |

| | |
|---|---|
| აუქციონის ჩატარების ადგილი | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. გულუას ქ.№6 ტელ. 275760<br>აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებების მიღება მოხდება ა/წ 5 ივნისიდან 19 ივნისის ჩათვლით. აუქციონი ჩატარდება ა/წ 5 ივლისს 3 საათიდან საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შენობაში. |
| დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგინოს „ ბე"-ს შემოტანის ქვითარი | **„ ბე"-ს** გადახდის ანგარიში-მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიში ნომერი: 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 302003000 |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია | განცხადება, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე.<br>ა)კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი;<br>ბ)ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები<br>გ)საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები.<br>დ)სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი.<br>ე)„ბე"-ს შემოტანის დამადასტურებელი საბუთი. |
| თანხის გადახდის პირობები | აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდის მაქსიმალური ვადაა ოქმის გაფორმებიდან 10 დღე. მოცემულ დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. |
| სალიცენზიო პირობები | წიაღით, როგორც ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ", „წიაღის შესახებ" და „წყლის შესახებ" საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები. |
| **აუქციონზე „ბიჯის" სიდიდე შეადგენს საწყისი ფასის 10 პროცენტს** | |
| გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები | გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს. |

# საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის ქ. ბათუმის N3 საპყრობილე აცხადებს ტენდერს კვების პროდუქტების შესყიდვაზე

მისამართი ხელვაჩაურის რაიონი სოფ. ურეხი

| რიგითი № | მისაწოდებელი საქონლის მოკლე დახასიათება | რაოდენობა | მიწოდების ადგილი | მიწოდების გრაფიკი |
|---|---|---|---|---|
| 1 | პირველი ხარისხის პური ახალ მდგომარეობაში ლოტი №1 | 56 100 კგ | ხელვაჩაურის რაიონი სოფ. ურეხი. ბათუმის №3 საპყრობილე | 1 ივლისიდან ყოველდღიურად მოთხოვნათა მიხედვით |
| 2 | გაყინული თევზი ლოტი №2 | 480 კგ. | ხელვაჩაურის რაიონი სოფ. ურეხი. ბათუმის №3 საპყრობილე | 1 ივლისიდან 31 დეკემბრამდე ყოველთვიური მოთხოვნით |
| 3 | კარტოფილი ლოტი №3 | 13500 კგ | ხელვაჩაურის რაიონი სოფ. ურეხი. ბათუმის №3 საპყრობილე | 1 ივლისიდან 31 დეკემბრამდე ყოველთვიური მოთხოვნით |
| 4 | კარტოფილი ლოტი №4 | 13500 კგ | ხელვაჩაურის რაიონი სოფ. ურეხი. ბათუმის №3 საპყრობილე | 1 ოქტომბრიდან ყოველთვიური მოთხოვნით |
| 5 | კომბოსტო ლოტი №5 | 1200 კგ | ხელვაჩაურის რაიონი სოფ. ურეხი. ბათუმის №3 საპყრობილე | 1 ივლისიდან ყოველთვიური მოთხოვნით |
| 6 | კომბოსტო ლოტი №6 | 1200 კგ | ხელვაჩაურის რაიონი სოფ. ურეხი. ბათუმის №3 საპყრობილე | 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრამდე ყოველთვიური მოთხოვნით |
| 7 | სტაფილო ლოტი №7 | 240 კგ | ხელვაჩაურის რაიონი სოფ. ურეხი. ბათუმის №3 საპყრობილე | 1 ივლისიდან 31 დეკემბრამდე ყოველთვიური მოთხოვნით |
| 8 | ჭარხალი ლოტი №8 | 240 კგ | ხელვაჩაურის რაიონი სოფ. ურეხი. ბათუმის №3 საპყრობილე | 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრამდე ყოველთვიური მოთხოვნით |
| 9 | ხახვი ლოტი №9 | 450 კგ | ხელვაჩაურის რაიონი სოფ. ურეხი. ბათუმის №3 საპყრობილე | 1 ივლისიდან 30 სექტემბრამდე ყოველთვიური მოთხოვნით |
| 10 | ხახვი ლოტი №9 | 450 კგ | ხელვაჩაურის რაიონი სოფ. ურეხი. ბათუმის №3 საპყრობილე | 1 ივლისიდან 31 დეკემბრამდე ყოველთვიური მოთხოვნით |
| 11 | ბარდა ლოტი №11 | 1700 კგ | ხელვაჩაურის რაიონი სოფ. ურეხი. ბათუმის №3 საპყრობილე | 1 ივლისიდან 31 დეკემბრამდე ყოველთვიური მოთხოვნით |
| 12 | ბრინჯი ლოტი №12 | 1200 კგ | ხელვაჩაურის რაიონი სოფ. ურეხი. ბათუმის №3 საპყრობილე | 1 ივლისიდან 31 დეკემბრამდე ყოველთვიური მოთხოვნით |
| 13 | მაკარონი ლოტი №13 | 2700 კგ | ხელვაჩაურის რაიონი სოფ. ურეხი. ბათუმის №3 საპყრობილე | 1 ივლისიდან 31 დეკემბრამდე ყოველთვიური მოთხოვნით |
| 14 | შაქარი ლოტი №14 | 3300 კგ | ხელვაჩაურის რაიონი სოფ. ურეხი. ბათუმის №3 საპყრობილე | 1 ივლისიდან 31 დეკემბრამდე ყოველთვიური მოთხოვნით |
| 15 | მცენარეული ზეთი რაფინირებული ლოტი №15 | 1700 ლიტ. | ხელვაჩაურის რაიონი სოფ. ურეხი. ბათუმის №3 საპყრობილე | 1 ივლისიდან 31 დეკემბრამდე ყოველთვიური მოთხოვნით |
| 16 | ტომატ-პასტა ლოტი №16 | 306 კგ | ხელვაჩაურის რაიონი სოფ. ურეხი. ბათუმის №3 საპყრობილე | 1 ივლისიდან 31 დეკემბრამდე ყოველთვიური მოთხოვნით |
| 17 | მარილი ლოტი №17 | 630 კგ | ხელვაჩაურის რაიონი სოფ. ურეხი. ბათუმის №3 საპყრობილე | 1 ივლისიდან 31 დეკემბრამდე ყოველთვიური მოთხოვნით |
| 18 | საქონლის ხორცის კონსერვი ლოტი №18 | 420 კგ | ხელვაჩაურის რაიონი სოფ. ურეხი. ბათუმის №3 საპყრობილე | 1 ივლისიდან 31 დეკემბრამდე ყოველთვიური მოთხოვნით |

ყველა შესყიდული საქონელი უნდა იყოს მაღალი ხარისხის:

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეეძლება ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

ტენდერში გამარჯვებულის მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს 1 ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, ზემოთ ჩამოთვლილ მისამართზე ცხრილის შესაბამისად.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოადგინონ ქართულ ენაზე. **არა უგვიანეს 2006 წლის 27 ივნისის 18.00 საათამდე. ქ. ბათუმი ხელვაჩაურის რ-ნი სოფ.ურეხი. ტელეფონი 7-13-02, მობ. 877-46-43-43**

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას.

*იურიდიული პირებისთვის*

1. ცნობას საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა უცხო ქვეყნის მონაწილეობის მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან/.

2. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკონტროლების საქმის წარმოება. არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია. / უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან /.

3. ცნობას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილე იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი. შესყიდვის დაწყების მომენტისთვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით. /უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან/.

4. ცნობას იურიდიული პირის ხელმძღვანელის /დირექტორი, პრეზიდენტი, ამონაწერი სახელმწიფო რეესტრიდან რეგისტრაციის შესახებ/.

*ფიზიკური პირებისთვის:*

1. მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა.

2. ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში მონაწილე პირები არ არიან მსჯავრდებული და შესყიდვების მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის.

3.ცნობას სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელდება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო გადასახადის გადახდის შემდეგ მისამართზე - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სად-ის საპყრობილე ხელვაჩაურის რაიონი სოფ.ურეზი, **26 ივნისის 18.00 საათამდე.**

**სატენდერო მოსაკრებლის საბანკო რეკვიზიტებია:** ბანკის დასახელება : "საქართველოს ეროვნული ბანკი", ბანკის კოდი 220101107 ანგარიშის ნომერი #200122900, სახაზინო ბანკის შემოსავლის ორდერში აუცილებლად უნდა მიეთითოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელთაღსრულების დეპარტამენტის ქ.ბათუმის #3 საპყრობილეს სატენდერო მოსაკრებელი

პრეტენდენტის სატენდერო წინადადებები უნდა შედგეს შესყიდვის ობიექტის მიხედვით წარმოადგენენ ერთ სატენდერო წინადადებას დახურული კონვერტით ერთ ლოტზე ერთი გამარჯვებული.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ საკონტაქტო პირს ნური დიდმანიძეს, ქ.ბათუმის #3 საპყრობილე.

*დამატებითი ინფორმაცია:*

სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება შემდეგი საკანონმდებლო აქტებით:საქართველოს კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ".

დებულება სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ.

საქართველოს კანონი "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შეტანის შესახებ".

სახელმწიფო შესყიდვების პროცედურის განხორციელების დროს წარმოქმნილი გასაჩივრდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", საქართველოს კანონის 241 მუხლის შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 33-37-ე მუხლებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.


# "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

2006 წლის 16 მაისიდან 23 მაისამდე ქ. თბილისში, გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:

- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)

- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)

+ ლიპოსაქცია

- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

**ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე:** 893 60 30 06
893 65 38 39

# გამაჯანსაღებელი ცენტრი ნაუტილუსი



**გთავაზობთ:**

- ■ აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- ■ სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- ■ მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- ■ წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- ■ "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- ■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge







# სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

# სასწავლო პროგრამები სწავლება ინდოეთში 2006-2007

ინდოეთში სწავლის მსურველთათვის ხელმისაწვდომია სხვადასხვა სასწავლო კურსები ინდოეთის ტექნიკური და ეკონომიკური კორპორაციის (IთEჩ) პროგრამის ეგიდით. სასწავლო კურსების ხანგრძლივობაა 6-დან 52 კვირამდე და მოიცავს საინფორმაციო ტექნოლოგიას, მცირე და საშაულო ბიზნესის განვითარებას, ინგლისური ენის შესწავლას, სოფლის მეურნეობის განვითარებას, მენეჯმენტს და ა.შ.

სწავლების საფასური და ყველა სხვა ხარჯი გადახდილი იქნება ინდოეთის მთავრობის მიერ. ინგლისური ენის პრაქტიკული ცოდნა სავალდებულოა. სასურველია კანდიდატები წარმოდგენილი იქნან სახელმწიფო სამსახურის, კერძო კომპანიის, სამრეწველო ასოციაციის, სავაჭრო პალატის და ა.შ. მიერ.

**დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:**

1) თეა ტრაპაიძე
მობ: 899 195803
ელ-ფოსტა: tea17@rambler.ru

**2) ლილიტ ჰოვანისიანი, ინდოეთის საელჩო, ერევანი, სასომხეთი**
ტელ: + 374 10 539173/4/5
Eმაილ: consular@embassyofindia.am

**ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომია ჩვენს ვებ გვერდზე www.indianembassy.am ITEC-ის სახელით.**







# 5 ივნისი

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 00.00,** 00.45(შვეიცარია), 03.00(აფრიკა), **04.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** მუქი ცისფერი. დოკ. ფილმი. **07.35** ტელეტურიზმი. **08.30** ტელედილა. **10.30** ეკატერინე. სერიალი. **11.05** ჩვენი სახლი. **12.15** რადიო ოკაპი, ცხოვრების რადიო. დოკ. ფილმი. **14.05** TV5-ის სამყარო. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** სამი ქალბატონო... ზაფხულის საღამო. ტელესერიალი. **18.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.30** მათ არასოდეს ავიწყდებათ. კრისტოფერ ფრანკი. 1994. **23.00** ამღვრეული წყალი. ტელესერიალი. **01.20** გადაცემა: ყველას თავს ვერ მოაწონებ.




მამა რაჟდენ ხარჭამაძე, დედა ლერა კორძაძე-ხარჭამაძე, მეუღლე ნანა მეფარიშვილი, შვილები: ლუკა, ანა, მამიდა ჟუჟუნა ძარჭამაძე, ბიცოლა ლიანა გოგელია, სიმამრი ოთარ მეფარიშვილი, ბიძშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

## ალექსანდრე (ალეკო) ხარჭამაძე

**პანაშვიდები 4 და 5 ივნისს, 17 საათზე.**
**თბილისი. ნუცუბიძის 42, მე-2 კორპუსი, პირველი სადარბაზო.**
**გამოსვენება 6 ივნისს, ვაკის წმინდა სამების ტაძრიდან 14 საათზე.**

24 საათი B

© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



### Jeep ამერიკას Grand Cherokee-ის დიზელურ ვარიანტს სთავაზობს

კომპანია Jeep 2007 წლიდან ამერიკის შეერთებულ შტატებს Jeep Grand Cherokee-ის დიზელურ ვარიანტს შესთავაზებს. ამერიკული "დიზელის" ავტომობილის ევროპული მოდელებისგან განმასხვავებელი ნიშანი ის არის, რომ ეს ავტომობილები მხუთავ აირებს შედარებით ნაკლებად უშვებენ. ამასთან ერთად, ეს ახალი ტიპის ავტომობილები ამერიკის შეერთებული შტატების მიერ მიღებულ მკაცრ ეკოლოგიურ ნორმებს აკმაყოფილებენ. ექსპერტები აცხადებენ, რომ ამ სისტემას უახლოეს მომავალში კომპანია Mercedes-იც აითვისებს. კომპანია ამ ახალი ტიპის ავტომობილებს ჩრდილოეთ ამერიკის ბაზარზე 2006 წლის ბოლოსთვის გაიტანს.

Jeep Grand Cherokee-ის ახალი ვერსიის ძირითადი დეტალები დეტროიტში შეიქმნება, რაც შეეხება ძრავებს, მას სავარაუდოდ გერმანიაში აწარმოებენ.

Grand Cherokee-ის დიზელური ვარიანტის გამოშვებას ადგილობრივი მყიდველები დიდი სიხარულით შეხვდნენ.



### MITSUBISHI ამერიკულ ბაზარს ტოვებს

კომპანია Mitsubishi ამერიკული ბაზრის დატოვებას აპირებს. ამის შესახებ ოფიციალური განცხადება იაპონური ფირმის დირექტორმა შინიჩი ურიხარამ გააკეთა.

მისი თქმით, კომპანია ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწეობას იმ შემთხვევაში გააგრძელებს, თუ იაპონური ავტომწარმოებლების ახალ მოდელებს რეალიზაციაში გარკვეული პრობლემები შეექმნებათ.

Mitsubishi-ის გეგმები პირველ რიგში, Mitsubisi Lencer-ის ახალი თაობის კომპაქტურ Outlander-ის მოდელებს უკავშირდება. ამერიკელი მყიდველების გემოვნებიდან გამომდინარე, ეს ახალი მოდელები თავის წინამორბედებთან შედარებით უფრო მეტი პოპულარულობით სარგებლობენ.

უნდა აღინიშნოს, რომ Mitsibishi-ის გაყიდვები ამერიკის შეერთებულ შტატებში 2005 წლის შემდეგ 124 ათასით შემცირდა. 2006 წლისთვის კი მათი გაყიდვები კიდევ 16%-ით დაეცა. ერთადერთი მოდელი, რომელზეც ამერიკაში დიდი მოთხოვნილებაა, Mitsubishi Eclipse-ს სპორტული კუპე გახლავთ.

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3424 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 2,0004 |
| 1 | არაბული დირხამი | AED | 0,4895 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7980 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8387 |
| 1 | ბულგალური ლეი | BGL | 1,1775 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,3088 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3124 |
| 1 | ევრო | EUR | 2,3027 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4720 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3458 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1736 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1594 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,3511 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1964 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2498 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,3986 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,6288 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,2691 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,6497 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3539 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2963 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5881 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,6040 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0669 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1379 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4215 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5579 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4715 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,5888 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8794 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,2189 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1490 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4435 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2493 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4723 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0818 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2241 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2318 |




# ღვინის ბაზარი

გოჩა ქიმუცაძე

*ბოლო დროს ლამის მთელი მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარე, ქართული ღვინის პიარ-აქციების ფონზე საინტერესოა ღვინის მსოფლიო ბაზარზე არსებული სიტუაციის და ტენდენციების განხილვა, ბაზრის, რომელიც საკმაოდ გადატვირთულია და სადაც დამკვიდრებას სულ უფრო და უფრო მეტი ქვეყანა ცდილობს.*



### უმსხვილესი მწარმოებლები

ღვინის მწარმოებელი ათი უმსხვილესი ქვეყანა საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, აშშ, არგენტინა, ავსტრალია, გერმანია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, პორტუგალია და ჩილე გახლავთ. წამყვანი ექსპორტიორები - იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი, ავსტრალია და ჩილე; იმპორტიორები კი - დიდი ბრიტანეთი, აშშ, გერმანია, იაპონია და ნიდერლანდები არიან.

გასული წლის მონაცემებით, მსოფლიოს უმსხვილესი, ღვინის მწარმოებელი კომპანია ამერიკული Constelation Brands-ია, რომელმაც ხუთი მილიონ ჰექტოლიტრამდე ღვინო ჩამოასხა. მას ცოტათი ჩამორჩნენ ასევე ამერიკული კომპანიები E&J Gallo და The Wine Group-ი და ფრანგული Castel Freres -ი. მათ შემდეგ უნდა მოვიხსენიოთ ფრანგული Grand Chais de France, ბრიტანული Allied Domecq-ი, რომელიც თავის ბიზნესს ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, არგენტინასა და ესპანეთში აწარმოებს, და ავსტრალიური Southcorp-ი.

სამომხმარებლო ბაზრის შესწავლის შემდეგ, ცნობილი გახდა, რომ სულ გასულ წელს მსოფლიოში 300 ჰექტოლიტრამდე ღვინო აწარმოეს, ხოლო ღვინის მსოფლიო ბაზარზე საქონელბრუნვამ 107 მილიარდი დოლარი შეადგინა. ექსპერტთა აზრით, წელს ბრუნვა კიდევ უფრო გაიზრდება და დაახლოებით 113 მილიარდ დოლარს მიაღწევს.

ანალიტიკოსთა მიაჩნიათ, რომ ღვინის მსოფლიო ბაზრის ზრდას ახალი ბაზრების, განსაკუთრებით - ჩინურის და ზოგადად - აზიურის, გაფართოება განაპირობებს. გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა აქვს ლუდის ბაზარზე მომხმარებელთა ქცევის მოდელის შეცვლას, რაც, უპირველეს ყოვლისა, ავსტრალიასა და სკანდინავიის ქვეყნებზე უნდა ითქვას. სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება წითელ ღვინოს, როგორც ჯანმრთელობისათვის სასარგებლო პროდუქტს. უკანასკნელ წლებში მისმა წარმოებამ 12 პროცენტით მოიმატა.

გაგრძელება B2-გვერდზე

B2

# საფონდო ბირჟაზე გარიგებათა რაოდენობა შემცირდა

სს "საქართველოს ბანკის" და სს "პროკრედიტბანკის" ობლიგაციებზე განაცხადი არ დაფიქსირებულა

ნინო ნატროშვილი

*გასული კვირა საქართველოს საფონდო ბირჟის ბრუნვის მკვეთრი დაცემით აღინიშნა. საქართველოს საფონდო ბირჟაზე მხოლოდ 247 გარიგება განხორციელდა, ხოლო 11 სახეობის სააქციო საზოგადოების აქციაზე განაცხადიც კი არ დაფიქსირებულა. განაცხადი არ დაფიქსირებულა სს "საქართველოს ბანკი"-ს და სს "პროკრედიტბანკი"- ს ობლიგაციებზე, რაც, ექსპერტების შეფასებით, საკმაოდ დამაფიქრებელი მოვლენაა. ბირჟის ჯამურმა ბრუნვამ 514808.36 ლარი შეადგინა. გასხვისებულ იქნა 384187 აქცია. რაიმე მსხვილ გადანაწილებას ადგილი არ ჰქონია. ამ ფონზე საკმაოდ აქტიური იყო გარესაბირჟო ბაზარი. "საქართველოს საინვესტიციო ჯგუფის" ინფორმაციით, მის მიერ განხორციელდა 5 მლნ ლარზე მეტი თანხობრივი ბრუნვის გარიგებები. აღსანიშნავია, რომ "ჯი-აი-ჯი"-ს მიმდინარე წლის მოცულობა უკვე მნიშვნელოვნად აჭარბებს 2005 წლის ჯამურ შედეგს. ჯგუფის პროგნოზით, 2006 წელი იქნება ყველაზე წარმატებული დროის მონაკვეთი "ჯი-აი-ჯი"-ს ისტორიაში. ჯგუფის გათვლებით, გაუმჯობესდება საშუალო წლიური მაჩვენებელი. ბოლო 5 წლის მანძილზე ჯგუფის წილად მოდის მთელი საქართველოს საფონდო ბაზრის 45 - 50 პროცენტი. მიმდინარე წელს ეს მაჩვენებელი 60 - 63 პროცენტამდე ავა.*




B2

# რა პროცედურები უნდა გაიაროს ლიზინგის მიმღებმა

თინა შავაძე

*ლიზინგი არის ფინანსირების ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რომელიც ინვესტირებას ძირითად საშუალებებში ახდენს. რა პროცედურებია გასავლელი იმისთვის, რომ მეწარმე ლიზინგის მიმღები გახდეს, ამის შესახებ "24 საათს" კომპანია "თი-ბი-სი ლიზინგის" საკრედიტო ექსპერტი ლაშა ენუქიძე ესაუბრა.*

- **ლიზინგის მიმღები შეიძლება იყოს იურიდიული პირი, რომელიც თავის საქმიანობას საქართველოში წარმართავს.**
- **ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ლიზინგის საგანი იყოს ლიკვიდური.**
- **ლიზინგი ორიენტირებულია, ძირითადად, მცირე და საშუალო კომპანიების დაფინანსებაზე.**
- **ლიზინგი აფინანსებს ყველა იმ საქმიანობას, რომელიც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით ნებადართულია.**



B4

## ქართველი მეღვინეები პრობლემის მოგვარებას ელიან

ქართველი მეღვინეები საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის შეხვედრას იმედით უყურებენ და პოზიტიურად განიხილავენ.

მეღვინეების ასოციაციის ხელმძღვანელის ლევან კობერიძის თქმით, ყველანაირი დიალოგი მისასალმებელია და ეს დიალოგი თავად შეიცავს პოზიტივს.

"ნებისმიერი შეხვედრა მისასალმებელია. ალბათ, შეხვედრაზე ერთ-ერთ საკითხად ღვინის პრობლემაც განიხილება. მთავარია, დიალოგი დაიწყოს და საქმე დაიძრას," - განაცხადა ლევან კობერიძემ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ეკონომიკური განვითარების მინისტრები ბაქოში შეიკრიბებიან

მიმდინარე თვეს საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის ტრანსპორტისა და ეკონომიკური განვითარების მინისტრები ერთმანეთს ბაქოში შეხვდებიან.

შეხვედრაზე ყარსი-ახალქალაქი-ბაქოს სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებენ. შეხვედრის მონაწილენი პროექტის რეალიზაციის დეტალებს, მის ტექნიკურ-ეკონომიკურ ბიზნესგეგმას, აგრეთვე, დაფინანსების წყაროებს დააზუსტებენ.

მინისტრები პროექტის საბოლოო სახეს შეადგენენ, რომელიც შემდეგ პრემიერ-მინისტრებს წარედგინებათ.

აღსანიშნავია, რომ დღემდე პროექტის ღირებულების შესახებ განსხვავებული ინფორმაცია ვრცელდებოდა, თუმცა, ექსპერტების გათვლებით, ეს თანხა საშუალოდ 370-420 მილიონი აშშ დოლარით განისაზღვრება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "შიშეჯამი" 20-მილიონიან ინვესტიციას განახორციელებს

თურქული კომპანია "შიშეჯამის" პრეზიდენტი სააქციო საზოგადოება "მინაში" დამატებით 20 მილიონი დოლარის ინვესტიციის განხორციელებას გეგმავს. ივნისის ბოლომდე საწარმოს სიმძლავრის გაზრდის მიზნით, ქსნის მინის ტარის ქარხანაში კომპანია "შიშეჯამი" დამატებით 20-მილიონიან ინვესტიციას განახორციელებს, რომელიც მინის სახარში ახალი ღუმელის ამოქმედებას მოხმარდება. თურქული ინვესტიცია საქართველოს მინის წარმოებაში 1998 წელს ჩაიდო. 2002 წელს კომპანიამ "შიშეჯამმა" ს/ს "მინა"-ში დამატებით 7-მილიონიანი ინვესტიცია განახორციელა. კომპანიაში მცხეთის რაიონის სოფლებში მცხოვრებთა 80 პროცენტია დასაქმებული, რომელთა საშუალო ხელფასი 300-400 ლარს შეადგენს. სააქციო საზოგადოებამ 2005 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში 5 მილიონამდე ლარი შეიტანა. საწარმოო სიმძლავრის გაზრდის შედეგად კი, საბიუჯეტო შემოსავლები დაახლოებით 10 მილიონამდე გაიზრდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## შპს "ამბროლაურგაზის" სახელმწიფოს 90-პროცენტიანი წილი 50 000 დოლარად იყიდება

შპს"ამბროლაურგაზის" 90-პროცენტიანი სახელმწიფო წილი 50 000 დოლარად იყიდება. ეკონომიკური განვითარების სამინისტრო განაცხადების მიღებას აღნიშნული ობიექტის პრივატიზაციის მიზნით 6 ივნისიდან დაიწყებს. ობიექტის საწესდებო კაპიტალი 84 400 ლარია. ის ამბროლაურში ვაჟა-ფშაველას ქ. N3-ში მდებარეობს. მისი საქმიანობის სფერო გაზმომარაგებაა. ობიექტის კრედიტორული დავალიანება 24 779 ლარია. მისი ყიდვის მსურველებმა განაცხადები ეკონომიკური განვითარების სამინისტროში 6 ივლისამდე უნდა წარადგინონ, აუქციონი კი ამავე დღეს, 18 საათზე გაიმართება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ოზურგეთის რაიონის შავიზღვისპირა ზოლი იჯარით გაიცემა

ოზურგეთის რაიონის შავისზღვისპირა ზოლი 10 წლის ვადით იჯარით გაიცემა. ოზურგეთის რაიონის გამგებლის ვალერი ჩიტაიშვილის განცხადებით, გამგეობის მოთხოვნა, რომელიც რაიონის ტერიტორიაზე 29.65 ჰექტარი შავიზღვისპირა ზოლის ათი წლის ვადით იჯარით გაცემას ითვალისწინებს, საქართველოს მთავრობამ მოიწონა და დააკმაყოფილა. მისი თქმით, უახლოეს მომავალში ოზურგეთის რაიონის გამგეობა 29.65 ჰექტარ შავიზღვისპირა ზოლის ტერიტორიას ნაწილებად დაყოფს და 10 წლის ვადით იჯარით გადაცემასთან დაკავშირებით კონკურსს გამოაცხადებს. იჯარით გაიცემა დაბა ურეკის ტერიტორიაზე 12.5 ჰექტარი მიწა და სოფელ ნატანების შეკვეთილის ტერიტორიაზე - 17.5 ჰექტარი. "იმედი მაქვს, რომ ამ ტერიტორიით დაინტერესება, კონკურსის დროს, რეალურად დაფიქსირდება და მასში მონაწილეობას ბევრი ადამიანი მიიღებს," - განაცხადა ჩიტაიშვილმა. **ინტერპრესნიუსი**

## შპს "ალფა" 3 600 000 დოლარად იყიდება

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ, "ალფას" პრივატიზების მიზნით, აუქციონი გამოაცხადა. მისი საწყისი ფასი 3 600 000 დოლარით განისაზღვრა. საწარმოს საქმიანობის სფეროა სამამულო მიკროელექტრონული ხელსაწყოებისა და აპარატურის წარმოება. საწესდებო კაპიტალი 6 373 970 ლარია, დებიტორული დავალიანება 394 296 ლარს შეადგენს, ხოლო კრედიტორული - 66 742 ლარს. დაინტერესებულთათვის, განცხადებების მიღება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში 6 ივნისიდან დაიწყება და 6 ივლისამდე გაგრძელდება. ტენდერი 6 ივლისს 18.00 საათზე ჩატარდება. **ინტერპრესნიუსი**

## ფოთში თავისუფალი ეკონომიკური ზონა შეიქმნება

ფოთში თავისუფალი ეკონომიკური ზონა შეიქმნება. ამის შესახებ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ირაკლი ჩოგოვაძემ ასტანაში გამართულ შეხვედრაზე განაცხადა. "აღნიშნულ პროექტს ფოთის პორტის მახლობლად განვახორციელებთ. თავისუფალი ეკონომიკური ზონა 400 ჰექტარ ფართობზე განთავსდება. ვფიქრობთ, ეს საინტერესო იქნება ყაზახეთის როგორც საფინანსო, ასევე სამრეწველო ინსტიტუტებისათვის," - განაცხადა ჩოგოვაძემ. როგორც მინისტრმა აღნიშნა, ტურიზმის სფეროში ყაზახეთი ნომერ პირველი ინვესტორია. "ყაზმუნაიგაზსერვისი" (რომელიც "ყაზმუნაიგაზის" შვილობილი კომპანიაა), უკვე დაინტერესდა ორი მასივით ბორჯომში. მინისტრის თქმით, ბორჯომის ხეობაში ინვესტორებისათვის კიდევ მრავალი საინტერესო და მიმზიდველი ობიექტია. **ჯი-ეიჩ-ენი**




# ღვინის ბაზარი

პირველი გვერდიდან

### დანარჩენი მსოფლიო ევროპის წინააღმდეგ

აღსანიშნავია, რომ ღვინის მსოფლიო ბაზარზე ფრანგი, იტალიელი და ესპანელი მწარმოებლების წილმა მათი ამერიკელი, ავსტრალიელი, არგენტინელი, ჩილელი და სამხრეთ-აფრიკელი კონკურენტების ხარჯზე იკლო. ამის ძირითადი მიზეზი განსხვავებულ მიდგომაშია: თუ ევროპელებისათვის მეღვინეობა მთელი რეგიონების ცხოვრების სტილი, უძველესი ტრადიციებისადმი თაყვანისცემაა, ბევრი კონტინენტის ყოფილი კოლონიებისათვის მეღვინეობა მხოლოდ ბიზნესია და უმთავრეს მნიშვნელობას წარმოების ეფექტურობას და მარკეტინგს ანიჭებენ.

ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ ევროპული და არაევროპული ბაზრის სტრუქტურა პრინციპულად განსხვავებულია. ექსპერტთა მონაცემებით, ღვინის ხუთი უმსხვილესი მწარმოებელი ბაზრის მხოლოდ 8 პროცენტს აკონტროლებს. და ეს მაშინ, როცა ამდენივე უმსხვილეს ლუდის მწარმოებელ კომპანიას ბაზრის 27 პროცენტი აქვს ათვისებული. ამის მთავარი მიზეზი ევროპულ კომპანიათა დაქსაქსულობაა. მარტო საფრანგეთში 250 ათასამდე ღვინის მწარმოებელი კომპანიაა, ავსტრალიაში კი ბაზრის 75 პროცენტს ოთხი მსხვილი კომპანია: Southcorp-ი, BRL Hardy, Orlando Wyndham-ი და Be-ring Blass-ი აკონტროლებს. როგორც წესი, ევროპელთაგან განსხვავებით, ოკეანისგაღმელი კომპანიები შერწყმის საშუალებით გიგანტი კორპორაციების შექმნისაკენ ისწრაფვიან.

ღვინის ყველაზე მსხვილი ბაზარი ამერიკულია, მის 77 პროცენტს ადგილობრივი წარმოების სასმელი შეადგენს, დანარჩენს კი - იმპორტული. ამერიკაში ღვინის უმსხვილესი მიმწოდებლები არიან: იტალია, ავსტრალია, საფრანგეთი, ჩილე და ესპანეთი. თავის მხრივ, აშშ თავის ღვინოს იაპონიაში, დიდ ბრიტანეთში, ნიდერლანდებში, ბელგიასა და კანადაში ყიდის.

იტალიის, საფრანგეთის, ესპანეთის და პორტუგალიის ტრადიციულ ღვინის ბაზრებზე მოხმარებული სასმელის რაოდენობა თანდათანობით კლებულობს. საქმე ის არის, რომ ამ ქვეყნებში ახალგაზრდები ღვინოს ისე რეგულარულად არ ეწაფებიან, როგორც მათი წინაპრები. ამის ერთ-ერთი მიზეზი ანტინიკოტინური და ანტიალკოჰოლური კამპანია, თამბაქოს ნაწარმისა და სპირტიანი სასმელების რეკლამის აკრძალვა და გამკაცრება გახლავთ. დღეს მხოლოდ ფრანგთა 37 პროცენტი იმაჭრიანებს ყელს რეგულარულად, მაშინ, როცა 1980 წელს ეს მაჩვენებელი 67 პროცენტს აღწევდა.

მცირდება ექსპორტი მეღვინეობის ტრადიციული ქვეყნებიდან. საფრანგეთის ღვინის და მაგარი სასმელების ასოციაციის ინფორმაციით, შარშან ფრანგული ღვინის ექსპორტმა 7 პროცენტით მოიკლო. იტალიელ ფერმერთა კავშირის ცნობით კი, ამ ქვეყნიდან ღვინის ექსპორტი 5,5 პროცენტით შემცირდა. სამაგიეროდ, ჩილური ღვინის ექსპორტი - მთელი 13 პროცენტით, ამერიკულის - 29-ით, ავსტრალიურის კი 11 პროცენტით გაიზარდა.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბაზარზე სულ უფრო იზრდება ძვირფასი ღვინის სექტორი. ევროპაში ეს ტენდენცია განსაკუთრებით ნათლად სკანდინავიის ქვეყნებში, დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში ვლინდება. თუ ევროპელი მეღვინეებისათვის ძვირფასი ღვინო ტრადიციული პროდუქტია, ოკეანისგაღმელი მწარმოებლებისათვის იგი ბიზნესის ახალი მიმართულება გახლავთ, რომლის საშუალებითაც ისინი შემოსავლის გაზრდას ცდილობენ. ბოლო დროს ამერიკელმა, არგენტინელმა, ჩილელმა და ავსტრალიელმა მეღვინეებმა სულ უფრო გაზარდეს Premium-ის სეგმენტის პროდუქტის წარმოება, თანაც, ამისათვის ხშირად განთქმულ ევროპულ ბრენდებს იყენებენ და მათ უფრო იაფად აწარმებენ, ვიდრე ბებერ კონტინენტზე.

ცხადია, ევროპელ მეღვინეებს ეს არ მოსწონთ, მაგრამ ყურძნის ცნობილი ჯიშის დასახელებებში მოხსენიების მიმართ ვერაფერს გააწყობენ, რადგან ოკეანისგაღმელები აცხადებენ, რომ აღნიშნული ჯიშები სხვაგანაც იზრდება. სამაგიეროდ, ევროპელებმა გარკვეულწილად მიაღწიეს უცხოური წარმოების ღვინოების დასახელებაში "გეოგრაფიული ინდიკატორების" (როგორებიცაა "შამპანური", "პორტო", "ჰერესი" და ა.შ.) გამოყენების შეზღუდვას. თუმცა, ოკეანისგაღმელებმა სხვა სახელები მოიფიქრეს, მაგალითად, "ნახევრადჩივეულებრივი". თანაც, ბევრი არ ეპუება და აცხადებს, რომ ნებისმიერი დასახელების გამოყენების უფლება აქვთ.

სიტუაციის გამოსასწორებლად ევროპელ ღვინისმწარმოებლებში ფართოდ გავრცელდა ტერმინი "კომერციული ღვინო". ისინი ცდილობენ, ახალი ტექნოლოგიების დანერგვით შედარებით იაფი, "მასობრივი" სასმელის გამოშვებას მიაღწიონ. ამასთან, იძულებული არიან, ბევრი "ტაბუ" გააუქმონ. მაგალითად, თვით ფრანგული "ბორდოს" მწარმოებლები უკვე გვირჩევენ, ხორცთან და თევზთან ნებისმიერი მარკის ღვინოს შევექცეთ და არა განსაკუთრებულს.

ზემოთ ჩამოთვლილი ათი წამყვანი ღვინისმწარმოებელი ქვეყნის გარდა, სულ უფრო და უფრო აფართოებენ თავიანთ წარმოებას ამ თვალსაზრისით შედარებით წვრილი ქვეყნები. ესენი გახლავთ: ევროპაში - ალბანეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, უნგრეთი, საბერძნეთი, უკრაინა, რუსეთი; აზიაში - ჩინეთი და ინდოეთი; ამერიკაში - მექსიკა და ბრაზილია. ისინი, ძირითადად, ახალი ტექნოლოგიების ათვისებით და ამერიკელთა და ავსტრალიელთა გამოცდილების გაზიარებით, იაფი, "მასობრივი" ღვინოს წარმოებას ცდილობენ. ცხადია, მათ ნაწარმს ბევრგან ჯერჯერობით გარკვეული ეჭვით უყურებენ, მაგრამ როცა ერთი ბოთლი ღვინო 1,5 დოლარი ღირს, მყიდველი მაინც ჰყავს. თანაც, სულ უფრო ხშირად გორდება პიარ-კამპანია, რომ იაფი ღვინო ძვირფასზე არანაკლებ ხარისხიანი და მარგებელია.

### იაფი რუსული ბაზარი

ქართულ ღვინოზე რუსეთის მიერ ემბარგოს დაწესების შემდეგ, განსაკუთრებით საინტერესოა, ამ ქვეყნის ბაზარზე არსებული სიტუაცია.

თავად რუსეთს ელიტარული ღვინის წარმოების საშუალება არ აქვს, ამიტომ, აქცენტს "მასობრივ ღვინოზე" აკეთებს. საერთოდ, რუსული ბაზრის 80 პროცენტი იაფფასიან ღვინოს აქვს დაპყრობილი, რომელიც ერთი ბოთლი 3-4 დოლარი ღირს. ჯერ ერთი, რუსი მომხმარებლის შემოსავალი საკმაოდ დაბალია და, ამასთან, მისი ფსიქოლოგია დასავლელისას მთელი 20-30 წლით ჩამორჩება. ამიტომაცაა, რომ რუსეთში იმპორტირებული ღვინის მხოლოდ 15-20 პროცენტია "ელიტარული". თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთში ძვირფასი ღვინოების იმპორტი ბოლო დროს თანდათანობით, უმეტესწილად, დიდი ქალაქების ხარჯზე იზრდება.

რუსულ ბაზარზე იმპორტირებული ღვინის დიდ ნაწილს ამერიკული, არგენტინული, ავსტრალიური და ესპანური იაფფასიანი ღვინოები შეადგენს. გარდა ამისა, თანდათანობით მატულობს ალბანური, ბერძნული, უნგრული, რუმინული და ბულგარული ღვინის იმპორტი. აღსანიშნავია, რომ ქართული და მოლდოვური ღვინოების მოკვეთის შემდეგ, რუსულ ბაზარზე გათავისუფლებული ნიშის ათვისებით განსაკუთრებით რუმინელები და ბულგარელები დაინტერესდნენ.

## ქართული ვინდოუსი ივნისის ბოლოს მზად იქნება

ივნისის ბოლოს საქართველოს ქართული "ვინდოუსი" ექნება. ამის შესახებ "ვინდოუსის" ქართული ვერსიის შექმნის პროექტის" მენეჯერმა ირაკლი უჯმაჯურიძემ განაცხადა. როგორც მან აღნიშნა, სავარაუდოდ, მარტში ან აპრილში მზად იქნება "ვინდოუსის" ქართული ვერსია, რომელიც ტესტირებას გაივლის.

"პროექტი დასრულების ფაზაში შევიდა. უკვე ნათარგმნი გვაქვს 2 700 ტერმინი და 80 000-მდე ფრაზა, რომელიც ეტაპობრივად გადის ტესტირებას. მომზადებული მასალები შემოწმებისათვის კომპანია "მაიკროსოფტის" სათაო ოფისში იგზავნება," - განაცხადა მან. შეგახსენებათ, რომ "ვინდოუსის" გაქართულების პროექტს "მაიკროსოფტის" ინიციატივითა და საქართველოს პრეზიდენტის მხარდაჭერით, კომპანია "იუ-ჯი-თი" 2005 წლის ივნისიდან ახორციელებს. "მაიკროსოფტთან" გაფორმებული ხელშეკრულება ერთწლიანია და პროექტი მიმდინარე წლის ივნისში დასრულდება. პროექტს "იუ-ჯი-თი" კომპანია "მაიკროსოფტის" თანადაფინანსებით ახორციელებს. ამისთვის "მაიკროსოფტი" 25 ათას დოლარს გამოყოფს. პროექტის განხორციელებაზე, სავარაუდოდ, 40 ათასი დოლარი დაიხარჯება. "მაიკროსოფტთან" მიღწეულია სიტყვიერი შეთანხმება სხვა პროდუქტების გაქართულებაზეც. თუ აღნიშნული პროექტი წარმატებით დასრულდება, ამ კუთხით მასთან თანამშრომლობა კვლავ გაგრძელდება," - განაცხადა უჯმაჯურიძემ. აღსანიშნავია, რომ "ვინდოუსის" ქართული ვერსია ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდება. მისი მოპოვება არ იქნება დაკავშირებული დანახარჯებთან. **ჯი-ეიჩ-ენი**

## მსოფლიო ბანკი მზადაა, საქართველოს 7 მილიონი დოლარი გამოუყოს

მსოფლიო ბანკის დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს მთავრობა 7 მილიონ აშშ დოლარს მიიღებს ფრინველის გრიპის პრევენციის პროექტის განსახორციელებლად. ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოში მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობიდან აცნობეს. აღნიშნული თანხიდან, 3,5 მილიონი აშშ დოლარი კრედიტს, 3,5 მილიონი კი გრანტს წარმოადგენს. 10,4 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების პროექტი სამ ძირითად მიმართულებას მოიცავს - ცხოველთა ჯანმრთელობა (5,18 მილიონი აშშ დოლარი), ადამიანების ჯანმრთელობა (4,32 მილიონი აშშ დოლარი), ასევე საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება პრევენციისა და გრიპთან ბრძოლის თვალსაზრისით (0,9 მილიონი აშშ დოლარი). თანხები მსოფლიო ბანკსა და საქართველოს მთავრობას შორის შესაბამისი შეთანხმების რატიფიცირების შემდეგ გადმოირიცხება. საქართველო მსოფლიო ბანკის წევრი 1993 წელს გახდა. დღეისათვის, მსოფლიო ბანკმა საქართველოს 816 მილიონი აშშ დოლარი გამოუყო სხვადასხვა სფეროებში 40-მდე პროექტის დასაფინანსებლად. **პრაიმ-ნიუს**

# კომპანია "მაგთიკომმა" სახელი შეიცვალა

"მაგთი GSM"-დან "მაგთიმდე"

სალომე ძაძამია

კომპანია "მაგთიკომმა" საზოგადოებას კომპანიის ძირითადი ბრენდის, "მაგთი GSM-ის" რებრენდინგის კამპანიის დაწყების შესახებ ამცნო. "ბოლო 9 წლის განმავლობაში "მაგთიკომს" უკავია ლიდერი კომპანიის პოზიცია საქართველოს მობილური კავშირგაბმულობის ბაზარზე. ჩვენ ბევრი ვიმუშავეთ, რათა ეს კავშირი ყოფილიყო უფრო ადვილი, სანდო და ხელმისაწვდომი ყველა ქართველისათვის. ჩვენი ახალი ბრენდი - "მაგთი" გვაძლევს შესაძლებლობას, რომ მთელი ჩვენი შესაძლებლობები მივმართოთ ერთი ამოსავალი წერტილისაკენ - "მომხმარებლისკენ," განაცხადა "მაგთის" გენერალურმა დირექტორმა დევიდ ლიმ.

ახალ სახელთან ერთად, "მაგთიმ" ასევე გამოაცხადა რამდენიმე ცვლილება აბონენტთა მომსახურების პირობებში, რომლებიც ძირეულად შეცვლიან ქართული მობილური ტელეკომუნიკაციების ბაზარს და ყველა ეს ცვლილება დაფუძნებულია კომპანიის ახალ სლოგანზე "კავშირი თქვენს სამყაროსთან".

დღეიდან "მაგთის" ყველა აბონენტს ექნება შემომავალი ზარების მიღების საშუალება ბოლო გადახდიდან ერთი წლის განმავლობაში. შემომავალი ზარები განხორციელდება მაშინაც, როდესაც ბალანსი ნულის ტოლია.

"მაგთის" აბონენტებს შეეძლებათ, მთელი ბალანსი თავიანთი სურვილისამებრ გამოიყენონ, მიუხედავად იმისა, თუ როდის შეავსეს ის და, შესაბამისად, აბონენტის ლექსიკონიდან გაქრება ტერმინი "ორმხრივად გამორთული". მანამ, სანამ ანგარიშზე არის დადებითი ბალანსი, "მაგთის" მომხმარებლებს თავიანთი ტელეფონის გამოყენება შეეძლებათ.

ამასთან ერთად, "მაგთის" მომხმარებელი იხდის ზუსტად იმდენს, რამდენსაც საუბრობს. დღესდღეობით "მაგთი" არის ერთადერთი მობილური ოპერატორი საქართველოში, რომელიც ზარების წამობრივ გადარიცხვას და დაანგარიშებას აწარმოებს. რადგანაც "მაგთის" მომხმარებელი იხდის იმდენს, რამდენსაც ლაპარაკობს, მას უფრო მეტი დრო აქვს კავშირისთვის.

ახალი "მაგთის" წარდგენასთან დაკავშირებით ყველა წინასწარი გადახდის აბონენტი, რომელიც გააქტიურებს, მინიმუმ, 10 ლარის ღირებულების მონო-ბარათს 2006 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით, მიიღებს საჩუქარს სალაპარაკო წუთების სახით ქსელის შიდა ზარებზე. რაც უფრო დიდია ბარათის ნომინალი, მით უფრო მეტ წუთს მიიღებს მომხმარებელი საჩუქრად. 10-ლარიან ბარათზე აბონენტი საჩუქრად მიიღებს 3 წუთს, ხოლო 30-ლარიან ბარათზე - 12 წუთს. ნაჩუქარი წუთები ძალაშია აქტივაციიდან 30 დღის განმავლობაში.

"ამ ქმედებების მეშვეობით ჩვენ იმედი გვაქვს, დავანახოთ ჩვენს აბონენტებს და ყველა სხვას, რომ "მაგთის" ახალი სახე იქნება პარტნიორისა, რომელიც ბევრს მუშაობს, რათა ჩვენი აბონენტების ცხოვრება უფრო მარტივი, მოსახერხებელი, საინტერესო და ხელმისაწვდომი გახადოს.

ჩვენ გავაკეთეთ ბევრი მნიშვნელოვანი ინვესტიცია ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებაში, აბონენტთა მომსახურების სერვისის დახვეწაში, კომპანიის ოპერაციული გაუმჯობესებისა და ქსელის ინფრასტრუქტურის განვითარებაში. "მაგთის" წარმოდგენა არის ამ მნიშვნელოვანი პროგრესის ხელშესახები გამოვლინება, რაც არსებითად დაგვეხმარება ჩვენს მომხმარებლებთან ურთიერთობის გაუმჯობესებაში.

ახალი "მაგთის" წარდგენასთან ერთად, გაირკვა, რომ მესამე თაობის ქსელით სარგებლობა 1000 შერჩეული აბონენტისთვის ივნისში იქნება შესაძლებელი. ახალი აბონენტები გახდებიან ათკვირიანი სატესტო პროგრამის მონაწილეები, რათა ამ პერიოდში დაიხვეწოს მომსახურება, მაქსიმალურად გაიზარდოს მომხმარებელთა კმაყოფილება და უზრუნველყოფილი იქნას უმაღლესი ხარისხი.

"მაგთის" მომხმარებელთათვის მესამე თაობის სერვისების წარდგენით დღეს იწერება ახალი გვერდი საქართველოს ტელეკომუნიკაციების ისტორიაში. ჩვენი მესამე თაობის ქსელი მუშაობს თბილისში და საქართველოს რამდენიმე მჭიდროდ დასახლებულ რეგიონში. იმისთვის, რომ სერვისის გაშვებისას მიღწეული იქნება მომხმარებელთა კმაყოფილების უმაღლესი დონე, გარდა ქსელის აწყობისა, ჩვენ არ ვიშურებთ დროსა და ენერგიას, რათა მაქსიმალურად დავხვეწოთ სერვისები და გავაუმჯობესოთ ქსელით სარგებლობის გამოცდილება.

საქართველოს მასშტაბით მესამე თაობის სერვისები საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახდება სექტემბერში. ჩვენ მოხარულები ვართ, რომ ქსელი აწყობილია და მუშაობს განრიგის წინსწრებით. ვიცით, რომ საქართველოს მოსახლეობა დიდი ხანი ელოდა ამ სერვისებს, რომლებიც უზრუნველყოფს მსოფლიო კლასის ტექნოლოგიებთან გათანაბრებას და წინ უსწრებს არა მარტო დსთ-ს ქვეყნებს, არამედ ზოგიერთ ასპექტში ამერიკის შეერთებულ შტატებსაც. თუმცა მომხმარებელთა კმაყოფილებისადმი ჩვენი მუდმივი სწრაფვა და ბაზარზე ლიდერის პოზიციის განმტკიცება ჩვენგან მოითხოვს, მომხმარებელთან ურთიერთობის ისეთი ფორმა შევქმნათ, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხსა და მომსახურების უმაღლეს დონეს," - განაცხადა კომპანია "მაგთის" გენერალურმა დირექტორმა დევიდ ლიმ.

მესამე თაობის სერვისი "მაგთის" მომხმარებლებს ასევე მისცემს საშუალებას, უყურონ სატელევიზიო პროგრამებს მათი მობილური ტელეფონით, იმუშაონ ინტერნეტში, ჰქონდეთ ხმოვანი სიგნალის უმაღლესი ხარისხი. ყველა ამ სერვისის გამოყენებისათვის საჭიროა მესამე თაობის მობილური ტელეფონი, ხოლო ვიდეოზარებისათვის საჭიროა, ორივე მოსაუბრეს ჰქონდეს მესამე თაობის ტელეფონი და ორივეს გააქტიურებული ჰქონდეს მესამე თაობის მომსახურება.

პრესკონფერენციაზე "მაგთის" დირექტორმა დევიდ ლიმ განახორციელა პირველი ვიდეოზარი ბათუმში.

# ვინ არის აზიის მომავალი ლიდერი

თორნიკე შარაშენიძე
ნატო-ს საინფორმაციო ცენტრის დირექტორი

*გასულ კვირას, როცა მთელი საქმიანი სამყარო ორი მეტალურგიული გიგანტის, "არსელორისა" და "სევერსტალის" გაერთიანებაზე საუბრობდა, ევროკომისიამ საკმაოდ მოულოდნელად მწვანე შუქი აუნთო "არსელორისა" და "მიტალ სტილის" გარიგებას და ამით თითქოსდა ყველას შეახსენა, რომ ჯერჯერობით "არსელორის" საკითხი ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის.*




## ევროპული არჩევანი ინდოელ მაგნატსა და რუს ოლიგარქს შორის

"არსელორი" ფრანგულ-ესპანურ-ლუქსემბურგული მეტალურგიული კომპანიაა, რომლის შესყიდვის სურვილიც რამდენიმე თვის წინ ინდოელი მაგნატის ლაკშმი მიტალის კომპანიამ "მეტალ სტილმა" გამოთქვა. ამ ფაქტს ევროპაში არნახული აჟიოტაჟი მოჰყვა, ზოგიერთმა გაზეთმა განგაში გამოაცხადა იმის გამო, რომ ევროპულ კომპანიას ინგლისის ყოფილი კოლონია ეპატრონებოდა. თავად "არსელორის" ხელმძღვანელობამაც "ყოფილი კოლონიის" კომპანია უარით გაისტუმრა, რის შედეგადაც მიტალმა გადაწყვიტა, პირდაპირ "არსელორის" აქციონერებზე გასულიყო და მათი თანხმობის მეშვეობით მოეხდინა გარიგება. ბიზნესში ამას "მტრულ შესყიდვას" ეძახიან.

მაგრამ მიტალის გეგმები მოულოდნელად ჩაიშალა, როცა მსოფლიოს "არსელორისა" და "სევერსტალის" გარიგების შესახებ ემცნო. კრემლთან დაახლოებული მორიგი რუსი ოლიგარქის, ალექსეი მორდაშოვის მიერ კონტროლირებული კომპანიის თამაშში ჩართვამ "არსელორის" გარშემო შექმნილი ვითარება კიდევ უფრო ბუნდოვანი და გაურკვეველი გახადა, რისი ერთ-ერთი მიზეზიც რუსული ბიზნესის ტრადიციული გაუმჭვირვალობაა.

"არსელორის" ხელმძღვანელობამ "სევერსტალთან" მოლაპარაკებები მეტად სწრაფად დაასრულა. გადაწყდა, რომ ამ უკანასკნელის აქციათა 90 პროცენტის სანაცვლოდ მორდაშოვი "არსელორის" აქციათა ერთ მესამედს მიიღებს. გაერთიანებულ კომპანიას კვლავაც "არსელორი" ერქმევა და იგი მსოფლიოს უდიდეს მეტალურგიულ გიგანტად იქცევა.

რაც შეეხება "არსელორის" აქციონერებს, რომელთა იმედიც "მეტალ სტილს" ჰქონდა, მათთვის კანონიერი უფლებები თითქოსდა არავის ჩამოურთმევია. "არსელორის" ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ მათ კვლავაც შეუძლიათ ჩააგდონ "სევერსტალთან" გარიგება და "მეტალს" დაუჭირონ მხარი, თუკი ამას აქციონერთა ნახევარზე მეტი მოინდომებს. მაგრამ ერთი პრობლემაა - თუკი "არსელორის" აქციათა მესამედი მორდაშოვის ხელში იქნება, მაშინ "არსელორის" აქციონერებს "მიტალთან" გარიგებისათვის მხარის დაჭერა ძალიან გაუჭირდებათ. მათ ამისათვის ხმების უდიდესი ნაწილი დასჭირდებათ.

ამავე დროს, "არსელორის" აქციონერებს თითქოსდა "სევერსტალთან" გარიგების საწინააღმდეგო არაფერი არ უნდა ჰქონდეთ: მორდაშოვი თითო აქციაში 44 ევროს იხდის - უფრო მეტს ვიდრე მიტალი. მაგრამ კითხვის ნიშნები აქაც ჩნდება. მორდაშოვი გადასახდელს მხოლოდ ნაწილობრივ ფარავს ფულით, დანარჩენი კი მოდის "სევერსტალის" აქციებზე, რომელთა ნამდვილი ფასი არალიკვიდურობის გარკვეულ ეჭვებს იწვევს და კიდევ გარკვეულ აქტივებზე, რომლებიც ბირჟებზე კოტირებული არაა და, შესაბამისად, არც მათი ღირებულებაა გარკვეული.

მოკლედ ვითარება დელიკატურია. ასეთ აქციონერულ დემოკრატიას ალბათ ისეთი ლიდერები მოიწონებენ, როგორიც ვლადიმირ პუტინია. ცხადია, ყველას ესმის, რომ ეს გარიგება მისი ნებართვის გარეშე ვერ შედგებოდა. ეს გარემოება მიმომხილველებში, ასე თუ ისე, ანეიტრალებს იმ უარყოფით განწყობას, რომელიც აქციონერებთან ზემოხსენებულმა დამოკიდებულებამ შექმნა: რუსეთის პრეზიდენტი არც ისე ეწინააღმდეგება დასავლური ინვესტიციებს, როგორც ამას შიშობდნენ. გარდა ამისა, "არსელორი" "სევერსტალთან" გარიგებით იაფფიან რუსულ მუშახელსა და რესურსებზე გადის, რაც მის ეფექტიანობას უდავოდ აამაღლებს. სავარაუდოა, რომ ეს მოსაზრება ამოძრავებდათ "არსელორის" თავკაცებსაც, რომელთაც მიტალის კომპანიის ნაწილად ქცევას რუსეთის აუთვისებელ სიმდიდრეებზე გასვლა არჩიეს.

ამის გათვალისწინებით, ლაკშმი მიტალის კომპანიას, ალბათ, აღარც ისე დიდი შანსები აქვს. არადა, რამდენიმე ხნის წინ "მიტალისა" და "არსელორის" გარიგებას აშშ-შიც დაუჭირეს მხარი. ამ გადაწყვეტილებაში პოლიტიკური მოტივებიც შეიძლებოდა დაგვენახა - პრეზიდენტ ბუშის ინდოეთში ვიზიტის შემდეგ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებმა უფრო ინტენსიური სახე მიიღო (ვაშინგტონმა, პრაქტიკულად, მხარი დაუჭირა ინდოეთს, როგორც ბირთვულ სახელმწიფოს) და ყველასთვის ცხადი გახდა, რომ ამერიკამ დააფასა აზიის უდიდესი დემოკრატია, რომელსაც შეუძლია, მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს რეგიონში, როგორც ვაშინგტონის პარტნიორმა.

მაგრამ როგორ უნდა გავიგოთ ამ ვითარებაში ევროკომისიის გადაწყვეტილება "მიტალისა" და "არსელორის" გარიგების მოწონების თაობაზე, რომელიც სწორედ მაშინ გამოქვეყნდა, როცა "არსელორისა" და "სევერსტალის" გაერთიანება თითქმის გადაწყვეტილია? ამაზე ცალსახა პასუხი, ალბათ, არ არსებობს: აშკარაა, რომ ევროკომისიამ საკითხი ობიექტურად შეისწავლა და დასკვნაც ისე გამოიტანა (ანტიმონოპოლიური მოსაზრებებიდან გამომდინარე, მხარეებს, გარიგების შემთხვევაში, "არსელორის" კუთვნილი გერმანული და პოლონური ქარხნების გაყიდვა მოეთხოვებათ). არა აქვს მნიშვნელობა, როდის და რა ვითარებაში - ევროკომისიამ თავისი გააკეთა და ახლა არჩევანი "არსელორის" აქციონერთა აბსოლუტურ უმრავლესობაზეა (რომელმაც მორდაშოვის ხმები უნდა გადასძალოს): ინდოელი მაგნატი თუ რუსი ოლიგარქი.

ამ არჩევანს, სხვა ყველაფერთან ერთად, ერთ შეკითხვამდეც მივყავართ: რა მომავალი აქვთ ამ სახელმწიფოებს? ბოლო მონაცემებით, ინდოეთის ეკონომიკის ყოველწლიური ზრდა 10 პროცენტს უახლოვდება. ასეთი მაჩვენებელი დიდი სახელმწიფოებიდან მხოლოდ ჩინეთს აქვს და ახლა აშკარა ხდება, რომ პეკინი არც ისეთი აშკარა ფავორიტია აზიის (და, ვინძლო, მსოფლიოს) ლიდერობაზე.

რაც შეეხება რუსეთს, მისი ეკონომიკა უფრო ნელი ტემპით იზრდება, ვიდრე მისი სტაბილიზაციის ფონდი. რაში დაიხარჯება ეს უკანასკნელი, კვლავაც გაურკვეველია, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ გასულ კვირას პრეზიდენტმა პუტინმა ამ საკითხს თითქოსდა ნათელი მოჰფინა: ფონდი ორ ნაწილად იყოფა - სარეზერვოდ (რომლის მეშვეობითაც უნდა მოხდეს "ნავთობზე ფასის დაცემით გამოწვეული უარყოფითი გავლენის განეიტრალება") და "მომავალი თაობების ფონდად." სად წავა "მომავალი თაობების ფონდი," ბოლომდე გარკვეული არაა. თუმცა, მიმომხილველები ფიქრობენ, რომ მისი შექმნით პუტინმა, შესაძლოა, მწვანე შუქი აუნთო სტაბფონდის კერძო კომპანიათა აქციებში დაბანდების იდეას, რომელსაც აქამდე დაჟინებით ითხოვდა მთავრობის აპარატის უფროსის მოადგილე მიხაილ კოპეიკინი. კოპეიკინის ოპონენტები მიიჩნევენ, რომ კერძო აქციებში სტაბფონდის თანხების დაბანდება სარისკოა (რადგან არსებობს მათი გაუფასურების საფრთხე) და საუკეთესო ვარიანტს სტაბფონდის უცხოური სახელმწიფოების ობლიგაციებში დაბანდება წარმოადგენს. ცხადია, მოწინააღმდეგეები ამ უკანასკნელ ვარიანტსაც ჰყავს, რადგან ყველაზე საიმედო სახელმწიფო ობლიგაციას აშშ-ს სახაზინო ობლიგაცია წარმოადგენს, კრემლში კი არც ისე ბევრს სურს სტაბფონდის მილიარდების აშშ-ს სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში დაბანდება და ამით "ამერიკის ეკონომიკის სუბსიდირება." საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ სტაბფონდი ორივე მიმართულებით - სახელმწიფო ობლიგაციებსა და კერძო კომპანიებში - გადანაწილდება. თუმცა, ფონდის დიდი ნაწილი კვლავ ხელუხლებელი დარჩება.

## ჩინეთის "დელიკატური" უპირატესობა

მაგრამ რა მომავალი აქვს აზიაში ლიდერობისათვის ბრძოლას? როგორც ვხედავთ, ინდოეთი ეკონომიკური ზრდით თანდათანობით უტოლდება თავის დიდ მეზობელს. შემდგომი ზრდა მნიშვნელოვანწილად ენერგორესურსებზე იქნება დამოკიდებული, რომელიც ორივე ამ სახელმწიფოს აკლია. ჩინეთი ამ მხრივ თადარიგს იჭერს - გადაწყვეტილია რუსეთიდან ჩინეთზე გაზსადენის მშენებლობა. გარდა ამისა, ჩინეთი თანდათანობით იმყარებს პოზიციებს შუა აზიაშიც, რისი ერთ-ერთი შედეგიც ყაზახეთიდან ნავთობსადენის მშენებლობის დაწყებაა. ყაზახეთი წარმატებით ბალანსირებს რეგიონის ორ გიგანტს - რუსეთსა და ჩინეთს - და მსოფლიო ლიდერს, აშშ-ს შორის. ამ ბალანსირების საუკეთესო გამოხატულებას ენერგოპოლიტიკა წარმოადგენს: ყაზახეთი თავისი ენერგორესურსების დიდ ნაწილს რუსეთის ტერიტორიაზე ატარებს, ნავთობსადენს აშენებს ჩინეთის მიმართულებით და, ამავე დროს, როგორც სანდო წყაროები იუწყება, აპირებს, თავისი ნავთობი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენსაც მიაწოდოს. ამის თაობაზე შეთანხმება ჯერ კიდევ გასაფორმებელია (რაც, წესით, 17 ივნისს უნდა მოხდეს). მაგრამ, ასტანას დაბალანსებული პოლიტიკიდან გამომდინარე, ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ ეს აუცილებლად მოხდება და ყაზახური ნავთობი, ჩინეთისა და რუსეთის გარდა, დასავლური მილსადენითაც წავა.

რაც შეეხება ინდოეთს, იგი ცდილობს ირანული გაზის ექსპორტირებას, რასაც გასაგები მიზეზების გამო სირთულეები ახლავს. ამავე დროს, ინდოეთში ეფექტურად ვითარდება ბირთვული ენერგეტიკა, რაშიც ეს ქვეყანა ამერიკულ დახმარებასაც მიიღებს (პრეზიდენტ ბუშის ზემოხსენებული ვიზიტისას ესეც გადაწყდა). ეს კი ნიშნავს, რომ ინდოეთი ნაკლებად იქნება დამოკიდებული უცხოურ ენერგორესურსებზე და მის ეკონომიკურ განვითარებას სერიოზული საფრთხე არ დაემუქრება.

მაგრამ როცა ინდოეთისა და ჩინეთის მეტოქეობასა და მათ პერსპექტივებზე ვსაუბრობთ, ალბათ, არ უნდა გამოგვრჩეს ერთი დელიკატური გარემოება, რომელზეც სულ უფრო და უფრო მეტს წერენ დასავლურ პრესაში და რომელზეც ჯიუტად დუმს რუსული ოფიციალური მედია. საუბარია ჩინელების მიერ ციმბირის სივრცეების ათვისებაზე. საიდუმლოს უკვე აღარავისთვის წარმოადგენს, რომ რუსეთის ეს მხარე ეკონომიკურად (ჯერჯერობით, მხოლოდ ეკონომიკურად) სულ უფრო და უფრო წყდება მოსკოვს და ჩინეთის გავლენის ქვეშ გადადის. აქაური ბაზრები იაფფასიან ჩინურ საქონელს მიაქვს (სიიაფის გარდა, ეს საქონელი იმითაც გამოირჩევა, რომ თანდათანობით იზრდება მისი ხარისხიც. თავის დროზე სწორედ ასეთი თანმიმდევრობით დაიპყრო მსოფლიო ბაზარი იაპონურმა საქონელმა). ციმბირიდან კი ჩინეთში გადის ხე-ტყე და სხვა ნედლეული. აქ არსებული ქარხნები დემონტირდება/იშლება და ჩინეთში ჯართის სახით იგზავნება. ჩინელთა დემოგრაფიულ ექსპანსიაზე საუბარი აღარ ღირს. ამ ექსპანსიის მასშტაბები იოლად შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუკი გავითვალისწინებთ, რომ რუსეთის შორეულ აღმოსავლეთს უზარმაზარი ტერიტორია - 6 215 900 კვადრატული კილომეტრი - უჭირავს და ამ ტერიტორიაზე სულ 7 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, მაშინ, როცა საზღვრის მეორე მხარეს, რუსეთთან მომიჯნავე სამ ჩინურ პროვინციაში 100 მილიონი მოსახლეა და აქ უმუშევრობა, არათანაბრად განვითარებული ჩინეთის მასშტაბითაც კი, არნახულ მაჩვენებლებს აღწევს. უმუშევართა ეს უზარმაზარი მასა, ძირითადად, სამ რუსულ ქალაქს - ვლადივოსტოკს, ხაბაროვსკსა და, განსაკუთრებით, ბლაგოვეშჩენსკს - აწყდება. ამ უკანასკნელში, დიდი ხანია, გაბატონდა ჩინური სამშენებლო კომპანია "ჰუა ფუ," რომელიც ამასწინათ რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში უდიდესი შენობის წამოჭიმვას შეუდგა. ქალაქი არაოფიციალურად უკვე ჩინურ ახალ წელსაც აღნიშნავს თავისი ფეიერვერკებითა და დრაკონებით. ამ ცერემონიაში მონაწილეობას ქალაქის მერი და ამურის მხარის გუბერნატორიც იღებენ ხოლმე.

რუსი ეროვნების მოქალაქეები აცხადებენ, რომ ამ მხარეში მიწა უნაყოფოა და მისი დამუშავება, პრაქტიკულად, შეუძლებელია, მაგრამ ჩინელები სხვაგვარად ფიქრობენ. ერთ-ერთი რუსი მკვლევარის განცხადებით, ადგილობრივი რუსი ხელისუფალნი გარკვეული გასამრჯელოს ფასად (გასამრჯელოს ნაცვლად სხვა ტერმინიც შეიძლებოდა გამოგვეყენებინა) იოლად უთმობენ მიწებს ჩინელ ბიზნესმენებს და მათი ათვისებაც სრული ტემპით მიდის. რუსი ეროვნების ქალებიც სიამოვნებით მიჰყვებიან ცოლად ჩინელებს იმ მოსაზრებით, რომ ისინი "მშრომელები და არამსმელები" არიან. რუსზე დაქორწინების გარდა, რუსეთში დამკვიდრების სხვა საშუალებებიც არსებობს - საბუთების გაყალბება და, სულაც, მოქალაქეობის მიღება ადგილობრივი ჩინოვნიკებისათვის ისევ და ისევ "გასამრჯელოს" მიცემის გზით.

შორეულ აღმოსავლეთში შექმნილი ვითარება უნიკალურია და ინდოეთს თავისი ექსპანსიისათვის ამგვარი საშუალება არ გააჩნია. თუმცა, ამავე დროს, პოლიტიკაში რაიმე საკითხის ერთი კუთხიდან შეფასება კარგ შედეგს არ იძლევა: ჩინეთის ექსპანსიას, წესით, ოდესმე უნდა მოჰყვეს მოსკოვის მხრიდან კონტრზომები და ჩინეთი ამგვარად უნდა დაბალანსდეს.

გარდა ამისა, ჩინეთის განვითარება კვლავ ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს ამ ქვეყნის შიდა არაერთგვაროვნებიდან გამომდინარე. ჩინეთი ჯერჯერობით ერთპარტიული აპარატის მეშვეობითაა შეკრული, მაგრამ რამდენხანს გასტანს ერთპარტიული მმართველობა ამ უზარმაზარ ქვეყანაში? თავისუფალი ბაზრის განვითარებამ, უცხოური ინვესტიციების მოდინებამ და დასავლური სტანდარტების ათვისებამ, წესით, ბოლო უნდა მოუღოს ამ პოლიტიკურ ანაქრონიზმს და როცა ეს მოხდება, გამორიცხული არ არის, ჩინეთის ერთიანობა გარკვეული საფრთხის ქვეშაც კი დადგეს. ინდოეთს კი ამგვარი პრობლემები ნამდვილად არ ემუქრება, რადგან ეფექტური დემოკრატიული ინსტიტუტების მეშვეობით ეს, ასევე დიდი და ასევე საკმაოდ არაერთგვაროვანი ქვეყანა კარგად იმართება, აქაურ ხელისუფლებათა შტოებში ყველას ინტერესებია გათვალისწინებული, ხოლო ბრიტანული ტიპის სასამართლო სისტემა, ჩინეთისგან განსხვავებით, აქ თავისუფალ კონკურენციასა და, შესაბამისად, ეკონომიკის განვითარებას უწყობს ხელს.

---

## ოპეკი ნავთობის მოპოვების კვოტებს შეინარჩუნებს

ვენესუელას დედაქალაქ კარაკასში გამართულ ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა ორგანიზაციის შეხვედრაზე გადაწყვიტეს, უახლოეს მომავალში ნავთობის მოპოვების მოცულობა არ შეამცირონ და იგი კვლავ დღე-ღამეში 28 მილიონი ბარელის დონეზე შეინარჩუნონ. "ბაზარზე შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებით, ოპეკის წევრებმა ნავთობის მოპოვების ადრინდელი კვოტების შენარჩუნება გადაწყვიტეს. მართალია, ნავთობის ბაზარი გადატვირთულია, მაგრამ საწვავის ფასი საკმაოდ მაღალია და უახლოეს მომავალში მისი შემცირება მოსალოდნელი არ არის. ამდენად, ნავთობის მოპოვების შემცირება გამართლებული არ იქნება," - აღნიშნულია შეხვედრაზე მიღებულ ოფიციალურ განცხადებაში. შეგახსენებთ, რომ ნავთობის მოპოვების შემცირების ინიციატივით ვენესუელას პრეზიდენტი უგო ჩავესი გამოვიდა. ამასთან, ოპეკი არ გამორიცხავს, რომ მოპოვების კვოტები, შეიძლება, მომდევნო შეხვედრამდე, რომელიც მიმდინარე წლის 11 სექტემბერსაა დაგეგმილი, ნაადრევად გადაიხედოს. ოპეკის მიერ მიღებული ამ გადაწყვეტილების შემდეგ კი უგო ჩავესმა განაცხადა, რომ ამჟამად არსებული ნავთობის ფასები "სრულიად სამართლიანია". "ვინც ამბობს, რომ 1 ბარელი ნავთობი 60 დოლარზე ნაკლები უნდა ღირდეს, იტყუება, - თქვა მან, - ნავთობი ძვირი სულაც არ არის. უნდა გავითვალისწინოთ, რომ იგი უძვირფასესი რესურსია და მისი გაფრთხილება ყველამ უნდა ისწავლოს."

## NASDAQ საფონდო ბირჟაზე CTC MEDIA-ს გამოჩენას სიხარულით ხვდება




ამერიკის ბირჟის ოპერატორი Nasdaq Stock Market Inc. თავის ბაზარზე CTC Media-ს გამოჩენას სიხარულით ხვდება. CTC Media რუსეთის უმსხვილესი კომერციული სატელეკომუნიკაციო კომპანიაა, რომელიც მაყურებელს გასართობ პროგრამებს სთავაზობს. კომპანია 1989 წელს დაარსდა, დღეს კი მას ორი ტელეარხი CTC და "домашний" ეკუთვნის. ის ასევე რუსეთის რეგიონალიურ ტელეგადამცემი სადგურების მფლობელიცაა. "ჩვენ მოხარულები ვართ, იმითი, რომ CTC Media-მ ამერიკის შეერთებული შტატების საფონდო ბირჟებს შორის ყურადღება Nasdaq-ზე შეაჩერა. ჩვენს ბირჟაზე გამოსვლით, კომპანია იმ ლიდერკომპანიებს შეუერთდება, რომლებისთვისაც მთავარი საზომი ბაზრის გამჭვირვალობა და ინოვაციური იდეების განხორციელების საუკეთესო პირობებია"- აცხადებს Nasdaq"s Corporate Client Group-ის აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი ბრუს აუსტი. Nasdaq-უმსხვილესი ამერიკული ელექტრონული საფონდო ბირჟაა. მასთან დაახლოებით 3200 კომპანია თანამშრომლობს, მათ შორის ისეთები, რომლებიც სრულიად განსხვავებულ ბიზნესს ეწევიან. მაგალითად კომპანიები, რომლებიც ფლობენ მაღალ ტექნოლოგიებს, კომუნიკაციებს, ფინანსურ მომსახურებებს, მასობრივი ინფორმაციასა და ბიოტექნოლოგიებს. Nasdaq ასევე აქციებით ვაჭრობისთვის ერთ-ერთი საუკეთესო ბაზარია.

## "Евросеть" Motorola-ს შესყიდვაზე უარს ამბობს

"Евгосеть"-მა Motorola-ს მობილური ტელეფონების შესყიდვა დროებით გადადო. კომპანიის პრეზიდენტი ელდარ რაზროევი აცხადებს, რომ მათი უარი, 2006 წლის მარტში, Motorola-ს მარკის ტელეფონების მთელი პარტიის დაკავებამ გამოიწვია. მისივე ინფორმაციით, პროდუქციის შესყიდვა სამი კვირის წინ შეწყდა და მხოლოდ მას შემდეგ აღდგება, რაც კომპანიის იურისტები საქმის დეტალებს გაარკვევენ. ამას კი დაახლოებით ორი კვირა დაჭირდება. "ევროსეტის" პპეზიდენტის თქმით, კომპანიებს შორის არაოფიციალური მოლაპარაკება წარმოებს იმის თაობაზე, რომ კომპანია Motorola "ევროსეტს" ყველა დანახარჯს აუნაზღაურებს. საქმე ეხება იმ თანხებს, რომელიც "ევროსეტმა" დაბლოკილი მობილური ტელეფონების განბაჟებისას გაიღო. ამერიკული კომპანიას 50 ათას დაკავებულ მობილურ ტელეფონებთან ერთად, იმ ტელეფონების გაანადგურებაც მოუწევს, რომლებიც მილიციაში ჯერ კიდევ არ მოხვედრილან. მარტში, მვდ-ს თანამშრომლებმა სინგაპურიდან შემოსული 167,5 ათასი ცალი მობილური ტელეფონი დაბლოკეს. მათი საერთო ღირებულება 19 მილიონ დოლარს შეადგენდა.

## აშშ-ს ბირჟამ კვირა ინდექსთა მრავალმხრივი ცვლილებით დაასრულა

პარასკევს, ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა მრავალმხრივი ცვლილება დაფიქსირდა. ინვესტორთა განწყობაზე გავლენა მოახდინა ნავთობის გაძვირებამ, აშშ-ში უმუშევრობის შემცირების შესახებ გავრცელებულმა ინფორმაციამ და რამდენიმე კორპორაციულმა სიახლემ.საბოლოოდ, Dow Jones Index 0,11 პროცენტით, 11.247,87 პუნქტამდე შემცირდა. 0,02 პროცენტით შემცირებულმა Nasdaq Index-მა 2.219,41 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,2 პროცენტით, 1.288,22 პუნქტამდე მოიმატა.










## კვირის ბოლოს ნავთობი მნიშვნელოვნად გაძვირდა

პარასკევს ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 71,86 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 72,33 დოლარი/ბარელამდე გაძვირდა. "შავი ოქროს" ფასების ზრდა ირანსა და ნიგერიაში გამწვავებულმა სიტუაციამ და, საერთოდ, მსოფლიოში შექმნილმა მძიმე გეოპოლიტიკურმა ვითარებამ განაპირობა. შედეგად, "ოპეკის ნავთობის კალათის" ფასმა 65,84 დოლარი-ბარელი შეადგინა. შეგახსენებთ, რომ ტერმინი "ოპეკის კალათა" (OPEC Reference Basket of Crudes) ოფიციალურად 1987 წლის 1 იანვრიდან შემოიღეს და იგი კარტელის წევრი 11 ქვეყნის მიერ მოპოვებული ამდენივე მარკის ნავთობის ღირებულების საშუალო არითმეტიკულით გამოითვლება. ესენია: ალჟირული Saharan Blend, ინდონეზიური Minas, ირანული Iran Heave, კუვეიტური Kuwait Export, ლიბიური Es Sider, ნიგერიული Bonny Light, ყატარული Qatar Marine, Arab Light (საუდის არაბეთი), Murban (არაბეთის გაერთიანებული საემიროები) და ვენესუელური BCF 17. 1999 წლიდან ოპეკის ქვეყნებმა გააუქმეს 22-28 დოლარი/ბარელის ფარგლებში არსებული ოფიციალური "ფასთა დერეფანი", 2006 მარტიდან კი "კალათის" ფასების საზღვარი დეკლარაციულად 50 და 60 დოლარი/ბარელით განისაზღვრა. "ოპეკის კალათის" ფასის ისტორიული მაქსიმუმი 68 დოლარი/ბარელი 2006 წლის 2 მაისს დაფიქსირდა.

## ევროკომისიამ Mittal Steel-ს Arcelor-ის შეძენის ნება დართო

ევროპულმა მარეგულირებელმა ორგანოებმა მსოფლიოს უმსხვილეს მეტალურგიულ კონცერნ Mittal Steel-ს ევროპული კონკურენტის Arcelor-ის შეძენის უფლება მისცეს. ეს გადაწყვეტილება Arcelor-ის და რუსული "სევერსტალის" შესაძლო შერწყმის შესახებ ადრე გაკეთებული განცხადების მიუხედავად მიიღეს.

ევროკომისიამ Mittal Steel Co-ს მიერ Arcelor-ის 25,8 მილიარდ ევროდ შეძენის შესახებ გაკეთებული წინადადება შეისწავლა და მასში ვერაფერი ისეთი ვერ აღმოაჩინა, რამაც შეიძლება ევროპულ მეტალურგიულ ბაზარზე კონკურენტუნარიანობა შეზღუდოს.

Mittal Steel-ის დამაარსებლის, მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანის, ინდოელი ლაკშმი მიტალის განცხადებით, Mittal Steel-ს და Arcelor-ს ერთმანეთი სჭირდებათ, რომ უდიდეს მიზნებს მიაღწიონ და მსოფლიო ბაზარი დაიპყრონ. მისი აზრით, Arcelor-ის და "სევერსტალის" შერწყმას გლობალურს ვერ ვუწოდებთ, რადგან იგი მხოლოდ ევროპულ ბაზარზე იქნება ორიენტირებული.

## ძვირფასი ლითონები გაიაფდა

გასული კვირის ბოლოს ძვირფასი ლითონების ფიუჩერსებზე ფასების კლება დაფიქსირდა. კერძოდ, ნიუ იორკის სასაქონლო ბირჟაზე 1 უნცია ოქრო 633,5 დოლარამდე გაიაფდა, რაც უკანასკნელი 6 კვირის განმავლობაში დაფიქსირებული მინიმალური მაჩვენებელია. 1 უნცია ვერცხლის ფასი კი რვაკვირიან მინიმუმამდე, 11,905 დოლარამდე შემცირდა. 1 უნცია პლატინის ღირებულებამ 1229,8 დოლარი (სამნახევარკვირიანი მინიმუმი) შეადგინა, 1 უნცია პალადიუმი კი 342,9 დოლარამდე გაიაფდა, რაც ბოლო ხუთი კვირის განმავლობაში დაფიქსირებული მინიმალური მაჩვენებელია. ექსპერტთა აზრით, ძვირფასი ლითონების გაიაფების მიზეზი ფასების ზრდის შემდეგ მოგების ფიქსაციაა. გარდა ამისა, გავლენა მოახდინა დოლარის კურსის გამყარებამ და სამრეწველო ლითონების ბაზარზე გაღრმავებულმა კორექციამ.

## ნიუ იორკის ბირჟა Euronext-ს იერთებს

ნიუ იორკის საფონდო ბირჟამ NYSE Group Inc მიაღწია შეთანხმებას პანევროპული საბირჟო ოპერატორის Euronext NV-ს შერწყმის შესახებ. გარიგების ღირებულება, რომლის შედეგადაც მსოფლიოში უმსხვილესი და პირველი ტრანსატლანტიკური საფონდო ბირჟა NYSE Eoronext შეიქმნება, 10 მილიარდ დოლარს შეადგენს. გაერთიანებული კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაცია 15 მილიარდი ევრო (20 მილიარდი დოლარი) იქნება. გარიგება აქციების გაცვლით და ნაღდი ანგარიშსწორებით შედგება. შეთანხმების მიხედვით, NYSE-ს ერთი აქცია NYSE Eoronext-ის ერთ აქციაში კონვერტირდება. პანევროპული ოპერატორის აქციონერები Eoronext-ის ერთ აქციას გაერთიანებული კომპანიის 0,98 აქციასა და 21,32 ევროს ოდენობის ნაღდ ფულში გაცვლიან. გარდა ამისა, Eoronext-ი თავის აქციონერებს ერთ აქციაში 1 ევროს, მოგვიანებით კი, 3 ევროს ოდენობის დივიდენდებს გადაუხდის.

შეგახსენებთ, რომ NYSE-მ ევროპის სიდიდით მეორე ოპერატორ Eoronext NV-ს შერწყმის წინადადებით მიმდინარე წლის 22 მაისს მიმართა. Eoronext-თან მოლაპარაკებებს ასევე გერმანული Deutche Boerse-ი აწარმოებდა, მაგრამ მისი წინადადება აქციონერებმა არ მიიღეს.




# საფონდო ბირჟაზე გარიგებათა რაოდენობა შემცირდა

პირველი გვერდიდან

თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის სავაჭრო სესიაზე 2006 წლის 2 ივნისს მონაწილეობა მიიღო ოთხმა კომერციულმა ბანკმა (სამმა - გამყიდველის და ერთმა - მყიდველის სტატუსით) და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (მყიდველის სტატუსით). დაიდო ოთხი საბირჟო გარიგება, რომლის საერთო მოცულობამ 800 000 აშშ დოლარი შეადგინა. დღევანდელ საბირჟო სესიაზე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 400 000 აშშ დოლარი შეისყიდა. საბირჟო ვაჭრობა დაიწყო კურსით: 1 აშშ დოლარი/1.7980 ლარი. უცხოურ ვალუტაზე კომერციული ბანკების თავდაპირველმა მოთხოვნამ 400 000 აშშ დოლარი, ხოლო მიწოდებამ 800 000 აშშ დოლარი შეადგინა. თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის 3 ივნისის ვაჭრობაზე მოთხოვნა-მიწოდება დაბალანსდა შემდეგი კურსით — 1 აშშ დოლარი/1.7980 ლარი. 3 ივნისიდან ძალაში დარჩა აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი: 1 აშშ დოლარი/1.7980 ლარი. თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე 2006 წლის 2 ივნისს დაიდო 500 000 ევროს მოცულობის ერთი გარიგება, რომელშიც მონაწილეობდა ორი კომერციული ბანკი. 3 ივნისიდან ამოქმედდება შემდეგი კურსი: 1 ევრო/2.3027 ლარი. 01.06.2006

სესია № 625 - 626 / 2006 წლის 30 მაისი - 5 ივნისი

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | 2006წ [illegible] | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | [illegible] | [illegible] |
| სს [illegible] | AEST | 1,6 | 1650 | 2640 | 81147886 | 129836618 | 0,002 | 1,6 | 1,5 |
| სს "საქართველოს ბანკი" | GEB | 12,9 | 9842 | 126907,9 | 14783409 | 190705976 | 0,067 | 13,25 | 10 |
| სს [illegible] | KV1 | 5 | 5 | 25 | 15765 | 78825 | 0,032 | 5 | 5 |
| სს [illegible] | LINV | 1,81 | 20 | 36,2 | 89840 | 162610,4 | 0,022 | 1,9 | 1,75 |
| სს [illegible] | PTTS | 1,8 | 1745 | 6351,8 | 585750 | 1054350 | 0,298 | 1,82 | 1,8 |
| სს [illegible] | REAQ | 3,64 | 3244 | 11808,16 | 128892 | 469166,9 | 2,517 | 3,64 | 3,64 |
| სს [illegible] | STSP | 5 | 42 | 252 | 392139 | 1960695 | 0,011 | 8 | 5 |
| სს [illegible] | STP | 10 | 872 | 8720 | 171714 | 1717140 | 0,508 | 10 | 4 |
| სს [illegible] | TUSB | 90 | 2 | 180 | 792 | 71280 | 0,253 | 90 | 90 |
| სს [illegible] | UTB | 27,000 | 300 | 8 100,0 | 969367 | 26172909 | 0,031 | 27,00 | 27,00 |
| სს [illegible] | UTC | 0,950 | 366 465 | 349 787,4 | 103236684 | 98074850 | 0,355 | 1,05 | 0,36 |
| ჯამი | | | 384 187 | 514 808,36 | | | | | |

თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის სავაჭრო სესიაზე 2006 წლის 1 ივნისს მონაწილეობა მიიღო ორმა კომერციულმა ბანკმა (ერთმა - გამყიდველის და ერთმა - მყიდველის სტატუსით) და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (გამყიდველის სტატუსით). დაიდო ორი საბირჟო გარიგება, რომლის საერთო მოცულობამ 200 000 აშშ დოლარი შეადგინა. დღევანდელ საბირჟო სესიაზე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 150 000 აშშ დოლარი გაყიდა. საბირჟო ვაჭრობა დაიწყო კურსით: 1 აშშ დოლარი/1.7980 ლარი. უცხოურ ვალუტაზე კომერციული ბანკების თავდაპირველმა მოთხოვნამ 200 000 აშშ დოლარი, ხოლო მიწოდებამ 50000 აშშ დოლარი შეადგინა. თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის დღევანდელ ვაჭრობაზე მოთხოვნა-მიწოდება დაბალანსდა შემდეგი კურსით — 1 აშშ დოლარი/1.7980 ლარი. 2 ივნისიდან ძალაში დარჩა აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი: 1 აშშ დოლარი/1.7980 ლარი.

[illegible]

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|
| 08-Jun-05 | 364 | 07-Jun-06 | 2 000 000 |
| [illegible] | | | 2 000 000 |

[illegible]

5 ივნისის მდგომარეობით 2006 წელი

| ვალუტა | ლარი |
|---|---|
| 1 აშშ დოლარი | 1.7980 |
| 1 ევრო | 2.3027 |
| 1 რუსული რუბლი | 0.0669 |
| 1 [illegible] | 3.3519 |

[illegible]

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|
| 29-Mar-06 | 7 დღე | 4% | 1 000 000 |
| 03-May-06 | 28 დღე | 5% | 1 000 000 |
| 26-Jan-06 | 56 დღე | 14% | 1 500 000 |

[illegible]

| თარიღი | შინაარსი |
|---|---|
| 06-Jun-06 | სსბ სესია № 41 (627) |
| 07-Jun-06 | [illegible] |
| 08-Jun-06 | სსბ სესია № 42 (628) |




# რა პროცედურები უნდა გაიაროს ლიზინგის მიმღებმა

პირველი გვერდიდან

**- ამბობენ, რომ ლიზინგი - ეს არის განვადება, რომელსაც სარგებელი ახლავს. ეს რას ნიშნავს?**

- იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას ძირითადი საშუალებების შეძენა სურს და ამისათვის თავისუფალი სახსრები არ გააჩნია, შეუძლია, ჩვენ მოგვმართოს. მოკლე დროში განვიხილავთ ბიზნესმენის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას, ვამოწმებთ კომპანიას, თუ რამდენად კრედიტუნარიანია და, დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ვყიდულობთ შეკვეთილ დანადგარს. დანადგარი ლიზინგის მიმღებს გადაეცემა სარგებლობაში, ხოლო მის საფასურს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვადაში იხდის. არსებობს ლიზინგი 1-დან 5-წლამდე ვადით. პირველადი შემონატანი პროექტის ღირებულების 20-30 პროცენტია, დანარჩენ თანხას კლიენტი განვადებით იხდის. ჯამში, გადახდილი თანხა აქტუალურ შესასყიდ ფასს აღემატება, სწორედ ეს სხვაობაა ლიზინგის სარგებელი. იგი საშუალოდ წლიური 10-12 პროცენტია.

**- ვის შეუძლია ლიზინგით სარგებლობა?**

- ლიზინგის მიმღები შეიძლება იყოს იურიდიული პირი, რომელიც თავის საქმიანობას საქართველოში წარმართავს. ჩვენი კლიენტების უმეტესობა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებია, არის რამდენიმე სააქციო საზოგადოება, იშვიათი გამონაკლისების სახით - ინდვიდუალური მეწარმეებიც. ლიზინგის მიმღები ფიზიკური პირები არ არიან.

**- დამწყებ ბიზნესს არ აფინანსებთ, მაგრამ საინტერესოა, მოქმედ ბიზნესს რამდენი ხნის ისტორია უნდა ჰქონდეს?**

- მნიშვნელოვანია მოქმედი რენტაბელური ბიზნესის არსებობა. ფინანსური ანალიზის დროს ვაკვირდებით კომპანიის განვითარების დინამიკას: მზარდია თუ არა რეალიზაციები, როგორია გაყიდვების სეზონურობა და ა.შ. როდესაც მინიმუმ 6-თვიანი ბიზნესისტორია არსებობს, უკვე შეიძლება სათანადო დასკვნების გაკეთება. სასურველია, კომპანიას ერთწლიანი და მეტი არსებობის ისტორია გააჩნდეს. მაგრამ მინდა გითხრათ, რომ გადაწყვეტილებას დოგმატურად არ ვიღებთ, ყველა პროექტს თავისი სპეციფიკა აქვს. თუ კომპანიას პარალელური ბიზნესი აქვს, შესაძლებელია, ის დაუდგეს ფინანსურ გარანტორად იმ პროექტს, რომელიც ახალი სექტორის ათვისებისთვის მანქანა-დანადგარის შეძენას ისახავს მიზნად. ამ ფორმით შემოთავაზებული რამდენიმე ბიზნესწინადადება მოგვეწონა და დავაფინანსეთ.

**- პირველი პირობა არის გამართული ბიზნესი, დანარჩენი მოთხოვნები რას ითვალისწინებს?**

- ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ლიზინგის საგანი იყოს ლიკვიდური. ყოველთვის არსებობს იმის თეორიული რისკი, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო, ლიზინგის მიმღების ფინანსური მდგომარეობა გაუარესდეს და მან გადახდა ველარ შეძლოს. ამ შემთხვევაში საქმე დგება ლიზინგით შეძენილი აქტივის გაყიდვაზე. საგანი უნდა იყოს ლიკვიდური და არსებობდეს მეორადი ბაზარი. პროექტის განხილვის დროს ამ ფაქტორს დიდი ყურადღება ექცევა.

**- ლიზინგით წამოწყებული საქმის გაკოტრების შემთხვევები თუ ყოფილა?**

- დღემდე გაფორმებული ლიზინგის ხელშეკრულებებიდან, საბედნიეროდ, არც ერთი არ "ჩავარდნილა". ყველა ჩვენი კლიენტი თანხებს დადგენილი გრაფიკით იხდის. თუმცა პატარა სირთულეები არსებობს. რუსეთში ღვინის ექსპორტის აკრძალვამ ბევრი ბიზნესსექტორი შეავიწროვა. მეღვინეების გარდა, პრობლემები სატრანსპორტო და პოლიგრაფიულ კომპანიებსაც შეექმნათ, რომელთა რეალიზაციებაც მეტწილად ღვინოზე იყო დამოკიდებული. მაგალითად, რიგი პოლიგრაფიული კომპანიები დანადგარების გადაიარაღებას ახდენენ, რათა საქმიანობა სხვა მიმართულებით გააგრძელონ.

**- ლიზინგს მცირე და საშუალო კომპანიები უფრო ხშირად იყენებენ. რითია ეს განპირობებული?**

- ლიზინგი ორიენტირებულია, ძირითადად, მცირე და საშუალო კომპანიების დაფინანსებაზე. ამ კომპანიებს საბანკო სესხების უზრუნველსაყოფად საჭირო აქტივები არ გააჩნიათ, ანუ, პოპულარულად რომ ვთქვათ, "გირაო არ აქვთ". ლიზინგის უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ გირაოს არ ვითხოვთ, უზრუნველყოფა თავად ლიზინგით შეძენილი აქტივია. პროექტის მოცულობა, მინიმუმ, 15 ათასი აშშ დოლარი უნდა იყოს, რომ ლიზინგმა დააფინანსოს. რიგ ბანკებში ბიზნესსესხის მინიმალური მოცულობა 50 ათასი აშშ დოლარიდან იწყება.

**- ფინანსირების გარდა, ლიზინგის მიმღებს კიდევ რა მომსახურებას უწევთ?**

- პროექტის დამტკიცების შემდეგ იწყება ძალიან მნიშვნელოვანი და კომპლექსური პროცედურა: ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება უცხოელ თუ ადგილობრივ მომწოდებელთან, ტრანსპორტირების ხელშეკრულების გაფორმება, ტვირთის გზაში დაზღვევა, განბაჟების პროცედურა და ადგილობრივი დაზღვევა. მთელი ეს ციკლი ძალზედ შრომატევადი და სპეციფიურია. ამ ყველაფერს ჩვენ საკუთარ თავზე ვიღებთ და კლიენტს უკვე განბაჟებული და დაზღვეული აქტივი ბარდება. კლიენტებს ყოველმხრივ ვეხმარებით, ვცდილობთ, მათი ბიზნესი წარმატებული იყოს. როდესაც მათი საქმეები კარგად მიდის, ჩვენი ბიზნესიც მაშინაა წარმატებული.

**- საგადასახადო შეღავათები ლიზინგის მიმღებ რომელ პირებზე ვრცელდება?**

- საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით, შეღავათები ვრცელდება არა პირებზე, არამედ ზოგიერთ ძირითად საშუალებაზე. მაგალითად, სამედიცინო აპარატურა გათავისუფლებულია "დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან" (დ.ღ.გ.) და, შესაბამისად, მათ შეძენაზე გაფორმებული ლიზინგის ხელშეკრულების გადახდის გრაფიკიც არ ითვალისწინებს დ.ღ.გ.-ს გადახდას.

**- "თიბისი" ლიზინგი რომელ ბიზნესსექტორს არ აფინანსებს?**

- ლიზინგი აფინანსებს საქმიანობას, რომელიც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით ნებადართულია. მაგრამ არსებობს პრიორიტეტული დარგები, როგორიცაა: მშენებლობა, პოლიგრაფია, კვების მრეწველობა, მსუბუქი მრეწველობა, ვაჭრობა, ტრანსპორტირება და სხვები, რომლებსაც ჩვენ ვაფინანსებთ, სათამაშო ბიზნესის გარდა.

# "საქართველოს ბანკის" და "პეჟოს" განვადების ერთობლივი პროექტი

სალომე ძაძამია



პირველად საქართველოში, "პეჟოს" წარმომადგენლობისა და "საქართველოს ბანკის" თანამშრომლობის შედეგად, მომხმარებელს საშუალება ექნება, ისარგებლოს განვადების სრულიად ახალი პირობებით და ყველაზე ხანგრძლივი ვადით - 30-თვიანი უპროცენტო განვადებით, რომლის საშუალებითაც ავტომობილის შეძენა შესაძლებელია "იბერია ბიზნეს ჯგუფში" შემავალი ნებისმიერი ავტო დილერისგან.

"საქართველოს ბანკი" ავტომობილების შეძენის მსურველებს "ავტო +"-ის ფარგლებში, აგრეთვე, სთავაზობს 72-თვიან განვადების სქემას მხოლოდ 10-პროცენტიანი პირველადი შენატანით.

აღსანიშნავია, რომ "საქართველოს ბანკი" და "პეჟოს" წარმომადგენლობა საქართველოში მომხმარებელს სთავაზობს "პეჟო" 207, 307 და 407 მარკის ავტომობილებს განვადებით თვეში მხოლოდ 207, 307 და 407 ევროდ (ეკვივალენტი ლარში).

"საქართველოს ბანკის" პროდუქტების განვითარების დეპარტამენტის დირექტორი ბესო აბულაძე: "მინდა ავღნიშნო, რომ საქართველოში "პეჟოს" წარმომადგენლობისა და "საქართველოს ბანკის" ერთობლივი ძალისხმევით, ჩვენ მომხმარებელს რამდენიმე სიახლე შევთავაზეთ. პირველად საქართველოში დღეიდან უკვე შესაძლებელი იქნება ახალი ავტომობილების შეძენა განვადებით 30-თვიანი უპროცენტო განვადების სახით. ეს ნიშნავს იმას, რომ მომხმარებელი ავტომობილის ღირებულებას დაფარავს 30 თვის განმავლობაში ისე, რომ არ მოხდება ავტომობილის ღირებულების გაძვირება. ამას გარდა, ჩვენ მომხმარებელს სხვა სიახლეც შევთავაზეთ, "საქართველოს ბანკის" სტანდარტული ავტო განვადების პროდუქტში "ავტო+" -ში, დღეიდან შესაძლებელია ავტომობილების განვადებით შეძენა მხოლოდ 10-პროცენტიანი პირველადი შენატანით. "საქართველოს ბანკი" და კომპანია "პეჟოს" წარმომადგენლობა საქართველოში, პატარა სიურპრიზს სთავაზობს მომხმარებელს, "პეჟოს" 207, 307, 407 მოდელების შეძენა შესაძლებელი იქნება განვადებით თვეში მხოლოდ 207, 307 და 407 ევროდ."

როგორც ჭეშმარიტად ფრანგული პროდუქტი, "პეჟო" გამოირჩევა ელეგანტური დიზაინით და დახვეწილი ფორმებით. "პეჟოს" საქართველოს წარმომადგენლობა თავისი საქმიანობის ახალ ეტაპზე გადავიდა და მომხმარებელს სთავაზობს განახლებულ შოურუმს და, რაც ყველაზე მთავარია, განახლებულ და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ სერვის-ცენტრს, სადაც ხარისხიან სათადარიგო ნაწილებთან ერთად "პეჟოს" მფლობელებს მოემსახურება "პეჟოს" სტანდარტების შესაბამისად მომზადებული პერსონალი.

"პეჟოს" წარმომადგენლობა საქართველოში განახლებული მენეჯმენტით, განახლებული მოდელებით, განახლებული სერვის-ცენტრით შემოდის ბაზარზე და ვცდილობთ, მომხმარებელს შევთავაზოთ ძალიან დახვეწილი უნატიფესი სილამაზის ფრანგული მოდელები, თავისი ფინანსური სერვისებით. "საქართველოს ბანკი" და "პეჟო" მომხმარებელს განვადების მოქნილ სქემას სთავაზობს. მცირე რაოდენობის თანხის ყოველთვიური გადახდით შესაძლებელია "პეჟოს" ავტომობილების შეძენა უპროცენტო განვადებით. "საქართველოს ბანკი" ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია, ჩვენ დიდი ხანია ვთანამშრომლობთ და ვცდილობთ, ფინანსური პროდუქტები განვავითაროთ, ჩვენს კლიენტებს ახალ-ახალი მოსახერხებელი და მათ ინტერესზე მორგებული პროდუქტები შევთავაზოთ," - განაცხადა "პეჟოს" ცენტრის დამფუძნებელმა მიხეილ ალხანიშვილმა.

## ამინდი

| | 5/06 | 6/06 | 7/06 |
|---|---|---|---|
| კიევი | 15 | 18 | 23 |
| რიგა | 17 | 14 | 15 |
| ვილნიუსი | 14 | 15 | 16 |
| მოსკოვი | 27 | 16 | 20 |
| მინსკი | 11 | 18 | 17 |
| პარიზი | 21 | 21 | 22 |
| რომი | 21 | 21 | 24 |
| ლონდონი | 22 | 23 | 18 |
| მადრიდი | 31 | 33 | 32 |
| ბონი | 19 | 21 | 25 |
| ვარშავა | 15 | 17 | 21 |
| ათენა | 24 | 28 | 26 |
| ბერნი | 17 | 20 | 25 |
| ამსტერდამი | 13 | 15 | 17 |
| ოსლო | 18 | 17 | 18 |
| ანკარა | 29 | 27 | 30 |
| ვარნა | 23 | 26 | 22 |
| დელი | 46 | 46 | 45 |
| ტოკიო | 23 | 25 | 25 |
| კოპენჰაგენი | 15 | 16 | 17 |
| ბაქო | 33 | 35 | 32 |
| ერევანი | 37 | 37 | 37 |
| ასტანა | 13 | 22 | 25 |
| ჰელსინკი | 13 | 8 | 15 |
| დუბლინი | 21 | 18 | 18 |
| ლისაბონი | 34 | 35 | 35 |
| პრაღა | 13 | 15 | 21 |
| სოფია | 21 | 22 | 20 |
| ბუდაპეშტი | 19 | 20 | 22 |
| ბუხარესტი | 22 | 28 | 27 |

24 საათი C

© გაზეთი 24 საათი

# სპორტი

თქვენი რეკლამა "სპორტში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:

ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

## ზვონიმირ ბობანი: მოგება ყველას შეუძლია



C3

## ნადალი მორიგ ტიტულს უმიზნებს



C4

## კრივი გათეთრდა თუ გაფითრდა?



C4



### სულ მალე დაიწყება წლის მთავარი სპორტული მოვლენა - მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

საზოგადოებრივი არხი და გადაცემა "არენა" ცხრიდან თოთხმეტი წლის ჩათვლით ასაკის ბავშვებს დიდ სპორტულ ვიქტორინაში მონაწილეობის მიღებას სთავაზობს, რომელიც ჩემპიონატამდე სამი კვირით ადრე, 15 მაისს დაიწყება.

ვიქტორინაში გამარჯვებული ბავშვები ფეხბურთის ბურთებით დასაჩუქრდებიან და ასევე გამოვლინდება კვირის საუკეთესო კომენტატორი.

გამარჯვებულებს შეარჩევს კომპეტენტური ჟიური, რომელიც სპორტული ჟურნალისტებითა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებით იქნება დაკომპლექტებული.

სამი გამარჯვებული ბავშვი მსოფლიო ჩემპიონატის შემაჯამებელ გადაცემაში მიიღებს მონაწილეობას. მათ აგრეთვე საჩუქრად გადაეცემათ დვდ-პლეიერები და საზოგადოებრივი არხის პროდუქცია დვდ-დისკებზე.

პირველ ადგილზე გასული ბავშვი დასაჩუქრდება ორკაციანი საგზურით ურეკში, სასტუმრო "კოლხიდაში."

მიიღეთ მონაწილეობა ვიქტორინაში!
უყურეთ ფეხბურთს!
უყურეთ პირველს!

**დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:**

| | |
|---|---|
| **საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება:** | 21 33 67 |
| **სარეკლამო სამსახური:** | 21 33 54, 33 23 11 |
| **სპორტული რედაქცია:** | 33 17 15 |




# დიდი მატჩი



კახა ფაჩუაშვილი

*გუშინ ვაკეში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე, სრულიად ახალი ფენომენი - "ქართული რაგბი" იშვა. შეიძლება ფრაზა - "ქართული რაგბი" უხერხულად ჟღერს, მაგრამ ფაქტია, რომ ეროვნული გუნდის თამაშის დონე თვისებრივად სხვა სიმაღლეზე ავიდა. საქართველო ღირსად ცნეს "ბარბაროსებთან" შეეჯიბრებინათ. "ბარბაროსები", მოგეხსენებათ, მსოფლიო ნაკრებია და რაკი ისინი ჩვენს სამშობლოს ეწვივნენ, ეს უკვე დიდი პატივია "ბორჯღალოსნებისთვის".*

### საქართველო - ბარბაროსები 19:28

**საქართველო:** მამუკა მაგრაქველიძე, ავქსენტი გიორგაძე (კაპ.), ავთანდილ კოპალიანი, მამუკა გორგოძე, ლევან დათუნაშვილი, ილია მაისურაძე, რატი ურუშაძე, ბესო უდესიანი, ბიძინა სამხარაძე, ოთარ ბარკალაია, ოთარ ელოშვილი, ირაკლი გიორგაძე, რევაზ გიგაური, ირაკლი მაჩხანელი, პალიკო ჯიმშელაძე.
**3 ლელო:** მაჩხანელი - (38`), (57`), მაგრაქველიძე - (78`)
**2 გარდასახვა:** ბარკალაია
**ბარბაროსები:** ჯასტინ ფითსპატრიქი, ოლივიე აზამი, დარენ კრომპტონი, ჯეიმს ჰემილტონი, ბრედ მაკლიოდ-ჰენდერსენი, ვილ სკინერი, ბობ სკინსტადი (კაპ.), ჯეკობ რაულუნი, კრის მელოუნი, ლი რობინსონი, კევინ მეგსი, ტონი მარში, უგო მონიე, ნილ ჰალეტი.
**4 ლელო:** ჰალეტი - (23`), მონიე - (32`), ჰალეტი - (57`, 69`)
**4 გარდასახვა:** მელოუნი - 3, ჰალეტი.

სიმართლე გითხრათ, ტაბლოს რომ ვუყურებდი, გული მეკუმშებოდა. მუდმივად ველოდი, რომ ჩვენი მეტოქის, "ბარბაროსების" გასწვრივ ანგარიში კატასტროფული სისწრაფით გაიზრდებოდა, მაგრამ, რაც უფრო დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ ჩვენი ბიჭები მეტოქეს, მით უფრო ვიძაბებოდი და ვფიქრობდი, რომ ჩვენს გუნდს არ ვიცნობთ და, შესაბამისად, ჯეროვან პატივსაც არ მივაგებთ.

რაკი ჩვენ რანგით დაბალ ტურნირზე გამოვდივართ (ერთა თასის B ჯგუფში), წესით და რიგით, "ბარბაროსების" დარი გუნდები ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე უნდა გვიგებდნენ. მით უფრო, რომ ისინი ყოველწლიურად მსოფლიოს ელიტურ გუნდებთან არკვევენ ურთიერთობას. ჩვენ კი წელიწადში ერთხელ საფრანგეთის A ნაკრები ან ზე 12-ის კლუბი თუ გვეწვევა, ამასაც მადლიერებით ვყაბულდებით, მაგრამ, ამის მიუხედავად, "ბარბაროსებს" სამი ლელო შევკადრეთ და, მეტი გამოცდილება რომ გვქონოდა, იქნებ არც წაგვეგო. თამაშის მსვლელობაში იყო რამდენიმე ეპიზოდი, როცა "ბორჯღალოსნებმა" მეტოქის დაცვის ხაზი გაარღვიეს, მაგრამ სწორედ ამ გამოუცდელობით თუ მოკრძალების გამო, უკან მოიხედეს და შეტევის ტემპი დაკარგეს. შესაბამისად, იერიშიც ჩაიშალა. ასეთი შემთხვევა რამდენჯერმე გამეორდა. იმის თქმა მინდა, რომ "ბარბაროსების" დარ გუნდებს წელიწადში რამდენჯერმე რომ შევხვდეთ, "ბორჯღალოსნების" თამაშის დონე მკვეთრად გაუმჯობესდება, ასეთ შეცდომებს ნაკლებად დავუშვებთ და შედეგიც ჩვენთვის სასარგებლო იქნება.

ამასთან დაკავშირებით ბოლო პერიოდში საუბრობენ რაგბის საერთაშორისო ფედერაციაში. კერძოდ, არსებობს პროექტი, რომლის მიხედვით ერთა თასის A ჯგუფის აუტსაიდერი შეიძლება B ჯგუფის გამარჯვებულმა შეცვალოს, მაგრამ ეს მხოლოდ პროექტია, რადგან რაგბის ევროპელი მამები შიშობენ, რომ ამ პრინციპით შეიძლება, ვთქვათ, შოტლანდია დაქვეითდეს და როგორი საცქერი იქნება, როცა რაგბის ერთ-ერთი დამფუძნებლის - შოტლანდიის ნაცვლად ექვსი ერის ელიტაში, ვთქვათ, საქართველო გამოჩნდება. "ნამდვილი სკანდალი ატყდებაო", - ამტკიცებენ რაგბის მამები და ამ დემოკრატიულ პროექტს უგულებელყოფენ. ჰოდა, თამაშობს საქართველო რუმინეთის და პორტუგალიის კომპანიაში და ვერ იზრდება იმდენად, რომ, ვთქვათ, თბილისში "ბარბაროსების", იტალიის ან შოტლანდიის წინააღმდეგ ფავორიტად ჩაითვალოს.

თუმცა, იცის ნათელია, რომ რაგბის გლობალურ განვითარებას ევროპელი ბატონები დიდხანს ვერ შეაფერხებენ და ერთხელაც ისე მოხდება, როგორც საქართველოს მსგავსი პატარა ქვეყნებისთვის იქნება უკეთესი. თორემ აშკარად მძიმე საცქერია, როცა ისეთი ჟინისა და მონდომების გუნდი, როგორიც საქართველოს ჰყავს, ფორსირებული ტემპით ვერ იზრდება.

თამაში ისე დაიწყო, როგორც მოსალოდნელი იყო. "ბორჯღალოსნები" თითქოს რიდით მოეკიდნენ სახელოვან მეტოქეს და ძირითადად დაცვის გაძლიერებაზე ფიქრობდნენ. ასე გაილია ტაიმის ნახევარი და ცხადი გახდა, რომ ქართველი მორაგბეები მეტოქის მძლავრ მარწუხებს დიდხანს ვერ გაუძლებდნენ. 23-ე წუთზე ნილ ჰალეტიმ პირველი ლელო დაგვიდო. "ბარბაროსთა" 14-მა ნომერმა შესანიშნავი კომბინაცია დააგვირგვინა - მარჯვენა ფრთიდან მარცხნივ ჩაკიდებული ბურთი დაიჭირა და შურდულივით შევარდა "ბორჯღალოსნების" ჩათვლის მოედანში. 9 წუთში ამას მეორე ლელო მოჰყვა. თანაგუნდელთა სწრაფი იერიში სამმეოთხედელმა უგო მონიემ დააგვირგვინა.

გაგრძელება C2 გვერდზე

## ლეკო "მონაკოშია"

კიევის "დინამოსა" და ხორვატიის ნაკრების ნახევარმცველმა იერკო ლეკო ფრანგულ "მონაკოსთან" გააფორმა ხელშეკრულება.

"დარწმუნებული ვარ, "მონაკოში" თამაში უფრო გამიადვილებს ხორვატიის ეროვნული ნაკრების ძირითადში დამკვიდრებას", - განაცხადა ლეკომ.

26 წლის ფეხბურთელს თავისი ქვეყნის პირველ გუნდში 35 მატჩში ორი გოლი აქვს გატანილი.

## შვედები "პარკ ოტელში" გაჩერდნენ

გაზეთ "სანის" ცნობით, გერმანიაში ჩასული შვედეთის ნაკრები ბრემენში, ხუთვარსკვლავიან სასტუმრო "პარკ ოტელში" დაბინავდა. თავის დროზე ამ სასტუმროში ბილ კლინტონი, მაიკლ ჯექსონი და მიხაილ გორბაჩოვი ბინადრობდნენ.

შვედეთის ფეხბურთის ფედერაციამ "პარკ ოტელში" ნომრები ჯერ კიდევ გასული წლის მაისში დაჯავშნა. საინტერესოა, რომ შვედები ბრემენში შვიდტონიანი ბარგით ჩავიდნენ.

## გალიანი "რეალს" ემუქრება

"მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ მკაცრად გააფრთხილა მადრიდის "რეალის" ხელმძღვანელობა: თუ ესპანელები გუნდის რომელიმე ფეხბურთელთან შეეცდებიან კონტრაქტის გაფორმებას, გალიანი ფიფაში უჩივლებს.

"თუ "რეალი" შეეცდება იმ მოთამაშის გადაბირებას, რომელსაც ჩვენთან მოქმედი კონტრაქტი აქვს, აუცილებლად მივმართავთ სათანადო ინსტანციებს. ჩვენ უკვე გავაფრთხილეთ "სამეფო გუნდის" ხელმძღვანელობა, ასე რომ, თუ რამე მოხდება, მათ ფიფაში მოუწევთ ახსნა-განმარტების მიცემა. "მილანის" ყველა ფეხბურთელი გუნდში თამაშით კმაყოფილია. თუ ვინმე უკმაყოფილოა, კონტრაქტის ამოწურვამდე ვერსად წავა", - განაცხადა გალიანიმ.

## კეჟმანმა ფეხი იტკინა

სერბეთის ნაკრების თავდამსხმელმა მატეა კეჟმანმა ნაკრების ვარჯიშისას მუხლი დაიზიანა.

ტრავმის გამო ფეხბურთელი ავსტრიის პროვინცია კარინტიას ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ გუნდთან ამხანაგურ მატჩს გამოტოვებს.

"მართალია, ტრავმა სერიოზული არ არის, მაგრამ კეჟმანს რამდენიმე დღით მაინც მოუწევს დასვენება", - განაცხადა სერბეთის ნაკრების ექიმმა.

## კრაუჩი პარაგვაისთან ითამაშებს

ბი ბი სი-ს ცნობით, ინგლისი-იამაიკის ამხანაგური მატჩის (6:0) შემდეგ ინგლისელთა თავკაცმა სვენ-გორან ერიქსონმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ თავდამსხმელი პიტერ კრაუჩი მსოფლიო ჩემპიონატის სასტარტო შეხვედრაში პარაგვაისთან ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს.

შეგახსენებთ, რომ ზემოხსენებულ მატჩში კრაუჩმა ჰეთ-თრიქი გააკეთა.

## "სელტამ" გუაირე დაიმატა

ესპანურმა "სელტამ", რომელიც მომდევნო სეზონში უეფას თასზე იასპარეზებს, "ვილიარეალის" ნახევარმცველი ანტონიო გუაირე შეიძინა.

26 წლის ფეხბურთელი ახალ კლუბში თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა.

"ვიმედოვნებ, რომ წარმატებულ კარიერას "სელტაშიც" გავაგრძელებ", - თქვა გუაირემ.

## ჯარისკაცები და მოწაფეები

გერმანელი ჯარისკაცები და სკოლის მოსწავლეები მსოფლიო ჩემპიონატზე დასასწრებ უფასო ბილეთებს აღარ მიიღებენ. მუნდიალის ორგანიზატორებმა წარუმატებლად მიიჩნიეს პირვანდელი იდეა - სტადიონზე ცარიელი ადგილები ჯარისკაცებითა და მოსწავლეებით შეევსოთ. "გვინდოდა, მატჩებს, რომლებზეც სტადიონი ბოლომდე ვერ შეივსებოდა, ჯარისკაცები და სკოლის მოსწავლეები დასწრებოდნენ, მაგრამ ამის ორგანიზება საკმაოდ რთული აღმოჩნდა. საბოლოოდ დავასკვენით, რომ სტადიონზე ცარიელ ადგილებს მოხალისეებს შევავსებინებთ, რომლებიც ჩვენთვის საჭირო დროს დაკავებული არ იქნებიან", - განაცხადა ჩემპიონატის ორგკომიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა ჰორსტ შმიდტმა.

# დიდი მატჩი

პირველი გვერდიდან

მატჩის მთელი ხიბლიც ის იყო, რომ საქართველოს ნაკრები უფრო გაიხსნა და თავისუფლად ათამაშდა. მნიშვნელობა არ ჰქონდა, ორი ლელოთი წააგებდი თუ სამით. ამიტომ "ბორჯღალოსნებმა" ისეთი თამაში დაიწყეს, როგორიც იციან. შერკინების მოკლე დარტყმებით და მოედნის მთელ პერიმეტრზე სწრაფი გადაცემებით. ამან შედეგი გამოიღო და ქართველთა შესრულებით უმაღლესი კლასის ლელო ვიხილეთ. ოთარ ბარკალაიამ შეტევის მარცხენა ფრთაზე ირაკლი მაჩხანელს ზუსტად დაუკიდა ბურთი. ამ ერთი გონებამახვილური გადაცემით მოჭრა მეტოქის დაცვა და მაჩხანელს ლელო გაატანინა.

ამ ლელომ კიდევ ერთხელ დაადასტურა მარტივი ჭეშმარიტება, რომ ვისაც არ უნდა ეთამაშებოდე, მხოლოდ შეტევაზე უნდა იფიქრო და მოკრძალება მეგობრად არ გამოგადგება. მსოფლიო თასის წინა გათამაშებაზე ინგლისელები ქართველებთან მატჩის შემდეგ სწორედ იმის გამო გაოგნდნენ, რომ ვერაფრით აეხსნათ, თუ რატომ არ უტევდნენ ქართველები მათ ჩათვლის მოედანს. ასე იყო თუ ისე, პირველმა ლელომ ქართველების თამაში გახსნა და მიხეილ მესხის სახელობის მოედანზე უაღრესად თვალსასეირო რაგბი გაჩაღდა.

მეორე ტაიმის დასაწყისში ირაკლი მაჩხანელმა ისარგებლა მეტოქის მოუხერხებლობით, ჩაჭრა ბურთი და მეორე ლელო აგემა სახელოვან სტუმრებს. ანგარიში გათანაბრდა. რაღაც სენსაციის მსგავსი ხდებოდა. ერთ-ერთმა გულშემატკივარმა იმდენიც კი გაბედა - "უნდა მოვიგოთო", - წამოიძახა. იყო კიდევ მომენტები, როცა სტუმართა დაცვის ხაზი გავარღვიეთ, მაგრამ სწორედ ამ გამოუცდელობით თუ მოკრძალებით "ბარბაროსთა" ჩათვლის მოედნამდე ვერ მივაღწიეთ. სამაგიეროდ, კიდევ ორი ლელო მივიღეთ. ამით პრაქტიკულად გადაწყდა კიდეც მატჩის ბედი.

თუმცა, "ბორჯღალოსნები" "ბორჯღალოსნები" არ იქნებოდნენ, ბოლომდე რომ არ ებრძოლათ. მატჩის მიწურულს მამუკა მაგრაქველიძემ მაინც შეიტანა ბურთი მეტოქის სალელოვე ზონაში. საბოლოოდ ქართველები დამარცხდნენ, მაგრამ რაგბის მოყვარულებს თავისი არსებობის ისტორიაში ერთ-ერთი თვალსაჩინო მატჩი შემოგვთავაზეს. საგულისხმოა, რომ "ბორჯღალოსნებმა" ეს მატჩი ხუთი წამყვანი მორაგბის გარეშე ჩაატარეს.

თამაშის შემდეგ, პრესკონფერენციაზე, "ბარბაროსების" მთავარმა მწვრთნელმა, ავსტრალიელმა პეტ ჰოვარდმა ქების სიტყვები არ დაიშურა ქართველი მორაგბეების მისამართით. ეს ის ჰოვარდია, რომელიც შეიძლებოდა გასულ წელს "ბორჯღალოსნებს" ჩასდგომოდა სათავეში, მაგრამ ბოლოს შეთანხმება არ მოხერხდა.

შეგახსენებთ, რომ 10 ივნისს ერთა თასის გათამაშების დასკვნით ტურში საქართველოს ნაკრები ჩეხეთს გაეჯიბრება.

"სიმართლე გითხრათ, ველოდით, რომ ასეთი მატჩი იქნებოდა. თამაშმა გაამართლა. საქართველოს ნაკრები საერთაშორისო დონეზე კარგ თამაშს აჩვენებს. ძალისმიერი გუნდია და ეს დღესაც გამოჩნდა. თქვენზე მსმენია, რომ ხელით თამაში მაინცდამაინც კარგად არ გამოგდიოდათ. თუმცა, ამ შემთხვევაშიც მაღალი დონე აჩვენეთ", - განაცხადა მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა ნილ ჰარეტიმ, რომლის ანგარიშზე ორი ლელო და ერთი გარდასახვაა.

"მადლობელი ვარ "ბორჯღალოსნების", რომელთაც ნაღდი რაგბი გვაჩვენეს. ჩემმა ბიჭებმა კარგად ითამაშეს, მაგრამ არც თქვენებმა დატოვეს ურიგო შთაბეჭდილება. გადამეტების გარეშე ვამბობ: დღეს ჩვენ ისეთ გუნდს ვძლიეთ, რომელთან გამარჯვებაც ნამდვილად საამაყოა. დღევანდელი თამაშისთვის დიდ მადლობას ვუხდი ორივე გუნდს", - "ბარბაროსთა" თავკაცი პეტ ჰოვარდი.

"ისეთი თამაში იყო, ძნელია ინდივიდუალურად რომელიმე კონკრეტული მოთამაშის გამოყოფა, მაგრამ თქვენი რაგბისტებიდან აშკარად გამორჩეული იყო 8 ნომერი (ბესო უდესიანი-რედ.). ფიზიკურად ძალიან ძლიერი მოთამაშეა. კარგი შთაბეჭდილება დატოვა 10 ნომერმაც (ოთარ ბარკალაია-რედ.). მატჩის ტემპით კმაყოფილი ვარ, ოღონდ ბოლოს ცოტა დაღლილობამ იჩინა თავი", - ისევ პეტ ჰოვარდი.

"ვიცოდით, სადაც მოვდიოდით. პორტუგალიასთან მარცხის შემდეგ, როცა რაგბის საერთაშორისო საბჭოს ვკითხეთ, ვის გვირჩევდა მეტოქედ, საქართველოს დიდი რეკომენდაცია გაუწიეს. აქ ჩამოსვლისკენ უფრო იმანაც გვიბიძგა, როცა შევიტყვეთ, რა ამბები დააწიეთ ცოტა ხნის წინ პორტუგალიას. "ბორჯღალოსნების" თამაშით იმდენად ვისიამოვნე, რომ უახლოეს მომავალში კიდევ შევერკინებით", - ასეთი იყო "ბარბაროსთა" პრეზიდენტის სერ მიკი სთილ-ბოჯერის აზრი ჩვენებურებზე.

"ვფიქრობ, სანახაობრივად მართლაც ისეთი შეხვედრა გამოვიდა, როგორსაც გულშემატკივარს ვპირდებოდით. მართალია, თამაში დავთმეთ, მაგრამ ქართველი ქომაგი გადაჭარბებულად არ ჩამითვლის, თუ ვიტყვი, რომ ღირსეულად დავმარცხდით. ყოველ შემთხვევაში, სტუმრებს ბოლომდე გახსნის საშუალება არ მივეცით და ის თამაში არ ვათამაშეთ, რომელსაც შეჩვეულნი არიან.

მოედანზე დაძაბულობა იგრძნობოდა. რამდენიმე მომენტში "ბარბაროსები" ჩვენი თამაშით ისე გავაღიზიანეთ, რომ მათი მეათე ნომერი უხეშობასაც არ მოერიდა", - ეს უკვე პალიკო ჯიმშელაძე გახლავთ.










## ინფოთეკა

### მოურინიოს პროგნოზი

სააგენტო "ფრანს პრესისთვის" მიცემულ ინტერვიუში "ჩელსის" პორტუგალიელმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ განაცხადა, რომ ბრაზილიის ნაკრები უპრობლემოდ უნდა გახდეს მსოფლიოს ჩემპიონი. "ბრაზილია ერთადერთი ნაკრებია, რომელიც უკვე დიდი ხანია ერთი ტაქტიკით თამაშობს. რაც მთავარია, ამ გუნდს ფეხბურთელების ისეთი არჩევანი აქვს, როგორიც არც ერთ მის მეტოქეს. მიმაჩნია, რომ ამჟამად ბრაზილიის ნაკრები გაცილებით ძლიერია, ვიდრე ოთხი წლის წინ, როდესაც ამ გუნდმა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიგო. რონალდინიო გაიზარდა და გამოცდილება შეიძინა. გამოჩნდნენ ადრიანო და ემერსონი. ვფიქრობ, ბრაზილიის ნაკრებს საერთოდ არ ექნება პრობლემა და მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს მეექვსედაც მოიგებს", - ამბობს პორტუგალიელი სპეციალისტი.

### კაფუ წასვლას არ აპირებს

"მილანის" 36 წლის ბრაზილიელი მცველი მარკოს კაფუ კარიერის დასრულებაზე არ ფიქრობს. მეტიც: მან ახალი კონტრაქტი გააფორმა იტალიურ გრანდთან და მომავალ სეზონში "მილანში" ითამაშებს. ვეტერანი მცველისთვის მილანელებმა ახალი პოზიცია შეარჩიეს. ანჩელოტის გადაწყვეტილებით, მომავალ სეზონში ბრაზილიელი მარჯვენა ფლანგის ნაცვლად დაცვის ცენტრში ითამაშებს.

### ხელფასი გაუზარდეს

NBA-ს კლუბ "დალასის" მწვრთნელს ევერი ჯონსონს გუნდის მესვეურებმა ორჯერ გაუზარდეს ხელფასი. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც "დალასი" NBA-ს ფინალში გავიდა. ამჟამად მოქმედი კონტრაქტის თანახმად, ჯონსონი სეზონში 2,5 მილიონ დოლარს იღებდა, ახლა კი მისი ხელფასი წელიწადში 5 მილიონი დოლარი იქნება.

### სკოლარის გაფრთხილება

პორტუგალიისა და ლუქსემბურგის ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩის 31-ე წუთზე პორტუგალელთა ნახევარმცველმა კრიშტიანუ რონალდუმ ყვითელი ბარათი მიიღო, რითაც საკმაოდ გაანაწყენა თავისი მწვრთნელი. "კრიშტიანუმ საკუთარი ემოციები უნდა მოთოკოს. მსოფლიო ჩემპიონატზე შესაძლოა მეტოქეები მის პროვოცირებაზე წავიდნენ და თუ ისევე მოიქცა, როგორც ამ ამხანაგურ მატჩში, რთულ მდგომარეობაში ჩაგვაგდებს. იმედია, ჩემს მითითებებს გაითვალისწინებს და მსოფლიო ჩემპიონატის დროს სიმშვიდეს შეინარჩუნებს", - აცხადებს სკოლარი.

### პრეზიდენტის დარიგება

ირანის ნაკრები გერმანიაში ჩავიდა. მუნდიალზე გამგზავრების წინ ირანის პრეზიდენტმა მაჰმუდა ახმადინეჯადამ ნაკრების ფეხბურთელებს მიმართა და მათ წარმატებული თამაში უსურვა. პრეზიდენტის თქმით, ირანელმა ფეხბურთელებმა ქვეყანას წარმატება უნდა მოუტანონ. აღსანიშნავია, რომ მაჰმუდა ახმადინეჯადა თავადაც აპირებს გერმანიაში ჩასვლას, თუმცა მისი ვიზიტი ოფიციალური არ იქნება - ის გერმანიას ჩვეულებრივი გულშემატკივრის რანგში ესტუმრება. გერმანელებს ირანის პრეზიდენტის სტუმრობის ძალიან ეშინიათ, რადგან მის ვიზიტს ტერორისტების გააქტიურებას უკავშირებენ.

### ფეხბურთი გვაერთიანებს

მსოფლიო ჩემპიონატის მოახლოებასთან ერთად გერმანულ გაზეთ "ბილდში" გამოქვეყნდა გაეროს გენერალური მდივნის კოფი ანანის ინტერვიუ, რომელშიც ანანი ამბობს, რომ ფეხბურთი ერთადერთი ინსტიტუტია, რომელსაც ადამიანების გაერთიანება შეუძლია. "ისე როგორც სხვას არაფერს, ფეხბურთს შეუძლია ხალხის გაერთიანება. ეს თამაში აერთიანებს სხვადასხვა რასის, რელიგიისა და პოლიტიკური შეხედულებების ადამიანებს. ფეხბურთი იმ იშვიათ ინსტიტუტებს განეკუთვნება, რომლებსაც მთელი ერის გაერთიანება ძალუძს", - აცხადებს გაეროს გენერალური მდივანი.

### ნუ ჩახტებით რეინში

გერმანულ ქალაქ ბონის მერმა ბარბელ დიკმენმა აუკრძალა ემოციურ იაპონელ გულშემატკივრებს მდინარე რეინში ჩახტომა. საქმე ისაა, რომ გასული მუნდიალის დროს იაპონიის ნაკრების მიერ მოგებული მატჩის შემდეგ გახარებული იაპონელი ფანები ქალაქ ოსაკას მდინარეში ჯგუფურად ხტებოდნენ. ბონის მერმა სწორედ ეს გამოცდილება გაითვალისწინა და იაპონელებს რეინში ჩახტომა აუკრძალა. "ჩვენს მდინარეში საკმაოდ სუფთა წყალია და ბანაობა, რა თქმა უნდა, შეიძლება, მაგრამ აქ ძალიან სწრაფი დინებაა და თუ გულშემატკივრები მდინარეში ჩახტომას დაიწყებენ, შესაძლოა, უბედური შემთხვევებიც მოხდეს, რადგან ყველას მშვენივრად ესმის, რომ საკუთარი გუნდის გამარჯვების შემდეგ ფანები ალბათ ნასვამებიც იქნებიან", - ნათქვამია ბონის მერიის განცხადებაში.

### დედოფალიც აირჩიეს

ქალაქ რუსტში მსოფლიო ჩემპიონატის დედოფალი აირჩიეს. 32 მონაწილე ქვეყნის წარმომადგენელი კომპეტენტური ჟიურის წინაშე წარდგა. მის მსოფლიო ჩემპიონატად 24 წლის ტოგოელი სტუდენტი ედვიგ მადზე ბადაკუ აირჩიეს. მეორე ადგილზე 23 წლის ესპანელი მარია ბაეზა გავიდა, მესამეზე კი - 23 წლის ეკვადორელი კეტი ლოპეს სამანი. მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში ეს პირველი შემთხვევაა, როცა მის მუნდიალი აირჩიეს.

# ზვონიმირ ბობანი:
# მოგება ყველას შეუძლია

1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ხორვატიის ნაკრებმა უდიდეს წარმატებას მიაღწია. ამ გუნდს ფავორიტთა შორის არავინ მოიხსენიებდა, თუმცა ხორვატებმა შეუძლებელი შეძლეს და მესამე ადგილზეც კი გავიდნენ. იმ ლეგენდარული გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ზვონიმირ ბობანი გახლდათ. ხორვატიული ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა ფიფას ოფიციალური ვებგვერდის ჟურნალისტთან საუბარში სახელოვან წარსულს იხსენებს და მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის საკუთარ პროგნოზსაც გვთავაზობს.

**- რა იყო ხორვატიის ნაკრების წარმატების საიდუმლო 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე?**

- საიდუმლო? არავითარი საიდუმლო არ არსებობს. ჩვენ საკმაოდ კარგი გუნდი გვყავდა, რომელშიც ურიგო ფეხბურთელები არ თამაშობდნენ. მეტოქეები კარგად გვიცნობდნენ და ჩვენს წინააღმდეგ სათამაშოდ ყველა სერიოზულად ემზადებოდა. უბრალოდ, ნაკრებში ბრწყინვალე ატმოსფერო იყო შექმნილი, გვჯეროდა საკუთარი ძალების, აგრეთვე თითოეულ ჩვენგანს პატრიოტიზმის განსაკუთრებული გრძნობა ჰქონდა. გვინდოდა ჩვენი ხალხისთვის რაიმე გაგვეკეთებინა. იმ პერიოდში ხორვატიაში საკმაოდ მძიმე ცხოვრება იყო და ჩვენ ხალხს სიხარული ვაჩუქეთ.

**- იმ ტურნირიდან ყველაზე მეტად რა დაგამახსოვრდათ?**

- რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი იყო ბრინჯაოს მედლების მოგება. მთელმა გუნდმა კარგად ითამაშა. დავორ შუკერი კი საერთოდ შეუდარებელ ფორმაში იყო. თუმცა მე საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატიდან ერთი მეტად უსიამოვნო მოგონება დამრჩა. ნახევარფინალში საფრანგეთის ნაკრებთან თამაშში შევცდი. სწორედ ამის წყალობით ლილიან ტურამმა გოლი გაიტანა და გაათანაბრა ანგარიში. ეს იყო ჩემი საფეხბურთო კარიერის და მთლიანად ცხოვრების ყველაზე დიდი შეცდომა, რომელსაც საკუთარ თავს დღემდე ვერ ვპატიობ.

**- მაშინ ხორვატიის ნაკრებს საკმაოდ ძლიერი ნახევარდაცვა ჰყავდა. თქვენ, ალიოშა ასანოვიჩი, რობერტ პროსინეჩკი...**

- მართალი ბრძანდებით. ამ ფეხბურთელებთან თამაში ძალიან სასიამოვნო იყო. ვამაყობ, რომ ჩემი ქვეყნის ოქროს თაობის ფეხბურთელებთან ერთად მიწევდა ასპარეზობა. ხალხი ახლაც კი ამბობს, რომ ხორვატიას იმ დონის გუნდი აღარასოდეს ეყოლება. იმედია, რომ ცდებიან.

**- ახლანდელ ნაკრებზე რას იტყვით? როგორ შეაფასებთ ნიკო კრანჩარს?**

- ძალიან მომწონს ეს ფეხბურთელი, თუმცა მიმაჩნია, რომ დღევანდელი ნაკრების უდავო ლიდერები დადო პრშო და ნიკო კოვაჩი არიან. რაც შეეხება კრანჩარს, ის უდავოდ ძალიან ნიჭიერია, მაგრამ დიდ ფეხბურთელად ჯერ არ ჩამოყალიბებულა.

**- მსოფლიოს მაშტაბით, რომელი ახალგაზრდა ფეხბურთელი მოგწონთ ყველაზე მეტად?**

- ძალიან მომწონს ბარსელონელი ანდრეას ინიესტა და მისი თანაგუნდელი არგენტინელი ლიო მესი. როდესაც ბურთი ამ ორი ფეხბურთელიდან რომელიმეს აქვს, ყოველთვის რაღაც განსაკუთრებულს ელი.

**- თქვენი აზრით, ვინ არის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი, უფრო სწორად, პირადად თქვენ ვინ მოგწონთ ყველაზე მეტად?**

- პელე და მარადონა. ეს ორი აუცილებლად უნდა დავასახელო. თუმცა, მე ძალიან მომწონს რონალდოსა და ზიდანის თაობა, რონალდო განსაკუთრებით მაშინ მხიბლავდა, როცა "ბარსელონაში" თამაშობდა.

**- თქვენ არაერთი ძლიერი ფეხბურთელის გვერდით გითამაშიათ. ვინ იყო მათ შორის საუკეთესო?**

- მარკო ვან ბასტენი. მიმაჩნია, რომ ის საკუთარ თავში ორ ფეხბურთელს აერთიანებდა. ერთდროულად იყო ცენტრფორვარდიც და 10 ნომერიც. ტექნიკურად საერთოდ შეუდარებელი იყო. მიმაჩნია, რომ ფენომენალური ფეხბურთელის გვერდით მომიხდა თამაში.

**- მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე ვინ იქნება თქვენი ფავორიტი?**

- მოგება ყველას შეუძლია. ბრაზილია, არგენტინა, გერმანია, საფრანგეთი და ჰოლანდია. საინტერესო ჩემპიონატი გველის.



ზვონიმირ ბობანს ბრინჯაოს მედლით აჯილდოებენ.

# ვინ იმსაჯებს

შაბათს მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორებმა დაასახელეს ის მსაჯთა ბრიგადები, რომლები მოემსახურებიან ჩემპიონატის პირველ 16 შეხვედრას. მუნდიალის პირველ მატჩს არგენტინელ მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება. მთავარ არბიტრად 42 წლის ჰორაციო ელისონდო დაინიშნა. გთავაზობთ პირველ 16 მატჩზე დანიშნულ მსაჯთა ბრიგადების სიას.

**1. გერმანია - კოსტა რიკა**
**არბიტრი:** ჰორაციო ელისონდო (არგენტინა)
**პირველი ასისტენტი:** დარიო გარსია (არგენტინა)
**მეორე ასისტენტი:** როდოლფო ოტერო (არგენტინა)
**მეოთხე მსაჯი:** კარლოს ჩანდია (ჩილე)
**მეხუთე მსაჯი:** კრისტიან ხულიო (ჩილე)

**2. პოლონეთი - ეკვადორი**
**არბიტრი:** ტორუ კამიკავა (იაპონია)
**პირველი ასისტენტი:** იოშიკაცუ ჰიროშიმა (იაპონია)
**მეორე ასისტენტი:** იანგ დაე კიმი (კორეა)
**მეოთხე მსაჯი:** ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)
**მეხუთე მსაჯი:** რომან სლიშკო (სლოვაკეთი)

**3. ინგლისი - პარაგვაი**
**არბიტრი:** მარკო როდრიგესი (მექსიკა)
**პირველი ასისტენტი:** ხოსე ლუის კამარგო (მექსიკა)
**მეორე ასისტენტი:** ლიონელ ლეალი (კოსტა რიკა)
**მეოთხე მსაჯი:** კოფი კოჯია (ბენინი)
**მეხუთე მსაჯი:** სელესტინ ნტაგუნგირა (რუანდა)

**4. ტრინიდადი - შვედეთი**
**არბიტრი:** შამსულ მაიდანი (სინგაპური)
**პირველი ასისტენტი:** პრაჩია პერმპანიჩი (ტაილანდი)
**მეორე ასისტენტი:** ეისა გუალუმი (საემიროები)
**მეოთხე მსაჯი:** ოსკარ რუისი (კოლუმბია)
**მეხუთე მსაჯი:** ფერნანდო ტამაიო (ეკვადორი)

**5. არგენტინა - კოტ დ`იტვუარი**
**არბიტრი:** ფრანკ დე ბლეკერი (ბელგია)
**პირველი ასისტენტი:** პეტერ ჰერმანსი (ბელგია)
**მეორე ასისტენტი:** უოლტერ ვრომანსი (ბელგია)
**მეოთხე მსაჯი:** ერიკ პულა (საფრანგეთი)
**მეხუთე მსაჯი:** ვისენტ ტებსიერი (საფრანგეთი)

**6. სერბეთი - ჰოლანდია**
**არბიტრი:** მარკუს მერკი (გერმანია)
**პირველი ასისტენტი:** კრისტიან შრაერი (გერმანია)
**მეორე ასისტენტი:** იან-ჰენდრიკ სლავერი (გერმანია)
**მეოთხე მსაჯი:** მუჰამედ გუაზაზი (მაროკო)
**მეხუთე მსაჯი:** ბრაჰიმ ძეზარი (ანგოლა)

**7. მექსიკა - ირანი**
**არბიტრი:** რობერტო როსეტი (იტალია)
**პირველი ასისტენტი:** კრისტიანო კოპელი (იტალია)
**მეორე ასისტენტი:** ალესანდრო სტანოლი (იტალია)
**მეოთხე მსაჯი:** ჯერომი დამონი (სამხრეთ აფრიკა)
**მეხუთე მსაჯი:** ენოკ მოლეფე (სამხრეთ აფრიკა)

**8. ანგოლა - პორტუგალია**
**არბიტრი:** ხორხე ლარიონდა (ურუგვაი)
**პირველი ასისტენტი:** უოლტერ რიალი (ურუგვაი)
**მეორე ასისტენტი:** პაბლო ფანდინო (ურუგვაი)
**მეოთხე მსაჯი:** კევინ სკოტი (აშშ)
**მეხუთე მსაჯი:** კრის სტრიკლენდი (აშშ)

**9. იტალია - განა**
**არბიტრი:** კარლოს სიმონი (ბრაზილია)
**პირველი ასისტენტი:** არისტეუ ტავარესი (ბრაზილია)
**მეორე ასისტენტი:** ედნილსონ კორონა (ბრაზილია)
**მეოთხე მსაჯი:** ჰალილ ალ ჩამდი (საუდის არაბეთი)
**მეხუთე მსაჯი:** ჰამდი ალ კადრი (სირია)

**10. აშშ - ჩეხეთი**
**არბიტრი:** კარლოს ამარილია (პარაგვაი)
**პირველი ასისტენტი:** ამელიო ანდინო (პარაგვაი)
**მეორე ასისტენტი:** მანუელ ბერნალი (პარაგვაი)
**მეოთხე მსაჯი:** კარლოს ჩანდია (ჩილე)
**მეხუთე მსაჯი:** როდრიგო გონსალესი (ჩილე)

**11. ბრაზილია - ხორვატია**
**არბიტრი:** ბენიტო არჩუნდია (მექსიკა)
**პირველი ასისტენტი:** ხოსე რამირესი (მექსიკა)
**მეორე ასისტენტი:** ექტორ ვერგარგა (მექსიკა)
**მეოთხე მსაჯი:** მუჰამედ გუაზაზი (მაროკო)
**მეხუთე მსაჯი:** ბრაჰიმ ჯეზირი (ანგოლა)

**12. ავსტრალია - იაპონია**
**არბიტრი:** ესამ აბდ ელ ფატჰი (ეგვიპტე)
**პირველი ასისტენტი:** დრამანე დანტე (მალი)
**მეორე ასისტენტი:** მაჰამადუ ნდუე (სენეგალი)
**მეოთხე მსაჯი:** ერიკ პულა (საფრანგეთი)
**მეხუთე მსაჯი:** ვისენტ ტექსიერი (საფრანგეთი)

**13. საფრანგეთი - შვეიცარია**
**არბიტრი:** ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)
**პირველი ასისტენტი:** ნიკოლაი გულიევი (რუსეთი)
**მეორე ასისტენტი:** ევგენი ვოლნინი (რუსეთი)
**მეოთხე მსაჯი:** კევინ სკოტი (აშშ)
**მეხუთე მსაჯი:** ჯორჯ ბარკი (აშშ)

**14. კორეა - ტოგო**
**არბიტრი:** გრემ პოლი (ინგლისი)
**პირველი ასისტენტი:** ფილიპ შარპი (ინგლისი)
**მეორე ასისტენტი:** გლენ ტერნერი (ინგლისი)
**მეოთხე მსაჯი:** ჯერომი დემონი (სამხრეთ აფრიკა)
**მეხუთე მსაჯი:** ჟუსტინ იებოა (განა)

**15. ესპანეთი - უკრაინა**
**არბიტრი:** მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)
**პირველი ასისტენტი:** ფრანჩესკო ბურაგინა (შვეიცარია)
**მეორე ასისტენტი:** მატიას არნე (შვეიცარია)
**მეოთხე მსაჯი:** რობერტო როსეტი (იტალია)
**მეხუთე მსაჯი:** კრისტიანო კაპელი (იტალია)

**16. ტუნისი - საუდის არაბეთი**
**არბიტრი:** მარკ შილდი (ავსტრალია)
**პირველი ასისტენტი:** ნათან გიბსონი (ავსტრალია)
**მეორე ასისტენტი:** ბენ უილსონი (ავსტრალია)
**მეოთხე მსაჯი:** კარლოს ჩანდია (ჩილე)
**მეხუთე მსაჯი:** კრისტიან ხულიო (ჩილე)

# ტოტი ლიდერობისთვის იბრძვის

მარი ჭავახიშვილი

19 თებერვალს "სტადიო ოლიმპიკოზე" შეკრებილი იტალიელი გულშემატკივრები დრამატული ფაქტის მომსწრენი გახდნენ: "რომა" - "ემპოლის" მატჩის მეორე ტაიმში ფრანჩესკო ტოტიმ მძიმე ტრავმა მიიღო. ტიფოზების გარდა, ამ ამბავმა, პირველ რიგში, თავად ფეხბურთელი შეაშფოთა, რადგან წინ მსოფლიო ჩემპიონატია, ტრავმის გამო კი მუნდიალზე თამაშს დიდი კითხვის ნიშანი დაესვა.

საბედნიეროდ, რამდენიმე თვეში ყველაფერი ტიფოზთა და "რომას" ლიდერის სასიკეთოდ დასრულდა. ტრავმის სერიოზულობის მიუხედავად, ტოტიმ გერმანიისთვის თითქმის სრულად მოასწრო ფორმის აღდგენა, მაგრამ "სკუადრა აძურას" მთავარი მწვრთნელი მარჩელო ლიპი მაინც ეჭვქვეშ აყენებს თავდამსხმელის ძირითადში მოხვედრას.

ახლა 29 წლის ფეხბურთელს ისღა დარჩენია, მწვრთნელი გადაარწმუნოს და მაქსიმალურად მოემზადოს ჩემპიონატზე სათამაშოდ, მით უმეტეს, რომ მის გეგმებში მუნდიალზე საუკეთესო ფეხბურთელის სახელის მოხვეჭაც შედის.

**- ფრანჩესკო, როგორც მიდის თქვენი აღდგენითი პროცესი?**

- თავს კარგად ვგრძნობ, ტრავმა თითქმის ბოლომდე მოვიშუშე. მართალია, ოპტიმალურ ფორმაში ჯერაც არა ვარ, მაგრამ დრო კიდევ მაქვს, მუნდიალისთვის სრულად გამოვმჯობინდე. იმედი მაქვს, გერმანიაში თამაშისას გაცდენილ დროს ერთიანად ავინაზღაურებ. ამ ხნის მანძილზე მარჩელო ლიპი მოთმინებითა და კეთილგანწყობით მიცდიდა. მე კი, ჩემი მხრიდან, თავს არ ვზოგავდი. მინდა დავუმტკიცო, რომ ძირითადში სათამაშოდ ძალა შემწევს.

**- იქნებ გაიხსენოთ წინა ჩემპიონატები, როცა ჯერ კიდევ ახალბედა ფეხბურთელი იყავით და პროფესიონალობამდე ბევრი გეკლდათ?**

- მსოფლიო თასი ყველასთვის სანატრელი ჯილდოა, ბავშვისთვისაც კი. ყოველთვის მინდოდა ფეხბურთელი ვყოფილიყავი. მარტო იმის გაფიქრებაზეც კი, რომ ოდესმე მსოფლიო ჩემპიონატზე ვითამაშებდი, ტანში ჟრუანტელი მივლიდა. ერთადერთი, რაც არასოდეს დამავიწყდება, 1982 წლის ჩემპიონატია, როცა მთელი იტალია გამარჯვებას ზეიმობდა და ხალხი ქუჩაში იყო გამოსული. 1986 და 1990 წლების მუნდიალები კი მარტო იმიტომ არ დამავიწყდება, რომ იქ თამაშობდნენ ისეთი დიდი ფეხბურთელები, როგორებიც იყვნენ დიეგო მარადონა და რობერტო ბაჯო, რომელთაც ვაღმერთებდი.

**- პირველი შვილის დაბადებამ თუ შეცვალა თქვენი ცხოვრება? გერმანიაში ცოლ-შვილი ალბათ დაესწრება თქვენს მატჩებს...**

- რა თქმა უნდა, კრისტიანის დაბადებამ ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეცვალა - მეტ პასუხისმგებლობასა და სიდარბაისლეს ვგრძნობ. ძნელია, სიტყვებით გადმოსცე ის გრძნობა და ემოცია, რასაც შვილის შეძენისას განიცდი. მართალია, ახლა ილარი თავისი სამუშაოთი ძალიან დაკავებულია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, აუცილებლად გამონახავს დროს და ის და კრისტიანი გერმანიაში ჩამომაკითხავენ.

**- სპეციალისტები ბალაკთან, შევჩენკოსთან, რონალდინიოსთან და ანრისან ერთად ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელის კანდიდატად გასახელებენ. ჩამოთვლილთაგან თქვენ ვის ანიჭებთ უპირატესობას?**

- ერთად აღებული ყველა ეს ფეხბურთელი წლევანდელ ჩემპიონატს დაუვიწყარს გახდის. ძნელია იმის თქმა, ვინ გახდება საუკეთესო, მაგრამ მე რონალდინიოს მივანიჭებდი პირველობას. ვფიქრობ, წელს სიურპრიზებს არ უნდა ველოდოთ, ფავორიტები ბრაზილია, არგენტინა, საფრანგეთი, ინგლისი, გერმანია და, რა თქმა უნდა, იტალია არიან.

**- რონალდინიოს თამაშიდან თქვენს თამაშს რას დაუმატებდით?**

- ჩვენ განსხვავებული სტილის მოთამაშეები ვართ. ის უფრო ფართო დიაპაზონის შემტევი ფეხბურთელია, მე თავდასხმის ცენტრში ვთამაშობ. გარდა ამისა, რონალდინიო სისწრაფეშიც მჯობნის.

**- მატჩის შემდეგ განტვირთვის რაიმე თქვენებური მეთოდი თუ გაქვთ?**

- ტრადიციულად, ფეხბურთელს, რომელიც გრძელვადიან ტურნირზე მიემგზავრება, თან აუცილებლად მიაქვს ვიდეოთამაშები, საყვარელი მუსიკის დისკები და ფილმები.

**- წინა, 2002 წლის ჩემპიონატზე ვისთან ერთად ცხოვრობდით?**

- მარტო ვცხოვრობდი. ალბათ ახლაც ასე იქნება.

**- ნაკრებში წელს პაოლო მალდინი აღარ ითამაშებს. როგორ შეხვდით მისი სანაკრებო კარიერის დასრულების ამბავს, ძალიან აისახება გუნდზე მალდინის არყოფნა?**

- ეს მისი გადაწყვეტილებაა და ჩვენ ისღა დაგვრჩენია, პატივი ვცეთ. შესაძლოა, წლევანდელი მუნდიალი ჩემთვისაც ბოლო გამოდგეს. ამიტომ ჩემი ერთადერთი მიზანი ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელობა იქნება.

### დუალა "მიდლსბროში" გადავა

ინგლისურ პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, ლისაბონის "სპორტინგის" შემტევი ნახევარმცველი რუდოლფ დუალა უახლოეს მომავალში პრემიერლიგის "მიდლსბროში" აღმოჩნდება.

28 წლის ნიგერიელის შეძენა ინგლისურ კლუბს დაახლოებით 2 მილიონი ფუნტი სტერლინგი დაუჯდება.

### კოული და ტერი დაშავდნენ

ინგლისის ნაკრების ერთბაშად ორმა მცველმა - ეშლი კოულმა და ჯონ ტერიმ იამაიკასთან ამხანაგურ მატჩში მცირე დაზიანებები მიიღეს.

კოულმა თეძო, ტერიმ კი მუხლი იტკინა. ინგლისის ნაკრების ექიმის თქმით, ორივე ფეხბურთელმა დამატებითი სამედიცინო გამოკვლევა უნდა ჩაიტაროს.

### ჩეხი ჩემპიონატის ბურთით კმაყოფილია

ჩეხეთის ნაკრებისა და ლონდონის "ჩელსის" მეკარის პეტერ ჩეხის აზრით, მსოფლიო ჩემპიონატის ოფიციალური ბურთი "Teamgeist" გაცილებით უკეთესია, ვიდრე მისი წინამორბედი ევრო 2004-ის Roteiro.

"ეს ბურთი უფრო იოლად კონტროლირებადია. არა მგონია, Roteiro-ს მსგავსად, თამაშები გააფუჭოს", - განაცხადა ჩეხმა.

შეგახსენებთ, რომ ორი წლის წინ პორტუგალიაში ჩეხეთის ნაკრები ნახევარფინალში საბერძნეთთან 0:1 დამარცხდა.

### ძამბროტას ბონერა შეცვლის

"ევროსპორტის" ცნობით, იტალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ "პარმას" მცველი დანიელე ბონერა გუნდის შემადგენლობაში დატოვა.

თავდაპირველად ბონერა "სკუადრა აძურას" ფეხბურთელთა შორის არ მოიაზრებოდა, თუმცა მას შემდეგ, რაც გუნდის ძირითადმა მცველმა ჯანლუკა ძამბროტამ ტრავმა მიიღო, სათადარიგოთა შორის მყოფი ბონერა ნაკრებში გამოიძახეს. მსოფლიო ჩემპიონატზე დანიელე ბონერა იმ შემთხვევაში დაიცავს თავისი ქვეყნის ღირსებას, თუ ძამბროტა მუნდიალის დაწყებისთვის ვერ გამოჯანმრთელდება.

### ბენიტესი კიდევ ოთხი წლით

ინგლისის "ლივერპულმა" კიდევ ოთხი წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი გუნდის ესპანელ თავკაცთან რაფაელ ბენიტესთან.

ბენიტესი მერსისაიდულ გუნდში 2010 წლამდე დარჩება.

"ლივერპულში" მუშაობით ძალიან კმაყოფილი ვარ. ვიმედოვნებ, რომ მომავალ სეზონში დიდ წარმატებებს მივაღწევ ჩემს შეგირდებთან ერთად", - განაცხადა რაფა ბენიტესმა, რომლის თავკაცობით "ლივერპულმა" წლევანდელ სეზონში პრემიერლიგის გათამაშებაში მესამე ადგილი დაიკავა.

### ტოგოს ფეხბურთელები ქვეყნის ფედერაციას 150 ათას ევროს სთხოვენ

ტოგოს ნაკრების ფეხბურთელები და ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია ვერა და ვერ თანხმდებიან მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშისთვის გუნდის მოთამაშეთა პრემიის თანხის რაოდენობაზე. ტოგოელი ფეხბურთელები პრემიის სახით 155 ათას ევროს ითხოვენ ყოველი თამაშისთვის, პლუს 30 ათასი ევრო მატჩის მოგებისთვის, 15 ათასი ევრო - ფრესთვის. ფედერაცია კი მიიჩნევს, რომ ფეხბურთელთა მიერ დასახელებული თანხა ძალიან ბევრია. ტოგოს ნაკრები, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის დებიუტანტი გუნდია, ჯგუფში საფრანგეთთან, შვეიცარიასთან და სამხრეთ კორეასთან ითამაშებს.

### წარუმატებელი ფინიში

ტურინში დასრულდა საჭადრაკო ოლიმპიადა. სამწუხაროდ, ბოლო ტურებში საქართველოს ქალთა და მამაკაცთა ნაკრებმა გუნდებმა თავი ვერაფრით გამოიჩინეს. ქალები მე-6 ადგილს დასჯერდნენ, მამაკაცებმა კი მე-14 ადგილზე დასრულეს ასპარეზობა. რაც შეეხება გამარჯვებულებს, ქალთა ტურნირი უკრაინის ნაკრებმა მოიგო, რაც, ცოტა არ იყოს, მოულოდნელია. მათ უკან ჩამოიტოვეს ისეთი ძლიერი გუნდები, როგორებიც არიან რუსეთისა და ჩინეთის ნაკრებები.

მამაკაცთა ტურნირში კი ჩემპიონის ტიტული სომხეთის გუნდმა მოიპოვა. მან ჩინეთისა და აშშ-ს ძლიერ გუნდებს მოუგო ბრძოლა.

ტურინში გაიმართა ფიდეს მორიგი ყრილობა. ამ ორგანიზაციის პრეზიდენტად კიდევ ერთხელ აირჩიეს კირსან ილუმჟინოვი.

### "იუვენტუსი" იშლება

მართალია, ჯერაც არ დასრულებულა გამოძიება, რომლის შემდეგ ტურინის "იუვენტუსს" საბოლოო ვერდიქტს გამოუტანენ, მაგრამ, როგორც ჩანს, იტალიური გრანდის საქმე მთლად კარგად არ უნდა იყოს. უკვე გადაწყდა, რომ გუნდს დატოვებს ფაბიო კაპელო. მწვრთნელს კი თითქმის მთელი გუნდი გაჰყვება. ყოველ შემთხვევაში, "ბებერი ქალბატონის" ყველა ვარსკვლავი ახლა კლუბის ძიებითაა დაკავებული. კანავარო, ტურამი, ვიეირა, ემერსონი, იბრაჰიმოვიჩი, ტრეზეგე, ბუფონი, ძამბროტა და კამორანეზი გუნდიდან წასვლას აპირებენ. პაველ ნედვედის განცხადებით, თუ "იუვენტუსი" სერია A-დან გააგდეს, ის საერთოდ დაასრულებს საფეხბურთო კარიერას. მხოლოდ ალექს დელ პიერო რჩება კლუბის ერთგული. ის ამბობს, რომ "იუვენტუსთან" ერთად ნებისმიერ ლიგაში ითამაშებს. ამავე დროს, ესპანური მედია ირწმუნება, რომ კაპელო "რეალს" ჩაუდგება სათავეში და მადრიდულ გრანდში ემერსონს, კანავაროს, იბრაჰიმოვიჩს და ძამბროტას მიიყვანს. თავად კაპელო კი ტურინული კლუბის მესვეურებს ურჩევს, რომ მთავარ მწვრთნელად რობერტო დონადონი დანიშნონ. რჩევები არც მიშელ პლატინიმ დაინანა. ლეგენდარული ფრანგი ფეხბურთელის აზრით, "იუვენტუსის" მწვრთნელად დიდიე დეშამი უნდა დაინიშნოს.

### "მარსელი" რიბერის ვერ ელევა

ფრანგული "მარსელის" პრეზიდენტმა პაპ დიუფმა კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე გააკეთა განცხადება, რომლის თანახმად, ფრანკ რიბერის შეძენის სურვილი უკვე გამოთქვეს "მანჩესტერ იუნაიტედმა" და "ლიონმა", თუმცა "მარსელი" ამ ფეხბურთელის გაყიდვას არ აპირებს.

დიუფის თქმით, რიბერი, სულ ცოტა, კიდევ ერთ სეზონს ითამაშებს "მარსელში". მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი მის ტრანსფერზე საუბარი.

## ბრიტანელები განაწყენდნენ

ინგლისის ნაკრების ფანკლუბის ხელმძღვანელი მარკ პერიმანი აღშფოთებულია იმის გამო, რომ ნაკრების პირველ მატჩზე ბილეთები ჩვეულებრივ გულშემატკივარს არ შეხვდა. თითქმის ყველა ბილეთი საფეხბურთო ჩინოსნებზე და ბრიტანელ პოლიტიკოსებზე გადანაწილებულა.

როგორც ამბობენ, ამ მატჩს მთელი ბრიტანული პოლიტელიტა დაესწრება. ნამდვილი გულშემატკივრები კი თამაშგარე მდგომარეობაში დარჩნენ.

## გუდიონსენი მიდის, რობერტო კარლოსი მოდის

თითქმის გადაწდა, რომ "ჩელსის" 27 წლის ფორვარდი ეიდურ გუდიონსენი მომავალ სეზონს ესპანურ "ბარსელონაში" გაატარებს. ანდრეი შევჩენკოს შეძენის შემდეგ ლონდონელებს ისლანდიელი ფორვარდი აღარ სჭირდებათ და "ბარსელონამაც" ამით ისარგებლა. ამავე დროს უკანასკნელ ფაზაში შედის მოლაპარაკება რობერტო კარლოსთან. ბრაზილიელი მცველი ალბათ უახლოეს დღეებში გააფორმებს სამწლიან კონტრაქტს "არისტოკრატებთან".

## სკალა ალბანეთში

იტალიელი სპეციალისტი ნევიო სკალა ალბათ ალბანეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნება.

"ფინანსური თვალსაზრისით პრობლემა არ არსებობს, ალბანელებმა საკმაოდ კარგი პირობები შემომთავაზეს, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია", - აცხადებს ნევიო სკალა.

## ნადირობა სისეზე

მოგეხსენებათ, "ლივერპული" ჯიბრილ სისეს გაშვებას აპირებს. ფრანგ ფორვარდზე საკმაოდ დიდი მოთხოვნილებაა. მისი შეძენის სურვილი უკვე გამოთქვეს "მარსელმა" და "ლიონმა". თავად სისემ აღნიშნა, რომ ლიონურ კლუბში უფრო დიდი სიამოვნებით ითამაშებდა. სავარაუდოდ, კონტრაქტი მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე უნდა გაფორმდეს.

## შევჩენკო "ჩელსიშიც" შვიდიანი იქნება

ჟოზე მოურინიოს განცხადებით, ანდრეი შევჩენკო "ჩელსიშიც" შვიდნომრიანი მაისურით ითამაშებს. "მისი საყვარელი შვიდი ნომერი "ჩელსიშიც" მას ეკუთვნის", - თქვა პორტუგალიელმა მწვრთნელმა.

აღსანიშნავია, რომ გუნდში ეს ნომერი ფაქტობრივად თავისუფალი იყო.

## არმსტრონგის აღსარება

ლეგენდარულმა ამერიკელმა ველომრბოლმა, ტურ დე ფრანსის შვიდგზის გამარჯვებულმა ლენს არმსტრონგმა აღიარა, რომ ველორბოლა საერთოდ არ ენატრება.

"ეშმაკსაც წაუღია ეს ველორბოლები. ერთადერთი, რაც მენატრება, ვარჯიში და თანაგუნდელებთან ურთიერთობაა. თავად რბოლა კი... რას ამბობთ... ბოლო ორი წლის განმავლობაში შეჯიბრებები საერთოდ გულისამრევი იყო. ტურ დე ფრანსი კი საერთოდ არ მენატრება. ბოლო წლებში ეს რბოლა ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნაწილი იყო, ახლა კი ტური საერთოდ ფეხებზე მკიდია. 1 ივლისს იწყება, არა? რა ვიცი, შეიძლება ტრადიცია არ დავარღვიო და თმა გადავიპარსო. სხვა მხრივ კი ტური საერთოდ არ მაინტერესებს", - აცხადებს არმსტრონგი.

## შუმახერს დაუპირისპირდნენ

ამჟამად მიხაელ შუმახერი პილოტების პროფკავშირის თავმჯდომარეა, თუმცა, შესაძლოა, ეს პოსტი უახლოეს მომავალში დაკარგოს. მიზეზი მონაკოს გრან პრის კვალიფიკაციის დროს მომხდარი ინციდენტია. შეგახსენებთ, რომ შუმიმ მცირე ხრიკს მიმართა, რაც არ გაუვიდა და დაისაჯა კიდეც. ფორმულა 1-ის პილოტები ჯერჯერობით კატეგორიულ განცხადებებს არ აკეთებენ, მათ უნდა მოისმინონ მიხაელ შუმახერის ახსნა-განმარტებები. თუ კითხვებზე ამომწურავი პასუხები ვერ მიიღეს, გერმანელ პილოტს თანამდებობას დაატოვებინებენ.

"სილვერსტოუნის რბოლის წინ ჩვენ მოვისმენთ მიხაელ შუმახერის ახსნა-განმარტებებს. მე პროფკავშირის წევრი ვარ და მაინტერესებს რას გვეტყვის მიხაელი მონაკოს ინციდენტის თაობაზე. აჟიოტაჟის ატეხვას არ ვაპირებთ. თუ მიხაელის ახსნამ დაგვაკმაყოფილა, ყველაფერი ისევე დარჩება, როგორც იყო," - აცხადებს იარნო ტრული.

## კრანჩარი იმედიანადაა

ხორვატიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზლატკო კრანჩარი აცხადებს, რომ მისი გუნდი ღირსეულ წინააღმდეგობას გაუწევს ბრაზილიის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის პირველ მატჩში.

"მატჩისთვის მზად ვართ. მართალია, ამხანაგური თამაში წავაგეთ პოლონეთის ნაკრებთან, მაგრამ მაშინ გადაღლილები ვიყავით. ბრაზილისათან კი სხვა შემართებით ვითამაშებთ. მჯერა, რომ ჯგუფური ეტაპის ბარიერს იოლად გადავლახავთ", - აცხადებს კრანჩარი.

## ბექჰემის ოცნება

ინგლისის ნაკრების კაპიტანმა დევიდ ბექჰემმა სააგენტო სკაი სპორტთან საუბარში აღნიშნა, რომ ოცნებობს ფინალში ბრაზილიის ნაკრების წინააღმდეგ ითამაშოს.

"ჩვენი გუნდის თითოეულ წევრს სურს, რომ მსოფლიოს საუკეთესო ნაკრებს დაუპირისპირდეს. ბრაზილიის ნაკრები უნიკალურია. ამ გუნდში თამაშობენ ფეხბურთელები, რომლებსაც წამებში შეუძლიათ მატჩის ბედის გადაწყვეტა. როდესაც ბრაზილიელებთან თამაშობ, იქმნება შთაბეჭდილება, რომ მათი დამარცხება საერთოდ შეუძლებელია. რაც შეეხება ჩვენს ნაკრებს, წარმატების გვჯერა, თუმცა ხმამაღლა ამაზე არ ვსაუბრობთ," - ამბობს დევიდ ბექჰემი.

## დაივიწყეთ რუნი

ლეგენდარული ჰოლანდიელი ფეხბურთელის იოჰან კრუიფის თქმით, ინგლისის ნაკრების მესვეურებმა დროებით უნდა დაივიწყონ უეინ რუნი და არ მისცენ ტრავმირებულ ფეხბურთელს მუნდიალზე თამაშის უფლება.

"დღეს შესაძლოა ტკივილი მოითმინოს, მინდორზე გავიდეს და ნაკრების შემადგენლობაშიც ითამაშოს, მაგრამ ეს მეტად სარისკოა. შეიძლება ტრავმის რეციდივი მიიღოს და საერთოდ დაასრულოს საფეხბურთო კარიერა. თანაც ინგლისის ნაკრებს შეუძლია უეინ რუნის შეცვლა. ლამპარდი, ბექჰემი, ჯერარდი, ოუენი - ეს ის ფეხბურთელები არიან, რომლებიც ინგლისს წარმატებას მოუტანენ რუნის გარეშეც," - ამბობს კრუიფი.

# ნადალი მორიგ ტიტულს უმიზნებს

საფრანგეთის ღია პირველობა გადამწყვეტ ფაზაში შედის. პირველმა წრეებმა ფაქტობრივად ყოველგვარი მოულოდნელობების გარეშე ჩაიარა. მართალია, ტურნირს უკვე გამოაკლდა რამდენიმე განთესილი ჩოგბურთელი, მაგრამ მთავარი ფავორიტები ბრძოლას აგრძელებენ და უკვე ერთმანეთის წინააღმდეგაც უწევთ თამაში.

შაბათს გამართული მატჩებიდან აღსანიშნავია რაფაელ ნადალისა და მიატიუს დაპირისპირება. როლან გაროს მათავარმა ფავორიტმა გულშემატკივრები ანერვიულა. თინეიჯერმა ესპანელმა პირველი სეტი წააგო და თითქოს სენსაციის სუნიც დატრიალდა. ყველა მოუთმენლად ელის, როდის წააგებს პირველ მატჩს თიხის კორტებზე. შეგახსენებთ, რომ უკვე 52 მატჩია რაფაელს არ წაუგია თიხისსაფარიან კორტზე და ამ მხრივ რეკორდიც კი დაამაყარა.

თუმცა, მიატიუს სენსაციის მოწყობა არ ეწერა. პირველი წაგებული სეტის შემდეგ ნადალი ჩვეულ სტილში ათამაშდა და მომდევნო სამი სეტი ერთნაირი ანგარიშით 6:4 მოიგო.

ქალთა ტურნირიდან უნდა აღინიშნოს ელენა დემენტიევას მარცხი. რუმა ჩოგბურთელმა ვერაფერი გააწყო სარა პერთან და ტურნირის გამოეთიშა.

სხვა მხრივ, შაბათის შეხვედრებში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. რაფაელ ნადალმა მეტოქის დამარცხების შემდეგ ინტერნეტის საშუალებით გულშემატკივრებთან ისაუბრა და მათ კითხვებს უპასუხა.

**- თუ საიდუმლო არ არის, რა წიგნს კითხულობთ ახლა?**

- ახლა არაფერს. ცოტა ხნის წინ "და ვინჩის კოდის" კითხვა დავიწყე, მაგრამ ფილმი რომ გამოვიდა, შევეშვი... ვუყურე. ასე უფრო სწრაფად გავიგე, რა მოხდა.

**- თუ შეიძლება დღევანდელ მატჩზე გვითხარით რამდენიმე სიტყვა.**

- შეხვედრა ძალიან ცუდად დავიწყე. ცოტას ვნერვიულობდი. პირველი სეტის ბოლოს გამოვასწორე თამაში, მაგრამ უკვე გვიან იყო და სეტი მაინც წავაგე. მერე ყველაფერი თავის ადგილას დადგა.

**- ახლა ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თქვენი დამარცხება თიხის კორტებზე პრაქტიკულად შეუძლებელია. რატომ ხართ სხვებზე უკეთესი, რა არის ამის მიზეზი?**

- დავიწყებ იმით, რომ სხვებზე უკეთესი არ ვარ. არც კი ვიცი, როგორ ავხსნა ეს წარმატება. თითოეული მატჩი ცალკე ისტორიაა. ვცდილობ ყოველი თამაში მოვიგო და ჯერჯერობით ამას ვახერხებ.

**- თიხის კორტებზე ზედიზედ მოგებული მატჩების რეკორდი ახლა თქვენ გეკუთვნით. ალბათ ამ რეკორდმა ოდნავ მაინც დაგამშვიდათ.**

- რეკორდმა, ცხადია, გამახარა, თუმცა მიმაჩნია, რომ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. ახლა ჩემთვის მთავარია ტურნირის მოგება და არა რეკორდები.

**- ვილასმა 25 წლის ასაკში დაამაყარა რეკორდი. თქვენ კი მხოლოდ 19 წლის ხართ. ალბათ მომავალში არაერთი რეკორდის დამხობას აპირებთ.**

- როცა ზედიზედ 52 მატჩს მოიგებ, სირცხვილია, რეკორდი ვერ დაამყარო. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა ვარ, არა მგონია, მომავალში ოდესმე ახლოს მაინც მივიდე ამავე რეკორდთან.

**- ნუთუ 25 წლამდე რეკორდს ვერ გაიმეორებთ?**

- იცით, ეს რეკორდი ცალკე ისტორიაა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: არა მგონია, მასთან ახლოს მისვლა შევძლო. რაც შეეეხება ვილასის მეორე რეკორდს, რომელიც მან ნებისმიერსაფარიან კორტებზე ზედიზედ მოგებული თამაშების რაოდენობით დამყარა, მისი მოხსნა საერთოდ არარეალურად მეჩვენება.

**- კვირას თქვენი დაბადების დღეა. როგორ აპირებთ აღნიშვნას?**

- ვნახოთ. ალბათ აღვნიშნავ, ოღონდ ძალიან მოკრძალებულად. ძირითადი აღნიშვნა კი ტურნირის შემდეგ იქნება, რა თქმა უნდა, თუ გავიმარჯვე.

**- თქვენ გითქვამთ, რომ ბავშვობაში ფეხბურთს თამაშობდით, რომელ პოზიციაზე გიყვარდათ თამაში?**

- ფეხბურთი ძალიან მიყვარს. თუ თქვენ ჩემი საფეხბურთო პერსპექტივა გაინტერესებთ, ძალიან მიხარია. პროფესიონალურად არასდროს მითამაშია. ჩემგან ალბათ კარგი მეკარე გამოვიდოდა.



ნადალმა 20 წლის იუბილე მოკრძალებულად აღნიშნა

**4 ივნისი**

**ვაჟები**

| | |
|---|---|
| **მარიო ანჩიჩი - ტომი რობრედო** | **6:4,4:6,2:6,6:4,7:5** |
| **როჯერ ფედერერი - ტომას ბერდიჩი** | **6:3,6:2,6:3** |
| **ხუან მონაკო - ივან ლუბიჩიჩი** | **6:4,7:5,3:6,4:6,2:6** |
| **ჯეიმ ბლეიკი - ჟილ მონფისი** | **2:6,7:6,6:7,7:5,4:6** |
| **ქალები** | |
| **მარია შარაპოვა - დინარა საფინა** | **5:7,6:2,5:7** |
| **დანიელა ჰანტუჩოვა - კიმ კლაისტერსი** | **1:6,4:6** |
| **ფრანჩესკა სკიავონე - სვეტლანა კუზნეცოვა** | **6:1,4:6,4:6** |

# "მაიამი" თუ "დალასი"

NBA-ში დასრულდა კონფერენციების ფინალები, გაირკვა იმ ორი გუნდის ვინაობა, რომლებიც NBA-ს ჩემპიონის ტიტულისთვის გაეჯიბრებიან ერთმანეთს.

ორივე კონფერენციაში გამარჯვებულის გამოვლენას 6 მატჩი დასჭირდა. დასავლეთში "დალასმა" ფინალური სერია ანგარიშით 4:2 მოიგო. ანალოგიური ანგარიშით დაამარცხა "მაიამიმ" "დეტროიტი".

დავიწყოთ აღმოსავლეთით. მეექვსე მატჩში "მაიამის" უპირატესობა აშკარა იყო. პირველი ხუთი მატჩის დროს ჩრდილში მყოფმა შაკილ ო'ნილმა ამჯერად ბრწყინვალედ ითამაშა. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ მაიამელებმა უპრობლემოდ მოიგეს. შეხვედრის საბოლოო ანგარიში (95:75) ნათლად მეტყველებს პატ რაილის ბიჭების უპირატესობაზე.

შაკილმა თავის გუნდს 28 ქულა შესძინა. ამასთან, მაიამელთა ცენტრმა 16-ჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი და თავისი გუნდის უპირატესობაც განაპირობა. "მაიამის" კალთაბურთელებმა პირწმინდად გათიშეს თამაშიდან დეტროიტელთა ლიდერები ჩონსი ბილაპსი და ტაიშონ პრინცი.

დასავლეთ კონფერენციის ფინალური სერიის მეექვსე მატჩს "ფენიქსი" მასპინძლობდა. ამ გუნდს სერიაში ანგარიშის გათანაბრების შანსიც ჰქონდა, მაგრამ ნოვიცკიმ და კომპანიამ მეტოქეს ყველა იმედი გადაუწურეს. შეხვედრა დასრულდა 102:93 დალასელთა სასარგებლოდ.

"ფენიქსი" თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდა უპირატესობას. მესამე მეოთხედის შემდეგ მასპინძლები 66:62-ს იგებდნენ, მაგრამ გადამწყვეტ მეოთხედში სტუმრებმა ბრწყინვალედ ითამაშეს. ნოვიცკი საერთოდ შეუჩერებელი იყო. გერმანელმა ამ საღამოს თავის გუნდს 24 ქულა შესძინა, 10-ჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი, 3 შედეგიანი გადაცემა გააკეთა, 3 ბლოკი და 3 ჩაჭრაც მიითვალა.

ამრიგად, ფინალში "მაიამი" და "დალასი" დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ძნელია იმის თქმა, თუ ვინ გახდება ჩემპიონი, თუმცა ერთი რამ ფაქტია: ფინალური სერია საინტერესო და დაძაბული იქნება.



ცქიტიშვილი თანაგუნდელებს ამშვიდებს.

# კრივი გათეთრდა თუ გაფითრდა?

გიგა გურასაშვილი

*საბჭოთა კავშირის დაშლასა და საზღვრების გახსნას მოყვა ის, რომ მსოფლიო სპორტულ არენებს ფეხბურთის, კალათბურთის, წყალბურთისა და კიდევ რამდენიმე სახეობის ვარსკვლავი შეემატა. მაგრამ ბევრი ალბათ ვერ წარმოიდგენდა, რომ პროფესიულ კრივში, ამასთან, მძიმეწონოსანთა ეშელონის ოთხიდან სამი ძირითადი საჩემპიონო ქამრის მფლობელი ერთბაშად სამი თეთრკანიანი, თანაც ყოფილი საბჭოთა მოკრივე გახდებოდა. დღეს მძიმეწონოსანთა დივიზიონის WBA, IBF და WBO მთავარი ქამრები ყოფილი საბჭოთა ბანაკის წარმომადგენელთა ხელშია. შესაძლოა, ვინმემ თქვას კიდეც, უძაღლო ქვეყანაში კატებს აყეფებენო!*

დრო შეიცვალა - მაიკ ტაისონი, ლენოქს ლუისი, ევანდერ ჰოლიფილდი (რომელიც დღემდე იქადნება, ძველ დიდებას დავიბრუნებო) ისტორიაში დარჩნენ. დღეს მსოფლიო რინგს თეთრკანიანები განაგებენ. ბელორუსი სერგეი ლიახოვიჩი კრივის მსოფლიო ორგანიზაციის (WBO) სარტყელს ფლობს, უკრაინელი ვლადიმირ კლიჩკო კრივის მსოფლიო ფედერაციის (IBF) ქამარს, ხოლო რუსი ნიკოლაი ვალუევი კრივის მსოფლიო ასოციაციის (WBA) ჩემპიონია. შავკანიანებს ერთადერთ ნუგეშად ის რჩებათ, რომ ყველაზე პრესტიჟული - კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) საჩემპიონო ქამრის მფლობელი ამერიკელი ჰასიმ რაჰმანია. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მან ეს ტიტული უბრძოლველად დაისაკუთრა. საქმე ისაა, რომ საბჭოს ქამარს ვიტალი კლიჩკო ფლობდა. იმის გამო, რომ უკრაინელი რინგიდან წავიდა, WBC-ს ქამარი მის პრეტენდენტს ჰასიმ რაჰმანს გადაეცა. ამასობაში საბჭოს მამებმა რუსი ოლეგ მასკაევი WBC-ს ამერიკელ ჩემპიონ ჰასიმ რაჰმანს ოფიციალურ პრეტენდენტად დაუნიშნეს.

დავუბრუნდეთ ისევ ნიკოლაი ვალუევს (44 გამარჯვება, 32 ნოკაუტით და არც ერთი წაგება), რომელმაც შაბათს ჰანოვერის "ტუი არენას" რინგზე წარმატებით დაიცვა კრივის მსოფლიო ასოციაციის მძიმეწონოსანთა საჩემპიონო ქამარი. თან ისე, რომ ოფლიც არ დაუღვრია. მესამე რაუნდში იამაიკური წარმოშობის ამერიკელ ოეუნ ბეკს (25 გამარჯვება, აქედან 18 ნოკაუტით და 3 წაგება) ტექნიკური ნოკაუტით აჯობა. პირველივე რაუნდიდან რუსმა სრული უპირატესობა მოიპოვა. მომდევნო ორ რაუნდში ვალუევის უპირატესობა კიდევ გაიზარდა. ჩხუბი მესამე რაუნდში დასრულდა, მას შემდეგ, რაც ვალუევმა ბეკს ზუსტი მარჯვენა აპერკოტი უთავაზა და რინგზე გაშხლართა. მართალია, ამერიკელი უმალ წამოდგა, მაგრამ ვალუევმა კიდევ რამდენჯერმე ზუსტად დაარტყა. რეფერიმ ორთაბრძოლა შეაჩერა. რუსმა მოკრივემ, რომელმაც დეკემბერში ამერიკელ ჯონ რუისს აართვა ასოციაციის ქამარი, წარმატებით დაიცვა იგი.

"ჩემს ოჯახს უნდოდა, რომ დღეს ის ნოკაუტში გამეშვა და მეც ამიტომ მოვიქეცი ასე, - უეინ ბეკზე გამარჯვების შემდეგ აცხადებდა 32 წლის ვეებერთელა (145,5კგ.) რუისი, - დღეს ყველაფერი კარგად წამივიდა".

გთავაზობთ მძიმეწონოსანთა დივიზიონის ოთხივე ძირითადი ორგანიზაციის საუკეთესო თხუთმეტეულს.



ვალუევმა ბეკი სამ რაუნდში წააქცია.

**მძიმე წონა**









| WBC | WBA | IBF | WBO |
|---|---|---|---|
| **ჰასიმ რაჰმანი** | **ნიკოლაი ვალუევი** | **ვლადიმირ კლიჩკო** | **სერგეი ლიახოვიჩი** |
| 1. ოლეგ მასკაევი | 1. ჯონ რუისი | 1. ურეიტინგო | 1. ლუან კრასნიჩი |
| 2. ჯეიმს ტონი | 2. რეი ოსტინი | 2. რეი ოსტინი | 2. სულთან იბრაგიმოვი |
| 3. სამუელ პიტერი | 3. ჯეიმს ტონი | 3. კელვინ ბროკი | 3. რუსლან ჩაგაევი |
| 4. რეი ოსტინი | 4. კელვინ ბროკი | 4. სამუელ პიტერი | 4. ჯეიმს ტონი |
| 5. კელვინ ბროკი | 5. რუსლან ჩაგაევი | 5. სულთან იბრაგიმოვი | 5. შენონ ბრიგსი |
| 6. ოლივერ მაკოლი | 6. სულთან იბრაგიმოვი | 6. ჯონ რუსი | 6. სამუელ პიტერი |
| 7. სინან სამილ სამი | 7. ლარი დონალდი | 7. დავრილ უილიამსონი | 7. ალექსანდერ დიმიტრენკო |
| 8. შენონ ბრიგსი | 8. მონტე ბარეტი | 8. ლუან კრასნიჩი | 8. ლეიმონ ბრიუსტერი |
| 9. რუსლან ჩაგაევი | 9. დავრილ უილიამსონი | 9. მონტე ბარეტი | 9. კელვინ ბროკი |
| 10. ლარი დონალდი | 10. შენონ ბრიგსი | 10. შენონ ბრიგსი | 10. კრის ბერდი |
| 11. კრის ბერდი | 11. სამუელ პიტერი | 11. პაოლო ვიდოში | 11. დენი უილიამსი |
| 12. დომინიკ გუინი | 12. ოუენ ბეკი | 12. რუსლან ჩაგაევი | 12. ტონი ტომპსონი |
| 13. ჯონ რუისი | 13. დონელ ჰოლმსი | 13. დენი უილიამსი | 13. მეტ სკელტონი |
| 14. პეტერ ოხელო | 14. პაოლო ვიდოში | 14. კევინ მაკბრაიდი | 14. დომინიკ გუინი |
| 15. ჰენრი აკინვანდე3 | 15. ვლადიმირი ვირხისი | 15. ედი ჩამბერსი | 15. კევინ მაკბრაიდი |